

ჟურნალისტი საზარელი მეთოდებით მოკლეს

A6



"საქმიანი იმპოტენცია" თბილისის მერიაში

A6



ყველაფრის მიზეზი ფულია

B2

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ხუთშაბათი, 3 მარტი, 2005 წელი. №48 (908)

ფასი 50 თეთრი

## პოლიტიკა

### როცა სამსახურში ყოფნა ტანჯვაა...



პარლამენტის ხელმძღვანელობა ცდილობს, უდისციპლინო დეპუტატები მოარჯულოს და ისინი სწორ, სხდომათა დარბაზისკენ მიმავალ გზაზე დააყენოს.

A2

## ეკონომიკა

### ხელისუფლება ენერგოკომპანიების გაყიდვის პროცესს აჩქარებს



საქართველოს ელექტროენერგეტიკულ სექტორში დაჩქარებული პრივატიზაციის პროცესი იწყება - ასეთი გახლდათ გუშინდელი მთავრობის სხდომის მთავარი მესიჯი.

A4

**იურიდიული ოფისი „გაპი" და გაზეთი "24 საათი"**

**ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.**

A7

## ამინდი

| | 3/3 | 4/3 | 5/3 |
|---|---|---|---|
| თბილისი | 16 | 7 | 13 |
| ქუთაისი | 18 | 9 | 14 |
| ბათუმი | 18 | 8 | 15 |
| სოხუმი | 13 | 4 | 11 |
| ფოთი | 18 | 8 | 14 |
| თელავი | 15 | 6 | 11 |
| ზუგდიდი | 18 | 8 | 14 |
| გორი | 12 | 4 | 9 |
| ახმეტა | 15 | 6 | 11 |
| ჭიათურა | 15 | 8 | 12 |
| გაგრა | 9 | 3 | 8 |
| სამტრედია | 18 | 9 | 15 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8375 |
| ევრო | 2.4105 |
| გირვანქა სტერლ. | 3.5095 |
| რუბლი | 0.0663 |


| A | | B | |
|---|---|---|---|
| ამბები | A2 | რევიუ | B2 |
| პოლიტიკა | A3 | რევიუ | B3 |
| ეკონომიკა | A4 | სპორტი | B4 |
| უცხოეთი | A5 | სპორტი | B5 |
| საზოგადოება | A6 | თვალსაზრისი | B6 |
| სამართალი | A7 | სხვადასხვა | B7 |


# ძველი და ახალი ელიტის ბრძოლის დასაბამი

ზურაბ აფხაზავა
*სოხუმიდან*

*აფხაზეთის სამართალდამცავი ორგანოები, ალბათ, კიდევ კარგა ხანს თავს შეიკავებენ პრემიერ-მინისტრ ალექსანდრე ანქვაბზე განხორციელებული თავდასხმის დეტალების გახმაურებისგან. ამასთან, ანქვაბის უახლოესი გარემოცვა ამტკიცებს, რომ პრემიერის მტრების რიცხვი დღითიდღე იზრდება.*

ორშაბათს საღამოს, სოხუმის გარეუბანში პრემიერ-მინისტრის "ვოლგაზე" თავდასხმამ საზოგადოება მრავალი მიზეზის გამო გააოგნა. პირველია ის, რომ აფხაზეთის მოსახლეობამ მხოლოდ ახლახან მოახერხა უახლოეს წარსულში განვითარებული პოლიტიკური კატაკლიზმების შოკიდან თავის დაღწევა; და მეორე - ძალიან ბევრი ფიქრობს, რომ ანქვაბს გაცილებით უფრო მეტი პრობლემა წინასაარჩევნო კამპანიის პირველ ეტაპზე ჰქონდა, განსაკუთრებით მაშინ, როცა იგი ბაგაფშის გუნდს შეუერთდა. არძინბას გარემოცვას ანქვაბის სახელისუფლებო ელიტაში მოკალათება აპრიორი არ აძლევდა ხელს და, ლოგიკის თანახმად, ანქვაბზე თავდასხმები სწორედ ბაგაფშთან გაერთიანების დროს უნდა განხორციელებულიყო. დღეს კი, როდესაც ანქვაბის პრემიერად დანიშვნიდან ერთი თვეც არ გასულა და მისი მოღვაწეობის რეალური შედეგები არც არსებობს, მასზე თავდასხმა სრული მოულოდნელობა იყო.

ნელ-ნელა თავდასხმის მიზეზების ვერსიათა ჯაჭვი იკვეთება.

### ციხე და ჭართი

მართალია, პრემიერად ერთთვიანი მოღვაწეობის პერიოდში ანქვაბმა ბევრი ვერაფერი მოახერხა, მაგრამ რაღაცის გაკეთება მან მაინც მოასწრო. და სწორედ ამ "რაღაცამ" სერიოზული დარტყმა მიაყენა გარკვეული ჯგუფების ფინანსურ ინტერესებს. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს

გაგრძელება A3 გვერდზე



*ალექსანდრე ანქვაბზე თავდასხმა აფხაზეთში კლანური დაპირისპირების დასაწყისადაც განიხილება.*

# როგორ დაკომპლექტდეს საარჩევნო ადმინისტრაცია?

### წინააღმდეგობები და ეჭვი

*ორდღიანი კონსულტაციები, რომელიც სასტუმრო "ქორთიად მაროტში" "ამერიკის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის" ინიციატივით გაიმართა და რომლის მთავარი თემა საარჩევნო ადმინისტრაციების დაკომპლექტების ახალი წესი იყო, განსაკუთრებული შედეგებით არ დასრულებულა. დისკუსიაში მონაწილე მხარეები ვერ შეთანხმდნენ არათუ საარჩევნო ადმინისტრაციების წევრთა უფლება-მოვალეობებზე, არამედ ერთ-ერთ მთავარ საკითხზე - რამდენი წევრი უნდა იყოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში.*

თამარ მჭედლიშვილი

ბუნებრივია, ხელისუფლება იმ ვარიანტის ლობირებას განაგრძობს, რომელსაც თავდაპირველად დაუჭირა მხარი და რომლის თანახმადაც, ცესკო-ს შემადგენლობაში შვიდი წევრი იქნება: ექვსი - პარლამენტის მიერ დამტკიცებული და ერთიც - პრეზიდენტის მიერ დანიშნული. თანაც, პრეზიდენტის რჩეული ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეც იქნება.

მართალია, არასამთავრობო სექტორისა და ოპოზიციური პარტიების უმრავლესობისთვის მისაღებია ხელისუფლების მიერ შეთავაზებული, საარჩევნო ადმინისტრაციების არაპარტიული, უფრო ზუსტად კი, პროფესიული ნიშნით დაკომპლექტების პრინციპი, მაგრამ ეჭვს იწვევს ის, რომ საარჩევნო ადმინისტრაციები მაინც ბოლომდე შეასრულებენ ხელისუფლების დაკვეთას.

ასე რომ, ერთი მხრივ, ხელისუფლებისა და, მეორე მხრივ, არასამთავრობო სექტორისა და ოპოზიციური პარტიების დიალოგი, ჯერჯერობით, არ შედგა. "ამერიკის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის" ინიციატივამ, კონსულტაციების გამართვის თაობაზე, კიდევ ერთხელ წარმოაჩინა ის სირთულეები, რომელიც ამ მხრივ არსებობს.

თანაც, ნიშანდობლივია ის გარემოებაც, რომ ოპოზიციონერებმა და არასამთავრობო სექტორმა თავადაც ვერ შეძლეს პოზიციების შეჯერება. შესაბამისად, თუ ამ მხრივაც არაფერი შეიცვალა და ერთიანი ხედვა ვერ ჩამოყალიბდა, პარლამენტის იურიდიულ კომიტეტში ხუთი ალტერნატიული კანონპროექტი

გაგრძელება A3 გვერდზე

# რუსეთთან ურთიერთობების მოგვარების მიზნით საქართველო ევროკავშირსა და აშშ-ს დახმარების თხოვნით მიმართავს

ფილიპ შიშკინი
"The Wall Street Journal"

რუსეთთან ურთიერთობების მოგვარების მიზნით საქართველო ევროპისა და ამერიკისგან უფრო აქტიურ ჩარევას მოითხოვს. ორი სახელმწიფოს ურთიერთდამოკიდებულება უკიდურესად მას შემდეგ გაუარესდა, რაც 2003 წლის მშვიდობიანი რევოლუციის შედეგად საქართველოს ხელისუფლებაში პროდასავლური მთავრობა მოვიდა.

**"დღეს საქართველოს რუსეთის მიმართ არანაირი ნდობა აღარ დარჩა"**, - განაცხადა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა სალომე ზურაბიშვილმა, მას შემდეგ, რაც მან თხოვნით მიმართა ევროკავშირის ოფიციალურ პირებს რუსეთ-საქართველოს საზღვარზე მონიტორინგის განხორციელების მიზნით დამკვირვებელთა ჯგუფი გაეგზავნათ. ეს მოსკოვიდან მომდინარე ნებისმიერი ხელყოფისაგან დაცვის სიმბოლური გარანტია იქნებოდა.

ევროკავშირი შეისწავლის ამ მოთხოვნას, რომლის შესრულებაც მას საკმაოდ დააშორებს თავის საზღვრებს და შესაძლოა, მოსკოვის წინააღმდეგობაც გამოიწვიოს. მოთხოვნა ზუსტად იმ დროს ითქვა, როდესაც აშშ და ევროპა სულ უფრო ხმამაღლა გამოთქვამენ თავიანთ შეშფოთებას რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმირ პუტინის მიერ გადადგმული ნაბიჯების გამო, რომლებიც ქვეყანაში ძალაუფლების ცენტრალიზაციისკენაა მიმართული. გარდა ამისა, დასავლეთის შეშფოთებას საზღვარგარეთ პუტინის ზოგიერთი მოქმედებაც იწვევს, უკრაინის საპრეზიდენტო არჩევნებში იანუკოვიჩის მხარდაჭერის ჩათვლით.

გაგრძელება A5 გვერდზე

# ელის თუ არა ქართულ პოლიციას "КГБ-ზაცია"?

ხათუნა ჭანბირაშვილი

*უშიშროების სამინისტროს ლიკვიდაცია და შინაგან საქმეთა სამინისტროს რესტრუქტურიზაცია, რასაც პარლამენტმა ვიზა რამდენიმე თვის წინ მისცა, კონრად ადენაუერის ფონდის წარმომადგენლების მიერ "თბილისი-მარიოტში" გამართული გუშინდელი დისკუსიის თემა იყო. "საქართველოს უსაფრთხოების სექტორის რეფორმირება: შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროების გაერთიანება" - ასეთი გახლდათ სამუშაო შეხვედრის სახელწოდება, რომელსაც სახელისუფლებო, საკანონმდებლო, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები და საერთაშორისო ექსპერტები ესწრებოდნენ. საქმე ისაა, რომ უკვე ლიკვიდირებული უშიშროების სამინისტროსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს რესტრუქტურიზაციის კონცეფციაზე საჯარო მსჯელობა მხოლოდ ახლა დაიწყო, არადა, როგორც უკვე გითხარით, შსს-სა და უშიშროების სამინისტროების გაერთიანებას, მთავრობის მოთხოვნით, პარლამენტმა ვიზა კარგა ხნის წინ მისცა. შეგახსენებთ, რომ ამ ცვლილების შემდეგ საგარეო დაზვერვა ცალკე დამოუკიდებელ ერთეულად ჩამოყალიბდა და ქვეყნის პირველი პირის წინაშე გახდა ანგარიშვალდებული. რაც შეეხება კონტრდაზვერვის დეპარტამენტს, მან შსს-ში გადაინაცვლა და მას დაექვემდებარა.*




## მოკლედ

### შეიქმნა უწყებათაშორისი ოთხი სამუშაო ჯგუფი

სახელმწიფო კანცელარიაში ნატო-სთან ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის განხორციელების სახელმწიფო კომისიის პირველი სხდომა გაიმართა. სხდომაზე ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის განხორციელების მიზნით ოთხი უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი შეიქმნა და თითოეული ჯგუფის მუშაობაზე პასუხისმგებელი პირი განისაზღვრა. ერთ-ერთი სამუშაო ჯგუფი პოლიტიკისა და უსაფრთხოების საკითხებზე იმუშავებს. ამ ჯგუფის პასუხისმგებელი პირია საგარეო საქმეთა მინისტრი სალომე ზურაბიშვილი; თავდაცვის, უსაფრთხოებისა და სამხედრო საკითხების სამუშაო ჯგუფს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი უხელმძღვანელებს; საზოგადოებრივი ინფორმაციის, მეცნიერების, გარემოს დაცვისა და სამოქალაქო კრიზისების მართვის სამუშაო ჯგუფის პასუხისმგებელი პირია შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილი; მეოთხე სამუშაო ჯგუფი ადმინისტრაციული, უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და რესურსების მართვას შეეხება. პასუხისმგებელი პირია ფინანსთა მინისტრი გიორგი ჩეჩელაშვილი.

*მედიანიუსი*

### ნარკოტიკების რეალიზატორი პოლიციელი დააკავეს

სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის მე-3 სამმართველოსა და შსს გენერალური ინსპექციის თანამშრომლებმა თბილისში ნარკოტიკების გასაღების ფაქტზე დააკავეს ნარკოტიკული საშუალებების ზემოქმედების ქვეშ მყოფი, შსს კრიმინალური დეპარტამენტის განყოფილების უფროსის მოადგილე, თბილისში მცხოვრები, პოლიციის მაიორი, გ. გოცირიძე, რომელსაც პირადი ჩხრეკისას აღმოაჩნდა სარეალიზაციოდ გამზადებული, ცალ-ცალკე დაფასოებული 0.12 გრამი და 0.17 გრამი ბუპრენორფინის შემცველი 1.5 აბი სუბოტექსი, 2.5 მილილიტრი ბუპრენორფინის შემცველი ხსნარი. შს სამინისტროს გენერალური ინსპექციაში მოკვლევის დასრულების შემდეგ საქმე გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში გადაიგზავნა.

*მედიანიუსი*

### გენპროკურატურა თანამედროვე სტანდარტებს უახლოვდება

საქართველოს გენერალურ პროკურატურას ოთხი სერვერი და 95 პერსონალური კომპიუტერი გადაეცა. ეს ტექნიკა TACIS-ის "პროკურატურის რეფორმის პროექტმა" ტენდერის საფუძველზე კომპანია UCT-საგან შეიძინა. აღნიშნული პროექტის ერთ-ერთი მიმართულება, სწორედ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დანერგვაა, რაც ხელს შეუწყობს პროკურატურის ორგანიზაციისა და მართვის სისტემის შემდგომ გაუმჯობესებას. გენერალური პროკურატურის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით, პროკურატურის რეფორმის პროექტის თანამშრომლებისა და ექსპერტების ერთობლივი მუშაობის შედეგად გამოვლინდა საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების პირველადი საჭიროება. დაიგეგმა სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა კანცელარიის, კადრების განყოფილების და სტატისტიკის დეპარტამენტისათვის. სპეციალურ პროგრამულ უზრუნველყოფაზე ბერძნული კომპანია Europtan Dynamic მუშაობს, რომელიც ასევე ტენდერის საფუძველზე იქნა შერჩეული. ერთიანი ქსელის შესაქმნელად საჭირო დაკაბელება და ქსელის მოწყობილობა თვითონ გენერალურმა პროკურატურამ ითავა. ყოველივე ზემოთ აღნიშნული პროკურატურას საშუალებას აძლევს გამართოს ლოკალური ქსელი. უახლოეს მომავალში კი ამუშავდება პროკურატურის ვებ.გვერდიც.

*მედია-ნიუსი*

### ჭურვი ფოთის აკვატორიაში

მესაზღვრეებმა ყულევის სანაპირო ზოლის ზღვის ფსკერზე ჭურვი აღმოაჩინეს. როგორც საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის პრესსამსახურში განაცხადეს, ფოთის პორტში, ყულევის სანაპირო ზოლში მესაზღვრეები თბომავალ "მერიან-ბ"-ს მეშვეობით ზღვის ფსკერის გაღრმავებას აწარმოებდნენ, რის შედეგადაც ეკიპაჟმა ჭურვი აღმოაჩინა. სასაზღვრო უწყება ჯერჯერობით ჭურვის სახეობას არ აკონკრეტებს. ამ ეტაპზე არ არის ცნობილი ასევე, თუ როგორ მოხვდა აღნიშნული ჭურვი ზღვის ფსკერზე. საქმეში უშიშროების სამსახურის გამნაღმველები ჩაერთვნენ. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარეობს მოკვლევა.

*ინტერ-პრესი*

### რუსული ფანტაზიები საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ანცვიფრებს

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო განცვიფრებულია რუსეთის საგარეო უწყების მიერ პირველ მარტს პრესისთვის გაკეთებული განცხადებით, რომლის თანახმადაც, თვითგამოცხადებული აფხაზეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრ ალექსანდრე ანქვაბზე განხორციელებული თავდასხმა, გაუგებარი მიზეზების გამო, "ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირების პერსპექტივებთან" არის დაკავშირებული. საქართველოს საგარეო სამინისტროს პრესსამსახურის ცნობით, შეშფოთებას იწვევს ის ფაქტი, რომ ხელოვნურად შექმნილი ვითარებით, რუსეთის მხარე არსებულ ფორმატში ქართულ-აფხაზურ მოლაპარაკებათა განახლების ფაქტს ეჭვქვეშ აყენებს. საგარეო უწყებას მიაჩნია, რომ რუსეთი, როგორც ხელშემწყობი მხარე, დაინტერესებული უნდა იყოს კონფლიქტის უახლოეს მომავალში მოგვარებით.

*პრაიმ-ნიუსი*

## განცხადება

საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური იუწყება, რომ საქართველოს პრეზიდენტის 22 თებერვლის განკარგულების მიხედვით, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ორი წევრისა და საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს ცხრა წევრის (მეურვის) ვაკანტურ თანამდებობებზე ღია კონკურსი გამოცხადდა.

აღნიშნული განკარგულება გაზეთ "საქართველოს რესპუბლიკასა" და საქართველოს პრეზიდენტის ოფიციალურ ვებგვერდზე (president.gov.ge) გამოქვეყნდა.

კომისიის წევრობისა და მეურვეობის მსურველებმა შესაბამისი საბუთები ღია კონკურსის სამდივნოში (მისამართზე: 0134, თბილისი, პ. ინგოროყვას ქ. №7, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია) კონკურსის გამოცხადებიდან 30 დღის ვადაში უნდა წარმოადგინონ.

კონკურსის პირობების თანახმად, კომისიის წევრობისა და მეურვეობის კანდიდატი უნდა იყოს საზოგადოებრივი აღიარებისა და ნდობის პირი უმაღლესი განათლებით. რეგისტრაციისათვის მსურველებმა კონკურსის სამდივნოში უნდა წარადგინონ წერილობითი განცხადება ან წარდგინება (რომელსაც თან ახლავს წარდგენილი პირის თანხმობა), ავტობიოგრაფია, უმაღლესი განათლებისა და პირადობის დამადასტურებელი მოწმობების ასლები, სარეკომენდაციო წერილები და მეურვეობის კანდიდატისათვის, 5 წლის მუშაობის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტები.

# როცა სამსახურში ყოფნა ტანჯვაა...

გიორგი ასანიშვილი

*პარლამენტის ხელმძღვანელობა ცდილობს, უდისციპლინო დეპუტატები მოარჯულოს და ისინი სწორ, სხდომათა დარბაზისკენ მიმავალ გზაზე დააყენოს. ვინაიდან ზარმაცებზე და სამსახურის გამცდენებზე მხოლოდ შეგონებები არ ჭრის, დღის წესრიგში დადგა ფინანსური სანქციების შემოღების საკითხი. რეგლამენტში შესატანი ცვლილებების პროექტის მიხედვით, თუ პარლამენტარი, ერთი თვის განმავლობაში, უკლებლივ ყველა პლენარულ და კომიტეტის სხდომას გააცდენს, იგი არათუ ჯამაგირს მიიღებს, არამედ გარკვეული თანხის მოტანა სახლიდან მოუწევს.*



ხათუნა გოგორიშვილის შენიშვნის შემდეგ განცხრომის მოყვარულ დეპუტატებს დისკუსიის ხალისი გაუქრათ.

ტარიფი (გაცდენები) თვლით არის: არასაპატიო მიზეზით ერთი პლენარული სხდომის გაცდენა ხელფასის 10 პროცენტი "ღირს". ვინაიდან თვეში, მინიმუმ, რვა ასეთი სხდომა ტარდება, გამოდის, რომ დეპუტატს "შესაძლებლობა ეძლევა", ჯამაგირის 80 პროცენტს გამოემშვიდობოს. გარდა ამისა, პარლამენტარს ხელფასის 50 პროცენტი დაექვითება, თუ საკომიტეტო სხდომების გაცდენისთვის დაწესებულ ლიმიტს გადააჭარბებს. ასე რომ, მთლად ხელიდან წასული პარლამენტარი, რომელიც თვეში ერთხელ მაინც არ მივა სამსახურში (როგორც ირკვევა, ასეთებიც არიან) ხელფასის 130 პროცენტის ოდენობით დაჯარიმდება.

რეგლამენტში შესატანი ცვლილებების მიხედვით, დეპუტატს არასაპატიო მიზეზით მხოლოდ ერთი საკომიტეტო სხდომის გაცდენის "უფლება ეძლევა". გამონაკლისი დაშვებულია მათთვის, ვინც ორი კომიტეტის წევრია, - მათ თვეში ორჯერ "შეუძლიათ" სხდომის გაცდენა. პროექტის მიხედვით, პლენარული სხდომის უმიზეზოდ გაცდენისთვის ასეთი "შეღავათები" გათვალისწინებული არ იყო, მაგრამ ზოგიერთი პარლამენტარის დაჟინებულმა მოთხოვნამ შედეგი გამოიღო და საპროცედურო საკითხთა კომიტეტმა გუშინ, მეორე მოსმენით, პლენარულ სხდომაზე თვეში ერთხელ დეპუტატების არგამოცხადების "უფლება" ცნო.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არასაპატიო გაცდენად არ ითვლება, თუ დეპუტატს მძიმე ოჯახური მდგომარეობა აქვს, მივლინებაშია ან ავადმყოფობს. ამასთან, ამ უკანასკნელი შემთხვევის სინამდვილეს არავინ შეამოწმებს - საკმარისია, პარლამენტარმა თავისი ფრაქციის ლიდერს აცნობოს, რომ თავს შეუძლოდ გრძნობს.

ანუ, რეგლამენტში ცვლილებების შეტანის შემდეგ, უდისციპლინო დეპუტატებისთვის, ფაქტობრივად, ბევრი არაფერი იცვლება: მათთვის მთავარი იქნება, "ავადმყოფობის" თაობაზე ფრაქციის თავმჯდომარისთვის ხმის მიწვდენა...

თუმცა, დეპუტატებს ასეთი "დრაკონული სანქციები" მაინც ძალიან აშფოთებთ და თავისი "უფლებების" დასაცავად მედგრად იბრძვიან. მაგალითად, საპროცედურო საკითხთა კომიტეტის სხდომაზე კობა დვალიშვილი გუშინ კატეგორიულად ითხოვდა, რომ არასაპატიო გაცდენად მხოლოდ იმ პლენარულ სხდომაზე არდასწრება ჩათვლილიყო, რომელზეც კენჭისყრები მოეწყობა.

დეპუტატის ამ განცხადებამ კომიტეტის თავმჯდომარე ხათუნა გოგორიშვილი მოთმინებიდან გამოიყვანა.

**"თუ სხვაგან არ მუშაობ, ან უსაქმური არა ხარ და დილით ვერ დგები, მაშინ, რატომ ვერ უნდა მობრძანდე დილით პარლამენტში და რეგისტრაცია არ გაიარო?"** - კოლეგების ზღვარგადასული პრეტენზიები გოგორიშვილს ყელში ამოუვიდა. მხოლოდ კომიტეტის თავმჯდომარის განრისხების შემდეგ დაეკარგათ განცხრომის მოყვარულ დეპუტატებს დისკუსიის გაგრძელების ხალისი...

ცალკე თემაა საჯარიმო სანქციების შედეგად დაგროვილი თანხის განკარგვა. საპროცედურო საკითხთა კომიტეტს მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ ამ სახსრების "ათვისების" პროექტი ხაზინადართა საბჭომ მოამზადოს და ის პარლამენტის თავმჯდომარეს წარუდგინოს დასამტკიცებლად.

# "კავკასია მსოფლიოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რეგიონია"

"აშშ-ის უმაღლესი სამხედრო ხელმძღვანელობა კავკასიას მსოფლიოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან რეგიონად მიიჩნევს, " - აღნიშნა ევროპაში ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების უმაღლესმა მთავარსარდალმა, გენერალმა ჯეიმს ჯონსმა თავის მოხსენებაში, რომელიც აშშ-ის მიმდინარე და მომავალ სამხედრო-სტრატეგიულ გეგმებს შეეხებოდა.

მისი თქმით, კავკასიის საჰაერო დერეფანი ის "კრიტიკულად მნიშვნელოვანი ხაზია", რომელიც ავღანეთში დისლოცირებულ კოალიციის შეიარაღებულ ძალებსა და ევროპაში განლაგებულ ამერიკულ ბაზებს ერთმანეთთან აკავშირებს.

"უახლოეს ხუთ წელიწადში კასპიის ნავთობი მსოფლიოში ნავთობის წარმოების ზრდის დაახლოებით 25 პროცენტს შეადგენს", - განაცხადა გენერალმა და დასძინა, რომ ამერიკელ სამხედროთა შეფასებით, კავკასიური ნავთობი "ევროპისთვის ენერგიის წყაროების დივერსიფიკაციას უზრუნველყოფს".

ჯონსის განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ კავკასია ეთნიკური კონფლიქტებით, კორუფციითა და დამნაშავეებითაა მოცული, შარშან რეგიონის ზოგიერთ ნაწილში "დემოკრატიისა და ხელისუფლების სიმტკიცისკენ შესანიშნავი ნაბიჯები გადაიდგა". "ეს რეგიონი ცენტრალური და სამხრეთ-დასავლეთ აზიის ქვეყნებში დემოკრატიისა და საბაზრო ეკონომიკის გავრცელების პროცესში საკვანძო გეოგრაფიული წერტილია," - თქვა ამერიკელმა გენერალმა.

მან, ასევე, აღნიშნა, რომ აშშ მნიშვნელოვან როლს აკუთვნებს მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში თავისი შეიარაღებული ძალების "მოწინავე ბაზირებას". ამ კონტექსტში მან შავი ზღვა, კავკასია, ახლო აღმოსავლეთი და აფრიკა ახსენა. აშშ-ის შეიარაღებული ძალების ევროპული სარდლობა, სპეციალური დანიშნულების ამერიკული ძალების სარდლობასთან ერთად, ამჟამად მუშაობს გეგმაზე, რომლის მიხედვით აშშ-ს თავისი სპეცდანიშნულების "მუდმივი და საროტაციო" ძალები ევროპის სამხრეთში ახალ ბაზებზე გადაჰყავს.

ალპების სამხრეთით სპეცდანიშნულების საჰაერო, სახმელეთო და საზღვაო ძალების განლაგება აშშ-ს საშუალებას მისცემს, გააძლიეროს "მათი ურთიერთმოქმედება, მომზადება და რეაგირება კავკასიასა და აფრიკაში მიმდინარე კრიზისებზე," - განაცხადა გენერალმა ჯონსმა.

*24 საათი*

# ცხინვალი ეუთო-ს არაობიექტურობაში ადანაშაულებს

სამხრეთ ოსეთის თვითალიარებული რესპუბლიკის ხელისუფლება ეუთო-ს ცხინვალის ოფისის ხელმძღვანელს განჩო განჩევს არაობიექტურობაში ადანაშაულებს და საქართველოში ეუთოს მისიისგან ცხინვალიდან განჩევის გაწვევას ითხოვს. ცხინვალის ხელისუფლების განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრის ბორის ჩოჩიევის განცხადებით, ეუთო-ს ცხინვალის ოფისის ხელმძღვანელს სერიოზული პრობლემები შეექმნა მას შემდეგ, რაც ადგილობრივმა მცხოვრებლებმა რამდენიმე საპროტესტო აქცია გამართეს კონფლიქტის ზონაში მიმდინარე პროცესებისადმი განჩევის არაობიექტური დამოკიდებულების გამო.

ჩოჩიევის განმარტებით, სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო ხელისუფლება ასევე მიიჩნევს, რომ განჩევის საქმიანობა ხელს არ უწყობს კონფლიქტის მოგვარებას და სამომავლოდ მისი გაგრძელება მიზანშეწონილი არ არის, რის შესახებაც ოსურმა მხარემ უკვე მიმართა საქართველოში ეუთო-ს მისიის ხელმძღვანელს როი რივს.

საქართველოს სახელმწიფო მინისტრი კონფლიქტების საკითხებში გიორგი ხაინდრავა სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო ხელისუფლების ამ მოთხოვნას "რუსეთის მხრიდან ეუთო-ზე ზეწოლის გაგრძელებად" და "კონფლიქტის ზონაში ეუთო-ს მონიტორინგის მისიის ჩაშლის მცდელობად" აფასებს. ხაინდრავა განჩევის ცხინვალიდან გაწვევას დაუშვებლად მიიჩნევს და სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო ხელისუფლების აღნიშნულ მოთხოვნას "ეუთო-ს შანტაჟის მცდელობად" აფასებს. მისი აზრით, ეუთო-ს ცხინვალის მისიის ხელმძღვანელი განჩო განჩევი კონფლიქტის ზონაში მიმდინარე პროცესების შეფასებისას ყოველთვის პრინციპულობით გამოირჩეოდა და ოსური მხარის მოთხოვნით მისი ცხინვალიდან გაწვევა ყოვლად დაუშვებელია.

*ინტერ-პრესი*

# ხანძარი გურჯაანში

გუშინ, დაახლოებით საღამოს ცხრა საათზე, გურჯაანის რაიონში, ე.წ "დეპოს" დასახლებაში, არასწორი ელექტროგაყვანილობის გამო, ორსართულიან საერთო საცხოვრებელ ბინას ხანძარი გაუჩნდა. როგორც დაზარალებულები ამბობენ, გურჯაანის ხანძარსაწინააღმდეგო სამსახური შემთხვევის ადგილზე მომხდარიდან ერთი საათის შემდეგ გამოცხადდა. აღნიშნული უწყების თანამშრომლები და რაიონის ხელმძღვანელობა კი თავს იმით იმართლებდა, რომ მეხანძრეები ადგილამდე დროულად სოფელ ჩუმლაყის ტყეში გაჩენილი ხანძრის გამო ვერ მივიდნენ. ამის შემდეგ დაზარალებული ოთხი ოჯახი და მეზობლები იძულებულნი გახდნენ, სხვა რაიონის სახანძრო სამსახურები გამოეძახათ. ცეცხლის ლოკალიზება თითქმის მთელი ღამის განმავლობაში მიმდინარეობდა. როგორც დაზარალებულები ამბობენ, სახლს ალი ისე უეცრად მოედო, რომ საოჯახო ნივთების გადარჩენაც ვერ მოახერხეს და ყველაფერი დაეწვათ. რაიონის ხელმძღვანელობა უსახლკაროდ დარჩენილ ოთხ ოჯახს, კომპენსაციის სახით, დახმარებას ჰპირდება.

*24 საათი*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ქართულ-აფხაზური საკოორდინაციო საბჭოს აღმასრულებელ მდივანს ზურაბ ლაკერბაიას, საქართველოს პრეზიდენტის განსაკუთრებულ დავალებათა სრულუფლებიანი რწმუნებულის სტატუსით, ქართულ და აფხაზურ მხარეებს შორის შუამავლის როლის შესრულება დაავალა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** რუსეთი საქართველოს ტერიტორიაზე აშშ-ის სამხედრო ბაზების განლაგების წინააღმდეგია. ამის შესახებ რუსეთის თავდაცვის მინისტრმა სერგეი ივანოვმა მოსკოვში ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა. "ჩვენ საქართველოში აშშ-ის სამხედრო ბაზების წინააღმდეგი ვართ. ამ ბაზების იქ განთავსების აზრს ვერ ვხედავთ," - თქვა მინისტრმა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** თვითგამოცხადებული აფხაზეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი სერგეი ბაგაფში მარტის პირველ დეკადაში მოსკოვს ესტუმრება. რუსეთის დედაქალაქში გამგზავრებას ვიცე-პრეზიდენტი რაულ ხაჯიმბაც ვარაუდობს. ბაგაფშის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ვალერი არშბას ინფორმაციით, მოსკოვში ვიზიტის ფარგლებში ბაგაფში რუსეთის ხელისუფლებას აფხაზეთში ერთობლივი ეკონომიკური პროექტების განხორციელებას შესთავაზებს და ქართულ-აფხაზურ მოლაპარაკებებთან დაკავშირებით რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილეს ვალერი ლოშჩინინს შეხვდება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა მცხეთა-მთიანეთში რეგიონის ახალი რწმუნებული, პარლამენტარი ვასილ მაღლაფერიძე წარადგინა. მან ამ პოსტზე გოგა ხაჩიძე შეცვალა, რომელიც სამცხე-ჯავახეთში პრეზიდენტის რწმუნებულად დაინიშნა. რაც შეეხება ამ რეგიონის ყოფილ გუბერნატორს ნიკო ნიკოლოზიშვილს, პრემიერ-მინისტრის განმარტებით, იგი მუშაობას დიპლომატიურ ასპარეზზე გააგრძელებს. აღსანიშნავია, რომ ნიკოლოზიშვილი წლების მანძილზე სომხეთში საქართველოს ელჩად მუშაობდა. **მედიანიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** პოლიტიკური გაერთიანება "წინ, საქართველო!" ოპოზიციური ძალების გაერთიანების ინიციატივით გამოდის. ამ ორგანიზაციის წარმომადგენლები 2 მარტს საქართველოს ლეიბორისტულ პარტიას სტუმრობდნენ, სადაც კონსულტაციები დახურულ კარს მიღმა გაიმართა. შეხვედრის შემდეგ მხარეებმა განაცხადეს, რომ ხელისუფლების წინააღმდეგ ერთიანდებიან, თუმცა არც ლეიბორისტები და არც "წინ, საქართველოს!" წევრები პოლიტიკური ალიანსის შექმნაზე არ საუბრობდნენ. **მედიანიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** ღონისძიება "ხაფანგი-2005"-ის გატარებისას აეროპორტის პოლიციის ქვეგანყოფილებისა და სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის აეროპორტის სასაზღვრო საიმიგრაციო კონტროლის განყოფილების თანამშრომლებმა თბილისის აეროპორტში, "კიევი-თბილისის" რეისზე დააკავეს ადამიანის გატაცებისა და თავისუფლების უკანონო აღკვეთისთვის საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ ძებნილი, 38 წლის ვლადიმერ კიკნაძე. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გატარებული ღონისძიებების შედეგად სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის მე-4 სამმართველოში აღიძრა სისხლის სამართლის საქმე თბილისში მცხოვრებ ქეთევან უშარიძე-კარაკუშის და თურქეთის მოქალაქის, ანტალიაში მცხოვრებ სედატ კარაკუშის მიმართ ტრეფიკინგის ფაქტზე. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** კრიმინალური დეპარტამენტის სამძებრო სამმართველოს მე-2 განყოფილებაში შესული ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, ამავე განყოფილებისა და საპატრულო პოლიციის თბილისის სამმართველოს თანამშრომლებმა თბილისში დააკავეს 19 წლის გიორგი მეცხვარიშვილი, რომლის პირადი ჩხრეკისას ამოიღეს გადაჭრილი თოფი. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** რუსეთის ფედერაციის ტვერის ოლქში დააკავეს თავისუფლების აღკვეთის მოხდის ადგილიდან გაქცევისთვის საგარეჯოს შს განყოფილების მიერ ძებნილი ჯვანშერ ბარხუდაროვი, რომელმაც 1990 წლის 31 დეკემბერს შს სამინისტროს სასჯელაღსრულების დაწესებულების სამმართველოს რესპუბლიკური საავადმყოფოდან გაიქცა და იმყოფებოდა მიმალვაში. მზადდება მასალები ბარხუდაროვის საქართველოში ექსტრადიციის მიზნით. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამართალდამცავებმა დააკავეს წყალტუბოში მცხოვრები, მრავალჯერ ნასამართლევი ელგუჯა ფირცხალავა, რომლისგანაც ამოიღეს 0.6 გრამი მარიხუანა, ხოლო სახლიდან ამოიღეს ავტომატი "აკს", 19 ვაზნა და ნიღაბი. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თურქული თევზსაჭერი სეინერები "ზაგორ-2" და "ადამ ბაბა-3" ქართულმა მხარემ გაათავისუფლა. ორივე მთგანმა ფოთის საქალაქო სასამართლოს მიერ დაკისრებული ჯარიმა 65-65 ათასი ლარი უკვე გადაიხადა. სეინერები საზღვრის დაცვის დეპარტამენტის საოპერაციო სამმართველოს თანამშრომლებმა 26 თებერვალს ფოთთან აკრძალულ ადგილებში თევზჭერისთვის დააკავეს. აღნიშნული დარღვევისთვის საქართველოს კანონმდებლობა 50-დან 70 ათას ლარამდე ჯარიმას ითვალისწინებს. **მედიანიუსი**

# ფოტორეპორტაჟები რადიო მწვანე ტალღის სტუდიიდან

რადიო „მწვანე ტალღა" თავისუფალი აზრის რადიო

**FM 107.4**

„ხალხის ტრიბუნა" ყოველ საღამოს შაბათ-კვირის გარდა 7-დან 8 საათამდე

## „რელიგიის ისტორიის სავალდებულო სწავლება შესაძლოა კონფლიქტების კიდევ ერთი მიზეზი გახდეს"

წამყვანი სოფო გელოვანი
გადაცემაში მონაწილეობენ ლევან გახელაძე,განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პრეს-სამსახურის ხელმძღვანელი
დავით ზურაბიშვილი,პარლამენტის განათლების,მეცნიერების,კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე



დავით ზურაბიშვილი:

სკოლებში რელიგიის ისტორიის სწავლების წინააღმდეგი ვარ, მითუმეტეს ამ ეტაპზე ეს ყოვლად დაუშვებლად მიმაჩნია. დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, საქართველოს სკოლებში რელიგიის ისტორიის სწავლება არ შეიძლება, რადგანაც რელიგიის ისტორიის სწავლება არაქართულ რეგიონებში (ქვემო ქართლი, ახალციხე) კონფლიქტის მიზეზი გახდება. ამის გარდა,საქართველოში 3 600 სკოლაა და მე არ მეგულება რელიგიის ისტორიის 3 600 მასწავლებელი, რომლებიც რელიგიის ისტორიის სწავლებას ობიექტურად მოახერხებენ.



ლევან გახელაძე:

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში რელიგიის ისტორიისა და კულტურის საგნის სწავლების,არსწავლების ან სწავლების ფორმის საკითხს,ისევე როგორც სხვა საგნების სწავლებისა და სწავლის საკითხებს საერთო განხილვის გზით საქართველოს 72 ათასი პედაგოგი გადაწყვეტს.

# ძველი და ახალი ელიტის ბრძოლის დასაბამი

პირველი გვერდიდან

გასატან ჯართზე საბაჟო გადასახადის გაზრდა. ყველასათვის გასაგებია, რომ ჯართზე გადასახადის ორმოცპროცენტიანი ზრდა მიზნად ისახავს არა სახელმწიფო ბიუჯეტის შევსებას, არამედ ბიზნესის ამ სფეროში არსებული სისტემის დაშლას. საგარეო ბაზარზე ჯართის ფასი სავსებით არ არის დამოკიდებული იმაზე, თუ რა გადასახადებია ჯართზე აფხაზეთში. ამდენად, "დრაკონული" გადასახადის პირობებში, ეს ბიზნესი წამგებიანი ხდება. ჯართზე გადასახადის გაზრდით, მთავრობა სერიოზულ პრობლემებს შეუქმნის ამ სფეროში არსებულ კრიმინალურ და არაგამჭვირვალე ბიზნესს. გარდა ამისა, ჯართის ბაზრის განვითარებამ სერიოზული ზიანი მიაყენა აფხაზეთის ეკონომიკას. ჯართად იყიდებოდა მთელი რიგი საწარმოები და სავსებით ახალი დანადგარები. ჯართის ბიზნესის ლიკვიდაციის მიზნით, ხელისუფლებამ კონკრეტული ნაბიჯები გადადგა. დაკავებულია 300 ტონა ჯართი, რომელიც აფხაზეთის სავაჭრო-სამრეწველო პალატას გასატანად ჰქონდა გამზადებული. ფისკალურ ორგანოებს ეჭვი აქვთ, რომ დაკავებული ტვირთი ჯართი კი არა, სავაჭრო-სამრეწველო პალატის კუთვნილი ერთ-ერთი საწარმოდან გატანილი სამრეწველო დანადგარია. როგორი შედეგითაც არ უნდა დასრულდეს ამ საქმისა და მომავალში სხვა მსგავსი საქმეების გამოძიება, ერთი რამ ცხადია - ხელისუფლების პოლიტიკამ ამ მხრივ საკმაოდ დიდი დარტყმა მიაყენა კრიმინალური ჯგუფების ინტერესებს. ამდენად, არ არის გამორიცხული, რომ ანქვაბზე თავდასხმა სწორედ ამ ჯგუფების მიერ იყოს ორგანიზებული.

არის კიდევ ერთი კრიმინალური ინტერესი. ამჯერად საქმე ეხება სასჯელაღსრულების სისტემაში მოსალოდნელ ცვლილებებს. დიდი ხანია, ვრცელდება ხმები იმის შესახებ, რომ გასამართლებულთა დიდი ნაწილის რუსეთში ეტაპირებაა დაგეგმილი. სავარაუდოდ, ამ გეგმის ხორცშესხმა სულ მალე დაიწყება. ამ რეფორმას ორი მიზეზი აქვს. პირველი - ხელისუფლება უკვე კარგა ხანია, აღიარებს, რომ მსჯავრდებულთა სრულფასოვნი შენახვა არ შეუძლია; მეორე - ყველასათვის ცნობილია, თუ როგორ ყვავის ამ სფეროში კორუფცია. ხშირია შემთხვევები, როდესაც ციხის ხელმძღვანელობასთან "გარიგებული" მსჯავრდებული სასჯელს სახლში "იხდის". აფხაზური კრიმინალური სამყაროსთვის, რომელიც რუსულ პირობებში სრულიად "არაკონკურენტუნარიანია", ეს საშინელი დარტყმა იქნება. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ახალ ხელისუფლებაზე აფხაზ კრიმინალებს არავითარი გავლენა არა აქვთ, არ არის გამორიცხული, ანქვაბზე თავდასხმით კრიმინალურმა სამყარომ რუსეთის ციხეებში აფხაზ დამნაშავეთა შესაძლო ეტაპირება გააპროტესტა.

### უკანასკნელი გაფრთხილება

შინაგან საქმეთა სამინისტროს ექსპერტებმა, შემთხვევის ადგილისა და დაცხრილული ავტომანქანის დათვალიერების შემდეგ, აღნიშნეს, რომ თავდამსხმელთა მიზანი სულაც არ ყოფილა ანქვაბის მოკვლა. უფრო მეტიც, სავარაუდოდ, თავდამსხმელთა მიზანი იყო ისე დაეცხრილათ მანქანა, რომ იქ მჯდომი არც ერთი ადამიანი არ დაზარალებულიყო. თავად განსაჯეთ, მანქანას რვა ნატყვიარი აქვს, დაჭრილი კი არავინაა. ანქვაბს გაუმართლა. თავდასხმის დროს ის ვიცე-პრემიერ ლეონიდ ლაკერბაიას მანქანაში იჯდა და საკუთარ "ვოლგას" უკან მიჰყვებოდა.

თუ ეს ყველაფერი მართალია და თავდამსხმელების მიზანი ანქვაბის ლიკვიდაცია არ ყოფილა, მაშინ ჩნდება ვერსია, რომ უცნობებს პრემიერ-მინისტრის დაშინება უნდოდათ.

ბევრმა მიაქცია ყურადღება იმას, რომ ანქვაბის პრემიერად დანიშვნის დღიდან უკვალოდ გაქრა წინასაარჩევნო პერიოდის დროს მისთვის დამახასიათებელი პოპულისტური განცხადებები. ანქვაბის გამოსვლები აშკარად თავშეკავებული და გაცილებით უფრო რბილი გახდა. გაჩნდა მოსაზრება, რომ ახალმა და ძველმა ხელისუფლებამ გარკვეულ შეთანხმებას მიაღწიეს, რაც გავლენის სფეროების გადანაწილებასა და ძველი მონოპოლიების ხელშეუხებლობას გულისხმობდა. ასეა თუ ისე, ახალი ხელისუფლების ნებისმიერი მცდელობა, მიმართული ეკონომიკური წესრიგის დამყარებისაკენ, აუცილებლად შეეჯახება ძველი ელიტის ინტერესებს - კრედიტების განაწილება, პრივატიზაცია, საგადასახადო შეღავათები, მონოპოლიების საქმიანობა და ა.შ. ეს ყველაფერი, შესაძლოა, ახალი ხელისუფლებისა და ბაზრის დღევანდელი მფლობელების დაუნდობელი ბრძოლის მიზეზი გახდეს. უფრო მეტიც, ძველი ელიტის ინტერესების იგნორირებისა და ზოგ შემთხვევაში მკაცრი ჩახშობის გარეშე, ახალი მთავრობის მოღვაწეობა ეფექტური ვერ იქნება. ცხადია, ანქვაბმა ეს კარგად იცის. სწორედ ამიტომ მისმა პირველივე ნაბიჯმა - აქციამ ჯართის წინააღმდეგ - გავლენიან ჯგუფებში ნეგატიური რეაქცია გამოიწვია. შესაძლოა, თავდამსხმელებმა ანქვაბს უბრალოდ ხატოვნად განუმარტეს, თუ რა შეიძლება მოჰყვეს ახალი მთავრობის მიერ წარმოებულ პოლიტიკას.

თუ გავითვალისწინებთ ანქვაბის ხასიათს, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს დაშინება მასზე სრულიადაც არ იმოქმედებს. უფრო მეტიც, შესაძლოა, ამ ფაქტმა ანქვაბს კიდევ უფრო რადიკალური ნაბიჯები გადაადგმევინოს. ამიტომ, ზოგიერთი დამკვირვებელი, ის, ვინც ყურადღებით შეისწავლა ანქვაბის რეაქცია თავდასხმის ფაქტის გამო, კიდევ ერთ საინტერესო ვერსიას არ გამორიცხავს.

### სპექტაკლი

ექსპერტები თანხმდებიან იმაზე, რომ ახალ პრეზიდენტსაც და ახალ მთავრობასაც, ქვეყანაში არსებული სიტუაციის გამოსასწორებლად, საკმაოდ მკაცრი ზომების მიღება მოუწევთ. ძველი და ახალი ელიტის ინტერესთა სფეროების შეჯახება გარდაუვალია. ასეთ პირობებში შეუძლებელია, ახალი მთავრობა არ ფიქრობდეს იმაზე, თუ როგორ განახორციელოს დარტყმა ძველ კლანებზე. ასეთ სიტუაციაში აუცილებელია "პროვოკაციული პიარი". საჭიროა შეიქმნას ისეთი საზოგადოებრივი აზრი, რომელიც "მაფიაზე" თავდასხმის რადიკალურ ნაბიჯებს გაამართლებს და ამ ნაბიჯების გარდაუვალობაში დარწმუნებული იქნება. აქედან გამომდინარე, არის მოსაზრება, რომ ორშაბათს ანქვაბზე განხორციელებული თავდასხმა ხელისუფლების მიერვე იყო დადგმული. ასეთი ხერხით ხელისუფლება შეეცდებოდა იმის დამტკიცებას, რომ ძველი კლანები ახალ მთავრობას სერიოზულ პრობლემებს უქმნიან და კომპრომისზე წამოსვლას არ აპირებენ. შესაბამისად, ასეთ უკომპრომისო კლანებთან ბრძოლა, მხოლოდ და მხოლოდ, მკვეთრი ღონისძიებებით შეიძლება და საზოგადოება სავსებით გაამართლებს ძალადობას ძველი ელიტის წინააღმდეგ. ამ ვერსიის მომხრეებს მთავარ არგუმენტად სწორედ ის მოჰყავთ, რომ დაცხრილულ მანქანაში ანქვაბი არ იჯდა.

ასეა თუ ისე, საეჭვოა, რომ მოსახლეობამ ოდესმე სიმართლე შეიტყოს. ცხადია მხოლოდ ერთი რამ - ეს თავდასხმა მთავრობასა და ძველ ეკონომიკურ ჯგუფებს შორის ახალი დაუნდობელი ბრძოლის დასაბამი გახდება.

# როგორ დაკომპლექტდეს საარჩევნო ადმინისტრაცია?

პირველი გვერდიდან

შევა და ხუთივე სწორედ საარჩევნო ადმინისტრაციების დაკომპლექტების წესს შეეხება. ეს კი, ბუნებრივია, განხილვის პროცედურას გააჭიანურებს.

დღეისთვის ალტერნატიული კანონპროექტები საჯარო მსჯელობისთვის წარმოადგინეს კონსერვატიულმა პარტიამ, "ახალმა მემარჯვენეებმა", "არასამთავრობო ორგანიზაციათა სამუშაო ჯგუფმა", "სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ" და "ახალი თაობა - ახალმა ინიციატივამ".

აქვე დავძენთ, რომ ორდღიანმა კონსულტაციებმა ერთი დადებითი შედეგი მაინც მოიტანა - არაოფიციალური ინფორმაციით, არასამთავრობო სექტორი და ოპოზიციური პარტიები კვლავ გააგრძელებენ კონსულტაციებს და შეეცდებიან, იურიდიულ კომიტეტში განსახილველად შეჯერებუ-



საარჩევნო ადმინისტრაციების დაკომპლექტებაზე კონსენსუსის მიღწევა არ ხერხდება.

დემოკრატიის საერთაშორისო სა-

ვნულ-დემოკრატიული ინსტიტუ-

შირებული ფართო დებატები სა-

კუსიაში საზოგადოების აქტიურ

# საარჩევნო კოდექსი კვლავ აქტუალურია

*სავარაუდოდ, მომავალ სასესიო კვირას პარლამენტი დაიწყებს "თბილისის შესახებ" კანონში შესატანი ცვლილებების განხილვას, რომელიც საკრებულოს წევრთა რაოდენობის შემცირებასა და მერის არჩევის პრინციპს ეხება. თუმცა, ეს მხოლოდ ერთი საკითხია იმ პრობლემისა, რომელსაც არჩევნები ჰქვია და რომლის გამართვის პროცედურები კვლავაც მოუწესრიგებელია.*

თამარ მჭედლიშვილი

როგორც პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტში აცხადებენ, მალე დეპუტატები კვლავ მიუბრუნდებიან არჩევნების შესახებ მთავარ კანონს - საარჩევნო კოდექსს, სადაც საკმაოდ ბევრი თეთრი ლაქაა. როგორც ცნობილია, პარლამენტმა, საკმაოდ სწრაფად, პირველი მოსმენით მიიღო ცვლილებები, რომელიც, ძირითადად, საარჩევნო ადმინისტრაციების დაკომპლექტების წესს ეხებოდა (აქვე დავძენთ, რომ ცვლილებები იმდენად ნაუცბათევად იყო მომზადებული, რომ არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებმა იგი ლამის გასაიდუმლოებულ კანონპროექტად მონათლეს).

ამ ცვლილების თანახმად, ცენტრალური საარჩევნო კომისია შვიდკაციანი იქნება, ხოლო კანდიდატურებს თავად პრეზიდენტი შეარჩევს. ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო კი პრეზიდენტის მიერ შერჩეული კანდიდატურებისაგან ექვს საუკეთესოს დატოვებს.

მაშინ არასამთავრობო სექტორისათვის სრულიად გაუგებარი აღმოჩნდა, თუ რა კრიტერიუმებით მოხდება ამ კანდიდატების შერჩევა. მართალია, კანონში მიღებული ცვლილების თანახმად, ცესკო-ში ვაკანსიებზე უნდა გამოცხადდეს კონკურსი, მაგრამ რა სახის იქნება ეს კონკურსი და ვინ აარჩევს კანდიდატურებს პრეზიდენტისთვის წარსადგენად, ანუ ვინ ან რომელი კონკრეტული სტრუქტურა შეასრულებს ერთგვარი ფილტრის ფუნქციებს, ამის თაობაზე კანონპროექტში არაფერი იყო ნაქთვამი.

გარდა ამისა, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელთა აზრით, საარჩევნო კოდექსში შესატანია არა ცალკეული, არამედ კომპლექსური ცვლილებები, რომელიც არა მხოლოდ საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების წესს, არამედ მათ უფლებამოსილებებს შეეხება. მათივე თქმით, კანონში მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული სასამართლოს როლი საარჩევნო დავების განხილვისას.

დავა კარგა ხანს გაგრძელდა და შემდეგ შეწყდა. ოფიციალური ვერსიით, ცალკე პარლამენტი და ცალკე არასამთავრობო სექტორი კანონის უფრო მეტად დახვეწას ცდილობენ და მალე პოზიციების შეჯერებაზეც იზრუნებენ. ამასობაში კი, ძველი წესით დაკომპლექტებულ ცენტრალურ საარჩევნო კომისიას (ისევე როგორც საარჩევნო ადმინისტრაციებს მთელ ვერტიკალზე) უფლებამოსილება უნარჩუნდება.

ასე რომ, პარლამენტი ვალდებულია, პირველი მოსმენით მიღებული ცვლილებები ბოლომდე მიიყვანოს და საარჩევნო ადმინისტრაციების დაკომპლექტების წესი საბოლოოდ განსაზღვროს.

თუმცა, პრობლემა აქ როდი მთავრდება. საქმე ის არის, რომ საქართველოში ბოლო წლებში განვითარებულმა მოვლენებმა სრულიად დაარღვია არჩევნების გამართვის კონსტიტუციური ვადები.

ეს 2001 წლიდან დაიწყო. წესით, სწორედ ამ წლის შემოდგომაზე უნდა გამართულიყო ადგილობრივი არჩევნები. თუმცა, მაშინ პოლიტიკურმა სპექტრმა მისი ნახევარი წლით გადადების გადაწყვეტილება მიიღო. ასე რომ, არჩევნები 2002 წლის ზაფხულის დასაწყისში გაიმართა. ახლა გასარკვევია, დაუბრუნდება თუ არა პარლამენტი კონსტიტუციურ ვადებს, თუ არჩევნების გადადების პრაქტიკა აქტიურად დაინერგება. თუკი ეს მოხდა, მაშინ საკრებულოს მომავალი არჩევნები არა მიმდინარე წლის შემოდგომაზე, არამედ მომავალი წლის გაზაფხულზე გაიმართება.

ცალკე საკითხია პარლამენტის არჩევნები. დღეს ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში ის ადამიანები არიან, ვინც სხვადასხვა დროს აირჩნენ (მაჟორიტარები 2003 წლის ნოემბერს შევიდნენ პარალმენტში, პროპორციული სიით არჩეულები კი - 2004 წლის მარტში). აქედან გამომდინარე, პარლამენტმა მკაფიოდ უნდა გამოკვეთოს საკუთარი პოზიცია ამასთან დაკავშირებით და ათვლის წერტილად კონკრეტული ვადა უნდა დაასახელოს. წინააღმდეგ შამთხვევაში, საქმე კვლავ კონსტიტუციური ვადების დარღვევასთან გვექნება.

ასე რომ, პარლამენტს საფიქრალი საკმაოდ ბევრი აქვს. თუკი დღეს დეპუტატები ამ პრობლემებს წაუყრუებენ, შემდეგ უფრო გაჭირდება კანონის კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მოყვანა.

# დეპუტატები კახელების პრობლემებზე ფიქრს იწყებენ

*კახელი დეპუტატების საკოორდინაციო საბჭო, რომელსაც საფუძველი რამდენიმე თვეა, ჩაეყარა, პირველ გასვლით სხდომას თელავში მართავს. შეხვედრა რაიონის გამგებლებთან, კახეთის სამხარეო ადმინიტრაციაში, დახურულ კარს მიღმა წარიმართა, რომელიც რეგიონის პრობლემების მოგვარებას უკავშირდებოდა. ერთსაათიანი დიალოგის შემდეგ გაირკვა, რომ ამიერიდან კახეთში არსებული პრობლემების აღმოფხვრაში წვლილს კახეთის რეგიონიდან პარლამენტში წარდგენილი დეპუტატებიც შეიტანენ. "მართალია, აქ არსებულ პრობლემებზე პასუხისმგებლობა, ძირითადად, რეგიონის ხელმძღვანელობას ეკისრება, მაგრამ ამიერიდან მათი გადანაწილება მოხდება უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში მყოფ ყველა კახელ დეპუტატზე," - განაცხადა პრალამენტარმა მარიკა ვერულაშვილმა, რომლის ინიციატივით გუშინდელი გასვლითი სხდომა მოეწყო.*

ზვიად რუაძე
კახეთიდან

იმ დროს, როდესაც კახეთში საგაზაფხულო ხვნა-თესვა უკვე დაწყებული უნდა იყოს, საწვავის გაძვირების გამო ათასობით ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთები კვლავ დაუმუშავებელია. დიზელის საწვავზე ფასები მას შემდეგ გაიზარდა, რაც ფინანსურმა პოლიციამ, აზერბაიჯანი-ლაგოდეხის სასაზღვრო ზოლზე კონტროლი თავად გაამკაცრა. ამის გამო საბაჟო გამშვებ პუნქტებზე საპროტესტო აქციებიც კი გაიმართა. **"ხალხი მარტო არჩევნებზე არ უნდა გვახსოვდეს, რათა პარლამენტში მოვხვდეთ. მათი ბედით და მდგომარეობით ჩვენც უნდა დავინტერესდეთ. სწორედ ამის გამო მოვუწოდებ ყველა ჩემს კახელ კოლეგას, რომ პასუხისმგებლობა გადავინაწილოთ ჩვენც,"** - ამბობს მარიკა ვერულაშვილი.

კახელი დეპუტატების საკოორდინაციო საბჭოს დახურული სხდომის ძირითადი საკითხების შესახებ კომენტარები დეპუტატებმა გააკეთეს. როგორც გაირკვა, პირველი საკითხი, რომელიც განიხილეს, რთველთან დაკავში-

მოაგვაროს, სანამ მოსახლეობას მოთმინების ფიალა აევსება და აქციებს გამართავს. **"კვერცხი რომ მოგვადგება, მაშინ კი არ უნდა ვიფიქროთ, არამედ მანამდე. სწორედ დღეიდან ვიწყებთ ამ პრობლემის მოგვარებას,"** - აღნიშნავს დეპუტატი და იქვე იმასაც დასძენს, რომ კახეთის პრობლემებს იგი პრემიერ-მინისტრს 11 მარტისთვის აცნობებს. რთველის მოახლოვდებამდე კი საკოორდინაციო საბჭოს უმრავლესობა მოსახლეობას პერმანენტულად შეხვდება და მათ სატკივარს ისე გაეცნობა. მიწის დამუშავებასთან დაკავშირებით შექმნილი პრებლემების მოგვარებას მოსახლეობას, კახეთის მხარეში პრეზიდენტის რწმუნებული, პეტრე ცისკარიშვილიც ჰპირდება. იგი, მხარის ფონდიდან, ეკონომიკურად ძალზე გაჭირვებული ოჯახების დიზელის საწვავით დახმარებას გეგმავს.

**"მართალია, ზოგადი წარმოდგენა უკვე შეგვექმნა აქაურ პრობლემებთან დაკავშირებით, მაგრამ მე იმას ვერ ვიტყვი, რომ კახეთის გუბერნიამ, გინდაც გამგებლებმა, ანგარიში ჩაგვაბარეს და მათი მუშაობით კმაყოფილი ან უკმაყოფილო ვარ. ჩვენი მუშაობის პროცესში არ გამოვ-**

# წალკას არ გაუმართლა

## "გალასვეგასება" მხოლოდ წყალტუბოს ელის...

*გრძელდება განხილვები საქართველოში კაზინოების სალიცენზიო გადასახდელების ოდენობასთან დაკავშირებით. როგორც ჩანს, თბილისსა და საქართველოს სხვა ქალაქებში აღნიშნული მოსაკრებლების მოცულობა განხილვების პირდაპირპროპორციულად იზრდება. თუმცა, ერთი გამონაკლისით - წყალტუბო კვლავ ინარჩუნებს "გალასვეგასების" პერსპექტივას.*

დიანა ჩაჩუა

საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის მიერ "სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვების გაცემის საფუძვლების შესახებ" კანონპროექტისთვის მომზადებული ცვლილება, თბილისში სამორინეების მფლობელებისთვის მოსაკრებლის 5 მილიონ ლარამდე გაზრდას ითვალისწინებს. ამავე ცვლილებით, აღნიშნული მოსაკრებელი ბათუმში 500 ათასი ლარიდან ერთ მილიონამდე გაიზრდება, წყალტუბოში განლაგებული კაზინოების მფლობელები კი კვლავ თავისუფალნი არიან აღნიშნული ვალდებულებისგან.

გუშინდელ საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის სხდომაზე "მემარჯვენე ოპოზიციის" წარმომადგენელი ზურაბ ტყემალაძე წყალტუბოს და წალკის ერთ პირობებში ჩაყენებას მოითხოვდა, თუმცა - უშედეგოდ.

საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმა უარი თქვა, ასევე, "მემარჯვენე ოპოზიციის" მიერ წარმოდგენილ ალტერნატიულ წინადადებაზე. კერძოდ, ზურაბ ტყელამაძე ითხოვდა, რომ კაზინოები თბილისში საერთოდ დახურულიყო და საქართველოს კონსტიტუციის ფარგლებში კაზინოების მეპატრონეებს ზარალი ანაზღაურებოდათ.

**"აღნიშნული კანონპროექტით თბილისში სამორინეების მფლობელებისთვის 5-მილიონიანი მოსაკრებლის დაკისრება უკანონოა, რადგან ეს "საინვესტიციო საქმიანობის გარანტიების შესახებ" მოქმედ კანონს ეწინააღმდეგება,"** - აცხადებდა ტყემალაძე. მისი განმარტებით, "საინვესტიციო საქმიანობის გარანტიების შესახებ" მოქმედი კანონი თავისი შინაარსით ინვესტიციების ხელშეწყობის სამართლებრივი რეჟიმის უზრუნველყოფას გულისხმობს, რასაც, თავის მხრივ, ახალი კანონპროექტი უგულებელყოფს.

გუშინვე კომიტეტმა არ მიიღო "ნაციონალური მოძრაობის" წევრის მამუკა სანებლიძის ინიციატივა, რომელიც თბილისში კაზინოების სალიცენზიო მოსაკრებლის 10 მლნ ლარამდე გაზრდას ითვალისწინებდა.

როგორც გაირკვა, პარლამენტი კაზინოების მოსაკრებლების საკითხზე მომავალ სასესიო კვირას, უკვე წარმოდგენილ ცვლილებებთან ერთად, "მემარჯვენე ოპოზიცია - მრეწველები ახლების" მიერ მომზადებულ ალტერნატიულ კანონპროექტს განიხილავს. ეს ვარიანტი თბილისში სამორინეს სალიცენზიო მოსაკრებლის 10 მილიონ ლარამდე გაზრდას ითვალისწინებს.

# "ბი-პის" კონტრაქტორ ფირმას უჩივიან

*სამშენებლო კომპანია "გეოტეკი" "ბრითიშ-პეტროლიუმის" კონტრაქტორ ფირმას - "პეტროფაკს" უჩივის. "გეოტეკის" ხელმძღვანელობა "პეტროფაკისგან" შესრულებული სამუშაოების ღირებულების ანაზღაურებას ითხოვს, თუმცა ეს უკანასკნელი დავალიანების არსებობას კატეგორიულად უარყოფს.*

ეთერ მამულაშვილი

გუშინ მხარეები პარლამენტში, დარგობრივი ეკონომიკისა და პოლიტიკის კომიტეტის წევრების თანდასწრებით, ცდილობდნენ ურთიერთობების გარკვევას. შეხვედრა, რომელიც დახურულ კარს მიღმა თითქმის ორი საათი გრძელდებოდა, ყოველგვარი კონსენსუსის გარეშე დასრულდა. არც ერთი მხარე პოზიციის დათმობას არ აპირებს. შეხვედრის დასრულების შემდეგ "პეტროფაკის" წარმომადგენლებმა პარლამენტის შენობა ისე დატოვეს, რომ მათ ჟურნალისტებისთვის კომენტარი არ გაუკეთებიათ, სამაგიეროდ "გეოტეკმა" "პეტროფაკთან" შექმნილი პრობლემების შესახებ დეტალურად ისაუბრა.

საქმე ეხება დაახლოებით 8 მილიონ ლარს, რომელიც, "გეოტეკის" გენერალური დირექტორის ლადო გურგენიძის მტკიცებით, "პეტროფაკს" მისი კომპანიის მართებს.

მისივე თქმით, "გეოტეკი", როგორც "პეტროფაკის" ერთ-ერთი მთავარი კონტრაქტორი და "ბი-პის" ქვეკონტრაქტორი კომპანია, დიდი ხანია "ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის" პროექტში სამშენებლო სამუშაოებს ასრულებს. ლადო გურგენიძემ "24 საათთან" საუბრის დროს აღნიშნა, რომ გასული წლის შემოდგომიდან მოყოლებული, "პეტროფაკმა" მის კომპანიას დაფინანსება შეუწყვიტა, რამაც თავის მხრივ "გეოტეკს" ბიუჯეტისა და საგადასახადო ორგანოების წინაშე პრობლემები შეუქმნა. **"გარდა კონტრაქტით გათვალისწინებული ვალდებულებებისა, ჩვენ მოგვიწია დამატებითი სამუშაოების შესრულება, რაც ჩვენმა კონტრაქტორმა ფირმამ არ აგვინაზღაურა. მეტიც, ის დავალიანების არსებობას უარყოფს და არაფრის გადახდას არ აპირებს,"** - გვითხრა ლადო გურგენიძემ.

მართლაც, დარგობრივი ეკონომიკისა და პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარის სახელზე გაგზავნილ წერილში, "პეტროფაკის" ხელმძღვანელობა "გეოტეკის" მიმართ არსებულ დავალიანებას კატეგორიულად უარყოფს.

ლადო გურგენიძე ამბობს, რომ "პეტროფაკის" წინააღმდეგობის მიუხედავად "გეოტეკი" არ აპირებს სადავო თანხის დათმობას, ყოველ შემთხვევაში იმ 6 მილიონ ლარს მაინც, რომელიც "ბი-პის" კონტრაქტორს, გურგენიძის მტკიცებით, "გეოტეკის" მართებს. სამშენებლო კომპანიის გენერალური დირექტორი განმარტავს, რომ სადავო 8 მილიონიდან 6 მილიონი ლარი "პეტროფაკს" უშუალოდ "გეოტეკის" მართებს, ხოლო 2 მილიონი - სახელმწიფო ბიუჯეტის ("გეოტეკის" აქციების საკონტროლო პაკეტს - 51 პროცენტს - სახელმწიფო ფლობს). ლადო გურგენიძე ამ ეტაპზე მაქსიმალურად იკავებს თავს სასამართლოში ჩივილისგან, თუმცა გამოუვალ ვითარებაში არც ამას გამორიცხავს. ის ასევე ამტკიცებს, რომ, "გეოტეკის" მსგავსად, "პეტროფაკმა" კიდევ ორი კონტრაქტორი კომპანია "გადააგდო". ერთ-ერთი მათგანი "ჯეოინჟინერინგია", თუმცა ორივე შემთხვევაში, სადავო თანხის მოცულობა ბევრად ნაკლები იყო, ვიდრე "გეოტეკის" შემთხვევაში.

**"იმის, გამო, რომ "პეტროფაკი" უარს ამბობს ჩვენთვის თანხის გადახდაზე, სერიოზული პრობლემები შეგვექმნა ბიუჯეტთან, ვერ ვიხდით მიმდინარე გადასახადებს. ჩვენ ვთხოვეთ ფინანსთა სამინისტროს, რომ მანამ, სანამ "პეტროფაკთან" ურთიერთობას გავარკვევდეთ, საურავების დარიცხვისგან თავი შეეკავებინა,"** - უთხრა "24 საათს" ლადო გურგენიძემ. გუშინდელ შეხვედრას ფინანსთა მინისტრის მოადგილე გიორგი გოდაბრელიძეც ესწრებოდა. იგი "გეოტეკს" მინისტრთან შუამდგომლობას დაჰპირდა.

ლადო გურგენიძის ინფორმაციით, "გეოტეკს" ჯარიმა-საურავების სახით თვეში დაახლოებით 80 ათასი ლარი ერიცხება.

საკუთარი პოზიციის დაფიქსირებისგან გუშინ თავი შეიკავეს დარგობრივი ეკონომიკისა და პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარემ და წევრებმაც. ჟურნალისტებთან საუბრის დროს მათ მხოლოდ ის აღნიშნეს, რომ უახლოეს მომავალში კომიტეტი აღმასრულებელ ხელისუფლებას შექმნილი ვითარების შესახებ დეტალურ ინფორმაციას წარუდგენს და ამ სიტუაციის მოგვარების რეკომენდაციასაც შესთავაზებს.




# ხელისუფლება ენერგოკომპანიების გაყიდვის პროცესს აჩქარებს

## ელექტროენერგეტიკულ სექტორში რუსულ ინტერესებს ახალი შანსი ეძლევა

*საქართველოს ელექტროენერგეტიკულ სექტორში დაჩქარებული პრივატიზაციის პროცესი იწყება - ასეთი გახლდათ გუშინდელი მთავრობის სხდომის მთავარი მესიჯი. მას შემდეგ, რაც ხელისუფლებამ ახალი ენერგოობიექტების მშენებლობის გრანდიოზული გეგმები დასახა, ამ გრანდიოზული გეგმების დასაფინანსებელი თანხების მობილიზების დროშის ქვეშ, ენერგოსექტორის აუქციონზე გამოტანა გადაწყდა. საინტერესო დეტალი - პრივატიზაციიდან მიღებული თანხები ახალი ენერგოობიექტების მშენებლობას ბიუჯეტის გვერდის ავლით (!) მოხმარდება. კიდევ ერთი საინტერესო დეტალი - საქართველოს ხელისუფლება აპირებს, სასწრაფოდ გაყიდოს გაერთიანებული სადისტრიბუციო კომპანია, რომელიც საქართველოს რეგიონებს ამარაგებს. ჯერჯერობით გაურკვეველია, როგორ მოხდება ამ კომპანიის დაცვა რუსული ინტერესებისგან, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ქვეყნის დედაქალაქის ენერგომომარაგებას ისედაც რუსული "რაო" ახორციელებს.*



*გაერთიანებული სადისტრიბუციო კომპანია იყიდება.*

თამარ ხორბალაძე

საქართველოს სახელმწიფო მინისტრი კახა ბენდუქიძე ქართული სადისტრიბუციო და გენერაციის ობიექტების პრივატიზაციის პროცესში რუსული კომპანია "რაო-ეეს"-ის (რუსეთის ერთიანი ენერგოსისტემები) მონაწილეობას გამორიცხავს. გუშინ ბენდუქიძემ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მთავრობის მიერ დაგეგმილ "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" და გენერაციის ობიექტების პრივატიზაციაში "რაო-ეეს"-ის, როგორც თბილისის ელექტროგამანაწილებელი კომპანია "თელასის" მესაკუთრის, მონაწილეობა სასურველი არ არის (!).

**"ენერგობაზარზე ახალი მოთამაშე უნდა გაჩნდეს. არ არის გამორიცხული, რომ ეს ქართულ-უცხოური კონსორციუმი, ან ევროპული კომპანია იყოს,"** - განაცხადა ბენდუქიძემ.

მისივე თქმით, მთავრობა ადგილობრივ და უცხოელ ბიზნესმენებს, ენერგოობიექტების პრივატიზაციის შესახებ ინტერესთა გამოხატვის საშუალებას რამდენიმე კვირაში მისცემს.

ხელისუფლების განცხადებას გუშინვე გამოეხმაურა საქართველოს "გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" გენერალური დირექტორი დინ უაითი. მან განაცხადა, რომ კომპანიის პრივატიზაციის თაობაზე მედიიდან შეიტყო და უკმაყოფილება გამოთქვა აღნიშნულთან დაკავშირებით.

**"კომპანიის პრივატიზაცია აუცილებელია, თუმცა პროცესი ისე უნდა განხორციელდეს, რომ "PA Consulting"-თან მენეჯმენტის შესახებ გაფორმებული ხელშეკრულება არ დაირღვეს,"** - განაცხადა დინ უაითმა.

**"ხელისუფლებამ გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" პრივატიზაციის პროცესში სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს,"** - დასძინა მან.

მთავრობამ "PA Consulting"-თან "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" მართვის შესახებ კონტრაქტს გასული წლის ნოემბერში მოაწერა ხელი. კონტრაქტის მიხედვით, "PA Consulting"-მა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული კომპანია კიდევ 2 წლის განმავლობაში უნდა მართოს. მენეჯმენტის ხარჯები კი აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტომ უნდა გაიღოს.

"საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია" 2002 წელს რეგიონული ელექტროგამანაწილებელი კომპანიების შერწყმის შედეგად ჩამოყალიბდა. კომპანიას 660 000 მომხმარებელი ჰყავს. მისი მომსახურების არეალი საქართველოს ტერიტორიის 70 პროცენტს ფარავს. აქედან უმეტესი ნაწილი სასოფლო დასახლებაა.

თუმცა გაერთიანებული სადისტრიბუციო კომპანია ერთადერთი ენერგოობიექტი არ არის, რომლის სასწრაფოდ გაყიდვასაც ხელისუფლება გეგმავს.

მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ, სახელმწიფო მინისტრმა კახა ბენდუქიძემ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ენერგოსექტორის რეფორმირების გეგმა სექტორში პრივატიზაციის, რესტრუქტურიზაციისა და ინვესტირების პროცესების ერთდროულად წარმართვას გულისხმობს. მისივე თქმით, ენერგოობიექტების პრივატიზაციიდან მიღებული თანხები ბიუჯეტის გვერდის ავლით, სექტორის ინვესტირებას მოხმარდება.

ბენდუქიძის ინფორმაციით, გეგმის მიხედვით თბილისის გარეთ არსებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია გენერაციის ობიექტებთან ერთად გაიყიდება, რაც ენერგოსექტორს მომგებიანს გახდის და სახელმწიფოს მისთვის საბიუჯეტო სახსრების გამოყოფა აღარ მოუწევს.

ბენდუქიძის თქმით, მთავრობა მყიდველს საერთაშორისო პერიოდულ პრესაში გაკეთებული განცხადების საფუძველზე შეარჩევს.

სახელმწიფო მინისტრის თქმით, პრივატიზაცია არ შეეხება ენგურჰესს, ვარდნილჰესს და "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის " საკუთრებაში არსებულ ელექტროგადამცემ ხაზებს.

რეფორმის მიხედვით, შეიცვლება "ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის" და "ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის ფუნქციები".

ბენდუქიძის ვარაუდით, რეფორმის განხორციელების შემთხვევაში, ზაფხულის ბოლოსათვის ენერგოსექტორი პრივატიზაციიდან 200 მლნ ლარს მიიღებს.




## ორი სიტყვით

**თბილისი.** საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია მცხეთა-მთიანეთის რეგიონის მოსახლეობის მიერ ელექტროენერგიის გამანაწილებელ ქვესადგურში შეჭრის ფაქტს აპროტესტებს. როგორც პრაიმ-ნიუსს ენერგოკომპანიაში განუცხადეს, დუშეთის რაიონის სოფელ ყვავილის მცხოვრები 30-მდე ნასვამი ადამიანი, სამშაბათს საღამოს ელექტროენერგიის მოთხოვნით 110-კილოვოლტიანი ქვესადგურის ტერიტორიაზე შეიჭრა და ქვესადგურის მუშაობის უსაფრთხოება რისკის ქვეშ დააყენა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟის (თბსბ) ოთხშაბათს გამართული ვაჭრობის შედეგებით, ეროვნული ვალუტის კურსი აშშ დოლართან მიმართებაში, წინა სესიასთან შედარებით არ შეცვლილა და 1,8375 ლარით განისაზღვრა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** როგორც პრაიმ-ნიუსს საზღვრის დაცვის დეპარტამენტის პრესსამსახურიდან აცნობეს, ფოთის სანაპირო დაცვის სამსახურის მიერ უკანონო თევზჭერის ფაქტზე დაკავებულმა, საქართველოს დროშის ქვეშ მცურავმა ორმა თურქულმა სეინერმა "ზაგორ-2"-მა და "ადამ ბაბა-3"-მა ბიუჯეტის სასარგებლოდ 130 000 ლარი გადაიხადა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გაკოტრებულ საწარმოთა მუშა-მოსამსახურეებისა და სახელმწიფო ბიუჯეტისთვის კუთვნილი თანხების საწარმოს გაკოტრების პროცესის დასრულებამდე გაცემას ითვალისწინებს "გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ" საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებები, რომლებიც ოთხშაბათს მთავრობის სხდომაზე განიხილეს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრი ალექსი ალექსიშვილი და დიდი ბრიტანეთის ელჩი საქართველოში დონალდ მაკლარენი უახლოეს დღეებში ხელს მოაწერენ ხელშეკრულებას ორ ქვეყანას შორის საჰაერო მიმოსვლის ლიბერალიზაციის შესახებ. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თამბაქოს საწინააღმდეგო ეროვნული ცენტრი თამბაქოს ნაწარმის მწარმოებელ და იმპორტიორ ფირმებს ხელისუფლების შანტაჟის მცდელობაში ადანაშაულებს. კობეშავიძის თქმით, თამბაქოს ნაწარმზე აქციზის განაკვეთის გაზრდის და შესაბამისად, პროდუქციის გაძვირების გამო, თამბაქოს ინდუსტრიის წარმომადგენლები ხელისუფლების დაშანტაჟებას ცდილობენ. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** მე-9 ენერგობლოკი ამ დროისათვის 170 მეგავატის სიმძლავრის დატვირთვით მუშაობს და თბილისის ელექტრომომარაგება შეუზღუდავად ხორციელდება.

კომპანია "თელასში" განაცხადეს, რომ ქალაქში არის მცირე ადგილობრივი დაზიანებები, რომელთა ლიკვიდაციაზეც სპეციალური ჯგუფები მუშაობენ. დაზიანებების აღმოფხვრისთანავე მომხმარებელს ელექტროენერგიის მიწოდება აღუდგება. გუშინ საღამოს მე-9 ეზერგობლოკის გამორთვის მიზეზად ტექნიკური ხარვეზი იქცა, რომელიც მალევე გამოსწორდა და ბლოკის მიერ გამომუშავებული სიმძლავრე სისტემამ ღამითვე მიიღო. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის ხელმძღვანელობა უახლოეს მომავალში ქალაქის ბალანსზე არსებულ ობიექტებს გაიტანს გასაყიდად. საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა ძირითადად თბილისის სხვადასხვა რაიონებში არსებული არასაცხოვრებელი ფართებითა და სარდაფებით განისაზღვრება. ქალაქის საპრივატიზაციო ნუსხა დაახლოებით 30 ობიექტს მოიცავს. აღნიშნულ საკითხზე საკრებულოს ეკონომიკური პოლიტიკის, რეფორმებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ დღევანდელ სხდომაზე იმსჯელა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტი მთავრობის სხდომების დღის წესრიგით ინტერესდება. კომიტეტის თავმჯდომარემ ნიკო ლეკიშვილმა დღეს მთავრობის საპარლამენტო მდივანს გია ხუროშვილს სთხოვა, კომიტეტს მთავრობის სხდომის დღის წესრიგი სხდომის გამართვამდე ერთი დღით ადრე შეატყობინოს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** წუხელ, გვიან ღამით ს/ს "ჭიათურმანგანუმის" 100-მდე კრედიტორი საწარმოს ადმინისტრაციულ კორპუსში შეიჭრა. ამ წუთებში ისინი საპროტესტო აქციას მართავენ. აქციაში "ჭიათურმანგანუმის" ის კრედიტორები მონაწილეობენ, რომელთა საკარმიდამო ნაკვეთები წლების მანძილზე საწარმოში ახალი მაღაროების გაყვანის დროს აყრას ექვემდებარებოდა, რის გამოც ისინი დაზარალებულებად არიან აღიარებულები. "ჭიათურმანგანუმს" სულ 700-მდე ასეთი კრედიტორი ჰყავს, რომელთაც მთლიანობაში 8 მლნ. ლარი ეკუთვნით. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს მთავრობა სავალდებულო სერტიფიცირების გაუქმების ინიციატივით გამოდის. დღეს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტმა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივა განიხილა. როგორც ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილემ კახა დამენიამ განაცხადა, ეს იქნება სტანდარტიზაციისა და სერიტიფიცირების სფეროში მიმდინარე რეფორმაში წინ გადად-

# რუსეთთან ურთიერთობების მოგვარების მიზნით საქართველო ევროკავშირსა და აშშ-ს დახმარების თხოვნით მიმართავს



სალომე ზურაბიშვილი

### საქართველოს რუსეთის პრევენციული დარტყმების ეშინია

თბილისი საქართველო-რუსეთის საზღვარზე მისიის გაგზავნის საკითხის განხილვას ევროპის საბჭოს სთხოვს. ქვეყნის ხელისუფლებას მიაჩნია, რომ რუსეთმა, შესაძლოა საზღვარზე ბრძოლა გააჩაღოს ტერორისტთა წინააღმდეგ, რომლებიც, კრემლის აზრით, საქართველოს ტერიტორიასაც აფარებენ თავს.

**"ისინი პრევენციული დარტყმების განხორციელებით გვემუქრებიან"**, - განაცხადა ბრიუსელში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა სალომე ზურაბიშვილმა.

**"რუსეთის მხრიდან, შესაძლოა, შეზღუდული სამხედრო ოპერაციის განხორციელებას ჰქონდეს ადგილი, რაც კატასტროფის ტოლფასი იქნება"**, - აღნიშნა მან ევროპის კავშირისა და ნატო-ს წარმომადგენლებთან შეხვედრაზე.

ამასთან, საქართველოს საგარეო უწყების მეთაურმა მიუთითა, რომ **"ეს არა მხოლოდ ევროპის კავშირისა და საქართველოს თანამშრომლობა იქნება, არამედ მათთან ერთად რუსეთისაც"**.

ამასთან, სალომე ზურაბიშვილი "არარეალურად" მიიჩნევს საქართველო-რუსეთის საზღვარზე ჩეჩნეთის, ინგუშეთის და დაღესტნის მონაკვეთების ნატო-ს დამკვირვებელთა განლაგებას.

**"საქართველო-რუსეთის საზღვარზე ნატო-ს დამკვირვებელთა განლაგება არარეალურია. დღევანდელი ვითარებით, ყველაზე რეალური და შესაძლებელი ეუთო-ს მონიტორინგის მისიის ევროკავშირის მისიით ჩანაცვლებაა"**, - განაცხადა მან და ხაზგასმით მიანიშნა, რომ ეუთო-ს მიერ საზღვრის მონიტორინგი **"ძალზედ დიდი მნიშვნელობის მქონე იყო საქართველოსთვის"**.

*24 საათი*

პირველი გვერდიდან

საქართველო მოსკოვისგან უარყოფით რეაქციას იღებს, - განაცხადა ზურაბიშვილმა, - რამდენადაც სხვა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები ცდილობენ 2003 წლის "ვარდების რევოლუციის" გამეორებას. უკრაინის ახალი პრეზიდენტი ვიქტორ იუშენკო, რომელიც თავისი ქართველი კოლეგის მსგავსად, ხელისუფლებაში სახალხო აჯანყების გზით მოვიდა, ევროკავშირსა და ნატო-ში თავისი ქვეყნის გაწევრიანებისკენ ისწრაფვის. მოლდოვას ლიდერები, რომელთაც სააკაშვილი გუშინ ეწვია, მომავალ კვირას დანიშნულ არჩევნებამდე დასავლურ ტენდენციებს ამჟღავნებენ. ყირგიზეთის ოპოზიციური მოძრაობა კი გასულ კვირას, საპარლამენტო არჩევნების ჩატარებამდე, უკრაინასა და საქართველოსგან იღებდა შთაგონებას.

საფრთხე, რომელიც რუსეთის ტრადიციული გავლენის სფეროს ემუქრება, კიდევ უფრო ამწვავებს საქართველოს რთულ ურთიერთობებს მოსკოვთან, - განაცხადა ზურაბიშვილმა, - რამდენადაც რუსეთის შიგნით არსებული გარკვეული ძალები ისეთ ადგილს ეძებენ, სადაც თავიანთ გავლენას დაამკვიდრებენ. **"ეს, რა თქმა უნდა, უსიამოვნებებს იწვევს. ამან კიდევ უფრო დაამძიმა რუსეთის დამოკიდებულება საქართველოს მიმართ,"** - თქვა მან.

**"ჩვენ არ მივიჩნევთ საკუთარ თავს რევოლუციის პროფესსიონალ ექსპორტიორებად"**, - განაცხადა ზურაბიშვილმა. მან აღნიშნა, რომ **"საქართველო მხარს დაუჭერს, მაგრამ არ შექმნის"** დემოკრატიულ ოპოზიციას საზღვარგარეთ. მან ასევე დასძინა, რომ **"უაღრესად მნიშვნელოვანია, არ ვიყოთ მარტონი და გვყავდეს დემოკრატიის ისეთი წონიანი დამცველი, როგორიცაა უკრაინა"**.

მოსკოვი საჯაროდ უარყოფს იმ ფაქტს, რომ იგი ყოფილ საბჭოთა მეზობლებს, თავისი გავლენის სფეროდ განიხილავს, მაგრამ მჭიდრო ეკონომიკური კავშირები და გამჭვირვალე საზღვრები მოწმობს, რომ მოსკოვს, რეგიონის ქვეყნების მიმართ, მართლაც ძლიერი ინტერესი აქვს.

რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობები ბოლო დროს გაუარესდა, მას შემდეგ, რაც საქართველო შეეცადა კონტროლი დაემყარებინა ორ სეპარატისტულად განწყობილ რეგიონზე, რომლებსაც რუსეთი უჭერს მხარს. იმის გამო, რომ საქართველოს მთავრობამ გასულ წელს შეძლო რუსეთის მხარდაჭერით მოსარგებლე კიდევ ერთ განდგომილ რეგიონზე კონტროლის აღდგენა, ქართველებმა ჩათვალეს, რომ ასეთივე წარმატებას დარჩენილ ორ რეგიონშიც მოიპოვებდნენ. ზოგიერთი დამკვირვებლის აზრით, საქართველოს მთავრობა მეტისმეტ შეუპოვრობას და სიტლანქეს იჩენდა სამხრეთ ოსეთის საკითხის გადაწყვეტისას, რამაც რუსეთის მხრიდან უარყოფითი რეაქცია გამოიწვია.

რუსეთი აცხადებს, რომ საქართველო სუსტად აკონტროლებს თავის საზღვრებს, რაც ტერორისტებს რუსეთის ტერიტორიაზე შეღწევის საშუალებას აძლევს. ამასთან დაკავშირებით, რუსეთი საქართველოს პრევენციული დარტყმების განხორციელებით დაემუქრა.

ამასთან, ქართველები დაჟინებით მოითხოვენ საქართველოს ტერიტორიიდან დარჩენილი რუსული ორი სამხედრო ბაზის გაყვანას, თუმცა რუსეთის თქმით, ამ ბაზების დემონტაჟისთვის მას 11-წლიანი ვადა სჭირდება.

გასულ თვეს სალომე ზურაბიშვილსა და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს სერგეი ლავროვს შორის გამართულ შეხვედრაზე მიღწეული პროგრესი იმდენად უმნიშვნელო იყო, რომ საქართველოს საგარეო უწყების ხელმძღვანელმა ის შეაფასა, როგორც რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში უმდაბლესი წერტილი, რაშიც მას ლავროვიც დაეთანხმა. **"ეს არ იყო ადვილი ვიზიტი,"** - განუცხადა მან რუსეთის ტელევიზიას.

ჩარჩო-ხელშეკრულების ხელმოწერა, რომელმაც ორ ქვეყანას შორის ურთიერთობები უნდა განსაზღვროს, ნაწილობრივ იმის გამო ყოვნდება, რომ მოსკოვი დაჟინებით მოითხოვს საქართველოსაგან, არ დაუშვას თავის ტერიტორიაზე რომელიმე უცხო ქვეყნის სამხედრო ბაზების განლაგება. მიუხედავად იმისა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს არ აქვს საქართველოში სამხედრო ბაზები, საქართველოს შეიარაღებული ძალებისთვის "წვრთნისა და აღჭურვის პროგრამას" ახორციელებს. სწორედ ამ პროგრამით მომზადებული ახალი ქართული ბატალიონი ორი დღის წინ ერაყში გაიგზავნა.

საქართველოს საგარეო უწყების მეთაურმა ევროკავშირსა და ვაშინგტონს მოუწოდა, "რეალური მხარდაჭერა" აღმოუჩინონ ქვეყანას, რომელიც რუსეთის გავლენისაგან გათავისუფლებისკენ ისწრაფვის. გავლენაში სამხედრო ბაზები და მოსკოვის მიერ ორი სეპარატისტული რეგიონის მხარდაჭერა იგულისხმება. **"ჩვენ გვსურს, რომ ევროკავშირი და აშშ უფრო აქტიურად ჩაერთონ რუსების დარწმუნებაში,"** - დასძინა მან. მანვე ევროპელებს მოუწოდა **"განთავისუფლდნენ რუსეთის მიმართ მუდმივი შიშისგან"**.

ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო) საზღვრის მონიტორინგის მისიამ, საქართველოში მოქმედება გასული წლის დეკემბერში შეწყვიტა რუსეთის ზეწოლის შედეგად, რომელიც ამ საერთაშორისო ორგანოს უნდობლობას უცხადებს. ევროპელი დიპლომატები ამჟამად ეუთოს მისიის ევროკავშირის რომელიმე მისიით ჩანაცვლებასთან დაკავშირებით თავიანთი რუსი კოლეგების დამოკიდებულების გარკვევას ცდილობენ, მაგრამ გადაწყვეტილება ჯერ არ არის მიღებული.

**"ქართველებს ფსიქოლოგიური პრობლემა აქვთ. მათ უბრალოდ რუსეთთან პირისპირ დარჩენის ეშინიათ. მათ თავიანთ ტერიტორიაზე რომელიმე საერთაშორისო მისიის ყოფნა ესაჭიროებათ"**, - განაცხადა ერთ-ერთმა ევროპელმა სახელმწიფო მოხელემ.

სალომე ზურაბიშვილი, რომელიც ადრე საქართველოში საფრანგეთის ელჩის მოვალეობას ასრულებდა, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი მას შემდეგ დაიკავა, რაც მიხეილ სააკაშვილმა საფრანგეთის პრეზიდენტ ჟაკ შირაკს თხოვნით მიმართა, მისთვის ამგვარი თანამდებობრივი გადანაცვლების უფლება მიეცა. ზურაბიშვილის დანიშვნა (ნაწილობრივ მაინც) განპირობებული იყო დასავლეთთან საქართველოს ურთიერთობების გაუმჯობესების სურვილით, რაც პრეზიდენტ სააკაშვილის საგარეო პოლიტიკური კურსის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს.

პრეზიდენტობის დასაწყისშივე, მიხეილ სააკაშვილი მოსკოვის დარწმუნებას ცდილობდა იმაში, რომ საქართველოს ახალი ხელმძღვანელობა კრემლის მიმართ მტრულად განწყობილი არ იყო. **"ერთი შეხედვით, ყველაფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ შემდეგ ვითარება მკვეთრად გაუარესდა,"** - განაცხადა საერთაშორისო კრიზისის ჯგუფის ექსპერტმა კავკასიის პრობლემების სფეროში გიორგი გოგიამ.

### ნატო ავღანეთში სამხედრო ძალებს საქართველოს გავლით გადაისვრის

ნატო-ს გენერალურმა მდივანმა იაპ დე ჰუპ სხეფერმა და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა სალომე ზურაბიშვილმა გუშინ ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომლის შესაბამისად, ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს უფლება ეძლევა, სამხედრო ძალებისა და ტვირთების გადასაზიდად საქართველოს როგორც საჰაერო სივრცე, ასევე გზები და სარკინიგზო მაგისტრალები გამოიყენოს.

ნატო-ს მიერ გავრცელებულ განცხადებაში აღნიშნულია, რომ შეთანხმება დიდ წვლილს შეიტანს ამ ორგანიზაციის ოპერაციის, კერძოდ კი ავღანეთში უსაფრთხოების საერთაშორისო ძალების მხარდაჭერაში.

**"შეთანხმება, საქართველოს ტერიტორიის გავლით იმ ტვირთების გადაზიდვის საფუძველი გახდება, რომელიც ნატო-ს ჯარების და უსაფრთხოების საერთაშორისო ძალების მხარდასაჭერად არის აუცილებელი"**, - აღნიშნულია მასში.

ნატო-ს შტაბბინაში მსგავს შეთანხმებას აფასებენ, როგორც ამ ორგანიზაციის საქმიანობაში საქართველოს "მნიშვნელოვან წვლილს".

**"საქართველოს თანხმობა, საკუთარი ტერიტორიის სატრანზიტო დერეფნად გამოყენების თაობაზე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ნატო-ს მიერ ბოლოდროინდელი გადაწყვეტილების კუთხით, რაც გულისხმობს ალიანსის სამშვიდობო მისიის მოქმედების ზონის გაფართოებას ავღანეთის დასავლეთ ნაწილში"**, - აღნიშნულია გავრცელებულ განცხადებაში.

*24 საათი*

# სად გადის ევროპის საზღვრები?

ალენ ლაკეზი
ანჟეს უნივერსიტეტის სახელმწიფო სამართლის პროფესორი

"ევროპის კავშირის ერთადერთი გამყოფი საზღვარი დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების მიჯნაა," - ნათქვამია 2001 წელს ლააკენის დეკლარაციაში კავშირის მომავლის შესახებ, რითაც ჯერ კიდევ 1978 წელს კოპენჰაგენის სამიტზე გამოცხადებული მსოფლიოს ლიბერალური დემოკრატიის ძირითადი ფასეულობებისადმი თავისი ერთგულება დაადასტურა ევროპის საბჭომ. საკონსტიტუციო შეთანხმების 1-58-ე მუხლი მართლაც ამბობს, რომ ევროპის კავშირი ღიაა ყველა სახელმწიფოსათვის, რომელიც ამ ღირებულებებს პატივს სცემს.

**ევროპის თანამეგობრობის მიერ გამოცემული არც ერთი ოფიციალური დოკუმენტი ევროპის გეოგრაფიულ საზღვარს არ განსაზღვრავს.** საუბარი არც კულტურის თვალსაზრისით ევროპის განსაზღვრებაზე ყოფილა ოდესმე, როგორც ამას ისტორია გვასწავლის. და მაინც, კონტინენტზე დასავლეთის ქრისტიანულ ერებს, მართლმადიდებლებსა და მუსლიმებს შორის არსებობს გამყოფი ზოლი, რომელიც მეოთხე საუკუნეში რომის იმპერიის დაშლასა და მეათე საუკუნეში წმინდა რომის იმპერიის შექმნის შემდეგ გაჩნდა. ეს კულტურული საზღვარი, რომელიც ჩრდილოეთიდან სამხრეთით გადის, ფინეთსა და ბალტიის სახელმწიფოებს რუსეთისგან გამოყოფს, ორ ნაწილად ყოფს ბელარუსს, უკრაინას, რუმინეთს და ბალკანეთამდე მიდის. აქ კი აღნიშნული კულტურული საზღვარი ავსტრო-უნგრეთისა და ოსმალთა იმპერიებს შორის ისტორიულ საზღვარს ემთხვევა.

ევროკავშირი უპირატესობას ლიბერალური დემოკრატიის ღირებულებების მიხედვით განსაზღვრას ანიჭებს, რომელთა მნიშვნელობაც საყოველთაოდ აღიარებულია. ევროპის საზღვრები გახსნილია და ნებისმიერ სახელმწიფოს, რომელიც ლიბერალური დემოკრატიის ფასეულობებს აღიარებს, შეეძლება ევროკავშირში შესვლა სურვილისამებრ. ამგვარ ვითარებაში სრულებითაც არ გამოირიცხება, რომ ევროკავშირი სხვა ქვეყნებსაც გააწევრიანებს, განსაკუთრებით მათ, ვინც ევროსაბჭოს წევრები არიან. მათ შორის ფიგურირებს აზერბაიჯანი, რუსეთის ფედერაცია, თურქეთი და უკრაინა. გრძელვადიან პერსპექტივაში კი, შესაძლოა, ევროპის ქვეყნების კავშირს ისეთი ქვეყნებიც შეუერთდნენ, როგორიც ისრაელი, ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნები და ერაყია, სადაც მშვიდობა და დემოკრატია დაისადგურებს. თუმცა, ძნელი სათქმელია, რომ ევროკავშირს მკაცრად განსაზღვრული ტერიტორიის უქონლობის გამო ოდესმე სახელმწიფოს სტატუსი მიენიჭება. კლასიკურად, თანამედროვე სახელმწიფო საკუთარი სუვერენიტეტის სივრცითი საზღვრების დაფიქსირებას ცდილობს და საკუთარი საზღვრების ზუსტ რუკას ქმნის. 2002 წლის 28 თებერვალს ევროპის მომავლის შესახებ კონვენციის საინაუგურაციო სხდომაზე ხომ უკვე გამოითქვა ევროკომისიის ყოფილი თავმჯდომარის რომანო პროდის მიერ აზრი, იმასთან დაკავშირებით, რომ ევროკავშირი "დემოკრატიული გლობალიზაციის განხორციელების ერთადერთი კონკრეტული მცდელობაა".

*"ფიგარო"*

# კუბელებს უცხოელებისგან შორს დაჭერა უბრძანეს

კუბის ხელისუფლებამ ადგილობრივი ტურისტული ინდუსტრიის ასი ათასზე მეტ თანამშრომელს უცხოელებთან ყველანაირი კონტაქტის მინიმუმამდე დაყვანა უბრძანა. კუბის ტურიზმის სამინისტროს ახალი მკაცრი კანონი კუბის ყველა მოქალაქეს ეხება, განურჩევლად იმისა, სად იმყოფებიან - კუბაში თუ მის ფარგლებს გარეთ. უცხოური კომპანიების თანამშრომლებმა თვალყური უნდა ადევნონ მათ დამქირავებლებს და კუბის ხელისუფლებას უნდა შეატყობინონ, წარმოადგენს თუ არა მათი ქმედება კუბური რევოლუციისათვის საფრთხეს. თუმცა, ყველაზე მეტად ახალი კანონით კუბის მუდმივად მზარდ ტურისტულ ინდუსტრიაში მომუშავენი დაზარალდებიან. დღეიდან ბარმენიდან დაწყებული ტაქსის მძღოლების ჩათვლით - ყველა ვალდებულია, უცხოელებისგან თავი უსაფრთხო მანძილზე დაიჭირონ. თუ კუბელი უცხოელის სახლში გამართულ წვეულებაზე წასვლას მოისურვებს, მას მანამდე მიღებული უნდა ჰქონდეს შესაბამისი წერილობითი ნებართვა. ტურისტებისგან მიღებულ ნებისმიერ საჩუქარზე კუბელმა ხელისუფლება საქმის კურსში უნდა ჩააყენოს. გარდა ამისა, ელექტრონაწარმი, როგორიც არის ვიდეომაგნიტოფონი და "დივიდი-ფლეერი", ტურიზმის სამინისტროს უნდა გადაეცეს საზოგადოებრივი სარგებლობისათვის. ახალი მკაცრი საკანონმდებლო წამოწყების ინიციატორი კუბის ტურიზმის მინისტრი მანუელ მარეროა. როგორც ჩანს, ამ კუბური არმიის პოლკოვნიკს თავის დარგში მკაცრი დისციპლინის დამყარება აქვს დავალებული, თუმცა, მასაც გაუჭირდება ამ ნოვაციის განხორციელება. ტურიზმთან დაკავშირებული ნებისმიერი სამუშაო კუნძულის მცხოვრებისათვის ყველაზე სასურველი რამაა. ეს იმიტომ ხდება, რომ ტურიზმი რიგით კუბელს უცხოელებთან საქმიანობისა და შესაბამისად მყარი ვალუტის გაჩენის საშუალებას აძლევს.

ტურისტული ინდუსტრიის თანამშრომელთა ქცევის წესების გამკაცრება - კუბის ხელისუფლების მორიგი ნაბიჯია, რომელიც საზოგადოებრივი და ეკონომიკური ცხოვრების ყველა დარგზე სახელმწიფო კონტროლის განმტკიცებისკენაა მიმართული. ბოლო თვეების განმავლობაში კუბაში მიმოქცევიდან ამოიღეს ამერიკული დოლარი, კერძო მეწარმეთა საქმიანობა შეიზღუდა, ხოლო კუბური საწარმოების ხელმძღვანელებს დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღების უფლება მაქსიმალურად შეუმცირეს. კუბის პრეზიდენტის ფიდელ კასტროს განცხადებით, კომუნისტური სახელმწიფოს ცენტრალიზაციის აღდგენა ქვეყანას "ფერფლიდან აღმდგარი ფენიქსის" მსგავსად აალორძინებს.

# აშშ-ს ევროპაში 480-ზე მეტი ბირთვული მუხტი აქვს

აშშ-ს ევროპულ სამხედრო ბაზებში 480-ზე მეტი ბირთვული მარაგია განთავსებული, იუწყება გაზეთ "ნიუ-იორკ თაიმსის" ინტერნეტ-გამოცემა. საუბარია B61-ის ტაქტიკურ ბირთვულ ბომბებზე, რომელთა რიცხვიც ორჯერ აღემატება სამხედრო ანალიტიკოსების ვარაუდს. პენტაგონის ოფიციალური პირები ამტკიცებენ, რომ ეს არსენალი აუცილებელია, რათა აშშ და მისი მოკავშირეები ტერორისტებისა და იმ სახელმწიფოების თავდასხმისგან იქნეს დაცული, რომლებიც მასობრივი განადგურების იარაღს ფლობენ. გარდა ამისა, ამერიკის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები აღიარებენ, რომ ევროპაში თავმოყრილი ბირთვული შეიარაღების ასეთი დიდი რაოდენობა გარკვეულ პრობლემებს ქმნის აშშ-სა და ნატო-ს ქვეყნებს შორის ურთიერთობაში.

ამერიკული ბირთვული არსენალის შესახებ ინფორმაცია სამართალდამცავმა ორგანიზაციამ "ბუნებრივი რესურსების თავდაცვის საბჭომ" გაახმოვანა, სხვადასხვა წყაროებიდან (გასაიდუმლოებული მოხსენებები, სატელიტური ფოტოსურათები და სხვა დოკუმენტები) მიღებული მონაცემების შეჯერების შედეგად. ამ ორგანიცაზიის ინფორმაციით, იარაღის საწყობები განთავსებულია გერმანიის, დიდი ბრიტანეთის, იტალიის, ბელგიის, თურქეთისა და ჰოლანდიის ტერიტორიებზე არ-

ების მტკიცებით, საწყობებზე შეიარაღებული თავდასხმა ან საბრძოლო მარაგის გატაცების შესაძლებლობა პრაქტიკულად გამორიცხულია. როგორც ორგანიზაცია "ბუნებრივი რესურსების თავდაცვის საბჭოს" მოხსენებაშია აღნიშნული, ბირთვული საბრძოლო ქობინები, რომლის გამოტანას ევროპიდან ამერიკელები 90-იანი წლების შუა რიცხვებში აპირებდნენ, სინამდვილეში, იმ ქვეყნების არმიას გადაეცა, რომელთა ტერიტორიაზეც ეს ქობინები მანამდე იმყოფებოდა. საყურადღებოა, რომ აღნიშნული საბრძოლო მარაგი ეროვნულ არმიებს ფიზიკურად არ გადაეცემოდა, უბრალოდ, იმავე ქვეყნებში აშშ-ს ცენტრალურ სამხედრო ბაზებში გადაჰქონდათ. სწორედ ასე "განაიარაღეს" ორი ბაზა გერმანიაში, ორი თურქეთში და ერთი საბერძნეთში. მოხსენების ავტორები ერთმნიშვნელოვნად არ ამტკიცებენ, რომ ეს არსენალი ამჟამადაც აღნიშნულ ადგილას იმყოფება, თუმცა, მათი აზრით, აღნიშნული რიცხვი (480) "ახლო წარსულს" განეკუთვნება და მთლიანობაში სიმართლესთან ახლოს არის. იმავდროულად, ევროპაში ამერიკული არმიის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ევროპაში არსებული საბრძოლო მასალების რაოდენობა 200-ს არ აღემატება, რადგან ამერიკული არსენალი უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად შემცირდა. ყოველ შემთხვევაში, მათ ამ ორგანიზაციის მონაცემები

# სირია ლიბანიდან თავის ჯარებს "რამდენიმე თვეში გაიყვანს"

მოულოდნელად წარმოქმნილი სახელისუფლებო ვაკუუმის პირობებში, რომელიც ომარ კარამის მთავრობის გადადგომამ გამოიწვია, ლიბანში, შესაძლოა, სამხედრო მდგომარეობა გამოაცხადონ. არმიამ, შესაძლოა, სულ მცირე, მაისამდე აიღოს ძალაუფლება თავის თავზე, როდესაც ქვეყანაში საპარლამენტო არჩევნები უნდა ჩატარდეს, იუწყება ისრაელის გაზეთი "ჰაარეცი". სახელისუფლებო კრიზისი იმით არის გამოწვეული, რომ ამჟამად წარმოუდგენელია ლიბანის კონსტიტუციის რეალიზება. ქვეყნის ძირითადი კანონის თანახმად, ლიბანის პრემიერ-მინისტრი სუნიტი უნდა იყოს, პარლამენტის სპიკერი - შიიტი, ხოლო პრეზიდენტი - ქრისტიანი. ომარ კარამის გადადგომამ ცხადყო, რომ ღირსეული სუნიტი-კანდიდატი, რომელსაც პრემიერ-მინისტრის თანამდებობის დაკავება შეუძლია, ჯერჯერობით, არ გამოჩნდა. ლიბანის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა სალიმ ალ-ჰუსმა განაცხადა, რომ სუსტი ჯანმრთელობის გამო საკუთარი კანდიდატურის შეთავაზებას არ აპირებს. აქედან

აილონ. ოპოზიციის ლიდერი ვალიდ ჯუმბლატი მოითხოვს, რომ ლიბანის ახალი მთავრობა მხოლოდ ნეიტრალური იყოს (არც პროსირიული და არც ანტისირიული). მთავრობის ახალი კაბინეტის მთავარი ამოცანა საყოველთაო საპარლამენტო არჩევნების ორგანიზება იქნება, რომელიც მაისში ჩატარდება. უცხოელი პოლიტიკოსები, ჯერჯერობით, ლიბანში მიმდინარე მოვლენებზე ფრთხილ კომენტარებს აკეთებენ. აშშ-ს სახელმწიფო მდივანი კონდოლიზა რაისი ლიბანელების მხრიდან ქვეყანაში დემოკრატიის აშენების მისწრაფებას მიესალმა: "მიმართულება, საითკენაც ლიბანში განვითარებული მოვლენები მიემართება, ძალზედ მნიშვნელოვანია. ჩვენ ასეთ მისწრაფებას მხარი უნდა დავუჭიროთ". ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრის სილვან შალომის განცხადებით, მისი ქვეყანა "ლიბანში მოვლენების დადებით განვითარებას იმედოვნებს". ლიბანის ოპოზიციის ლიდერი კი აცხადებს, რომ ისრაელს ლიბანთან ურთიერთობების სწრაფი ნორმალიზების იმედი არ უნდა ჰქონდ-

ელთან მშვიდობა ლიბანისთვის საკმაოდ მტკივნეული იქნება და ჩვენ ასეთი რამ არ გვსურს. მომავალში, ვგონებ, ორ ქვეყანას შორის ნორმალური დიალოგი აეწყობა". კონდოლიზა რაისმა სირიას მკაცრად მოუწოდა, გააცნობიეროს მთელი ის პასუხისმგებლობა თავისი საქციელის გამო, რომელიც, მისი სიტყვებით, მსოფლიოს საფრთხით ემუქრება. მან დაადანაშაულა სირია იმაში, რომ დამასკო ერაყში, ლიბანში და პალესტინაში არეულობის ხელშემწყობია, კერძოდ, ერაყში მეამბოხეთა და პალესტინის ტერიტორიებზე რადიკალების მხარდაჭერით. ეს ერთ-ერთი ყველაზე მკაცრი განცხადებაა, რაც კი ოდესმე ვაშინგტონს დამასკოსადმი გამოუთქვამს. "ჩვენ უკვე განვიხილავთ სირიას ახლო აღმოსავლეთის განვითარების გზაზე არსებულ რეალურ წინაღობად. ქუჩებში გამოსული ლიბანელები სირიელებს ეუბნებიან, რომ სახლში მოშორდნენ და ლიბანს თავისი ბედის დამოუკიდებლად გადაწყვეტა დაანებონ," - განაცხადა რაისმა. აღსანიშნავია, რომ ამ განცხადებამდე რა-

ცხადა, რომ სირია საბოლოოდ გაიყვანს ლიბანის ტერიტორიაზე დისლოცირებულ თავის ჯარებს რამდენიმე თვის განმავლობაში. სირიის პრეზიდენტს გაყვანის თარიღი არ დაუზუსტებია, მაგრამ აღნიშნა, რომ ჯარების გაყვანას, სამხედროების შეფასებით, შესაძლოა, ნახევარი წელიწადი დასჭირდეს. სირიის პრეზიდენტის განცხადება ლიბანში 28 თებერვალს ომარ კარამის პროსირიული მთავრობის გადადგომიდან ორი დღის შემდეგ გაკეთდა. თითქმის მთელს ლიბანში ერთობლივად მიმდინარე მრავალრიცხოვანი მიტინგების შემდეგ, სადაც 15 ათასიანი სირიული კონტინგენტის გაყვანას მოითხოვდნენ, ლიბანის მთავრობამ უფლებამოსილება მოიხსნა. "ჯარების გაყვანა სულ მალე მოხდება, შესაძლოა, რამდენიმე თვეში. ჯერჯერობით, დეტალების ვერ მოგახსენებთ. მთლიანობაში, ვიმეორებ, ეს თვეების საქმეა," - განაცხადა ასადმა. ამ განცხადების მიუხედავად, რაისმა აღნიშნა, რომ ამერიკა სირიისგან ლიბანიდან ჯარებისა და უშიშროების ძალების სწრაფად გაყვანას მიაღწევს.

ქაას ველიდან (ლიბანი) სირიის ჯარების გაყვანას შეხებოდა. სირიამ ლიბანში თავისი ჯარები 1976 წელს შეიყვანა, იქ მიმდინარე სამოქალაქო ომის დროს. კონტინგენტის რაოდენობა თავიდან 35 ათას ჯარისკაცს შეადგენდა, ხოლო შემდგომში თანდათანობით 15 ათასამდე დავიდა. "ვერ ვიტყვი, რომ ორ თვეში გავიყვანთ ჩვენს საჯარისო ნაწილებს. სამხედრო ხელმძღვანელობასთან კონსულტაციები უნდა ვაწარმოო. როგორც ისინი ამბობენ, გაყვანას ნახევარი წელი მაინც დასჭირდება. ჩვენ ჯარისკაცების ასეთი რაოდენობით დაბრუნებისათვის უნდა მოვემზადოთ. დღეს სიტუაცია ლიბანში უკეთესია - საკუთარი არმია, სახელმწიფო და მმართველობის ორგანოები ჰყავთ. თუმცა ჯარების გაყვანის შემდეგ, საკუთარი საზღვრების დაცვა უნდა განვაგრძოთ. 1982 წელს, როდესაც ისრაელი ლიბანში შეიჭრა, ისრაელის არმია ძალზედ ახლოს აღმოჩნდა დამასკოსთან," - თქვა სირიის პრეზიდენტმა. ლიბანიდან ჯარების გაყვანის ერთადერთ პირობად ასადი ლი-

# "საქმიანი იმპოტენცია" თბილისის მერიაში

*ამჟამად თბილისში 20 000-ზე მეტი მაწანწალა ცხოველია აღრიცხული. ქალაქში მათი მოვლისა და პატრონაჟის ერთიანი სისტემა არ არსებობს. არასამთავრობო ორგანიზაციების თქმით, ამ პრობლემის მოსაგვარებლად, თბილისის მერიას წლების განმავლობაში ასი ათასობით ლარი აქვს გამოყოფილი და შემდეგ მითვისებული. ე.წ ძაღლმჭერი ბრიგადების მეშვეობით ქალაქში მაწანწალა ცხოველების განადგურების აქციები "ცოფის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებად" ინათლებოდა. ამ "ღონისძიებებისთვის" 2000-2002 წლებში 500 000 ლარი დაიხარჯა. 2004 წელს კი სპეციალური პროგრამა შემუშავდა, რომელიც დღემდე არ ამოქმედებულა.*



თამარ დვალი

არასამთავრობო ორგანიზაციათა ნაწილი თბილისის მერიის სამსახურებს საბიუჯეტო თანხების მითვისებასა და არამიზნობრივ ხარჯვაში ადანაშაულებს.

"აღშფოთებას გამოვთქვამთ იმ ფინანსური განუკითხაობის გამო, რაც ქალაქ თბილისის მერიაში წლების განმავლობაში ხორციელდებოდა", - ნათქვამია ცხოველთა დამცველი არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ დღეს გავრცელებულ განცხადებაში.

არასამთავრობოების ინფორმაციით, რაიონული გამგეობებისა და მათთან არსებულ შპს-ების დახმარებით, ცოფის საწინააღმდეგო ღონისძიებების ჩასატარებლად გამოყოფილი თანხები წლების განმავლობაში არამიზნობრივად იხარჯებოდა.

"მსგავს ღონისძიებაზე 2000-2002 წლებში 500 000 ლარი დაიხარჯა, თუმცა მაწანწალა ძაღლების პრობლემა არ გადაჭრილა. 2003 წელს ამ მიზნით სპეციალური პროგრამა შეიქმნა, რომელიც მაწანწალა ძაღლების პრობლემის მოგვარებას ითვალისწინებდა. თბილისის გარეუბანში უნდა აშენებულიყო ცხოველთა პროფილაქტიკური ცენტრი, რომელიც აღჭურვილი იქნებოდა ყველა საჭირო კომპონენტით. ამ გადაწყვეტილების პარალელურად, 2003-2004 წლებში 200 000 ლარი გამოიყო, რომელიც გამიზნული იყო ძაღლმჭერი ბრიგადების დასაფინანსებლად და მაწანწალა ცხოველების გასანადგურებლად. მერიაში არსებულ სიტუაციას "საქმიან იმპოტენციას" ვუწოდებ, რადგანაც იქ მყოფი მაღალჩინოსნები როგორც თავად აცხადებენ, არ იღებენ ფულს, თუმცა ვერც საქმეს აკეთებენ", - აღნიშნა "24 საათთან" საუბრისას "ცხოველთა დაცვის საქველმოქმედო ფონდ "არგუსი"-ს პრეზიდენტმა რუსუდან ხუნწარიამ.

ამავე ფონდის დამფუძნებლის ნინო ჩხობაძის განცხადებით, პარლამენტის გადაწყვეტილებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების პროტესტის მიუხედავად, მერიის სამსახურები მაინც აგრძელებენ ბარბაროსულ, კანონსაწინააღმდეგო მოქმედებებს თბილისის ქუჩებში და ცდილობენ, საზოგადოება დაარწმუნონ, რომ ცოფის პრობლემა ცხოველთა განადგურებით გადაიჭრება.

"მაინტერესებს სად წავიდა ის თანხები, რომელიც ამ პრობლემის მოსაგვარებლად იყო გამოყოფილი. შეიძლება ითქვას, რომ მაწანწალა ცხოველების თავშესაფარი საერთოდ არ არსებობს თბილისში. ეტყობა ეს პრობლემა ჯერ კიდევ არ არის გათავისებული მერიისთვის. დღეს "ბეკერის" ორმოში ყრიან ცოცხალ ცხოველებს. ასეთი ორმოები არცერთ ცივილურ ქვეყანაში არ არსებობს. ეზოს ძაღლები იმდენად საშიში არ არის, საშიშია ქალაქის განაპირა უბნებში არსებული ხროვები, რომლებიც ყველაზე აგრესიულები არიან. მსოფლიო მიხვდა, რომ მაწანწალა ძაღლების პრობლემა მათი განადგურებით ვერ გადაიჭრება," - აღნიშნა ჩხობაძემ.

არასამთავრობოების თქმით, ცხოველთა პროფილაქტიკური ცენტრის დაარსებისთვის გამოყოფილი 100 000 ლარი მოგვიანებით 80 000 ლარამდე შეამცირეს, რაც ვეტერინალური სამსახურის ბალანსზეა. ამ თანხის საფასურად ვეტერინალურმა სამსახურმა კრემატორიუმი შეიძინა, რომელიც დღემდე შეფუთული დგას ვაშლიჯვარში, ხოლო მონტაჟის ფული - 45 000 ლარი კი უკვე გადახდილია.

ვეტერინაულურ სამსახურში განაცხადეს, რომ მათ ქალაქის მთავრობის 2003 წლის 24 აპრილის დადგენილების თანახმად მართლაც შეიძინეს კრემატორიუმი.

"ჩვენს სამსახურს ევალებოდა კრემატორიუმის ჩამოტანა და დამონტაჟება. თავშესაფრის მშენებლობა ქალაქის საპროექტო სამსახურის პრეროგატივაა. პროექტზე ტენდერის გამოცხადებაც მათი საქმეა, რისთვისაც მათ 80 ათასი ლარი გადაეცათ. არ გვესმის რაში გვედავებიან არასამთავრობო ორგანიზაციები," - განგვიცხადეს ვეტერინარულ სამსახურში.

## დაპირისპირება

**საქართველოს პრეზიდენტს, მის აღმატებულებას ბატონ მიხეილ სააკაშვილს**

**საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, მის აღმატებულებას ქალბატონ ნინო ბურჯანაძეს**

**საქართველოს მეცნიერებისა და განათლების მინისტრს, ბატონ ალექსანდრე ლომაიას**

**აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს, ბატონ ირაკლი ალასანიას**

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს, პროფესორ რუსუდან ლორთქიფანიძეს**

პატივცემულო ბატონებო,

ჩვენ კარგად გვესმის, რომ გადამწყვეტი ბრძოლა ახალი საქართველოსთვის, რომელიც ქვეყნის ხელისუფლებამ წამოიწყო, ადვილი არ იქნება. ეჭვგარეშეა, რომ ამ ძნელად სავალ გზაზე ჩვენ წავაწყდებით გააფთრებულ წინააღმდეგობას იმ ხალხის მხრიდან, რომელიც უკანასკნელ წუთამდე ერთგულად ედგა მხარში ე. შევარდნაძის რეჟიმს; თუმცა ბევრი მათგანი ყველანაირად ცდილობს, მოერგოს ახალ სიტუაციას და იმავე პირმოთნეობისა და მლიქვნელობის გზით, მავანთა და მავანთა დახმარებით შეინარჩუნოს თავისი სავარძელი. ადამიანთა სწორედ ამ კატეგორიას მიეკუთვნება ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის დირექტორი ო. ჟორდანია - პიროვნება, რომელმაც "ვარდების რევოლუციის" გადამწყვეტ ეტაპზე ღიად დაუჭირა მხარი ე. შევარდნაძის რეჟიმს და მის მიერ მართულ სტუდენტთა ჯგუფთან ერთად გზა გადაუღობა "გიჟი სააკაშვილის" (ო. ჟორდანიას სიტყვებია) მხარდასაჭერად მიტინგზე მიმავალ სტუდენტურ კოლონას, მოუნდომა მათ "სატანისტური" (ესეც ო. ჟორდანიას სიტყვებია) ხუთჯვრიანი დროშის წართმევა. ამჟამად სოხუმის თსუ ფილიალში შექმნილი უმძიმესი ვითარება მოითხოვს თქვენი რანგის სახელმწიფო მოღვაწეების კომპეტენტურ გადაწყვეტილებას.

თსუ სოხუმის ფილიალის სტუდენტობა მიესალმება და მხარს უჭერს ქვეყნის განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმებს, იმედს გამოთქვამს, რომ საქართველოს პარლამენტის მიერ 2004 წლის 21 დეკემბერს მიღებული "კანონი უმაღლესი განათლების შესახებ", რომელიც ძალაში შევიდა 2005 წლის 14 იანვრიდან, რადიკალურ და სასიკეთო ხასიათის ცვლილებებს შეიტანს არქაულ, კომუნისტურ იდეოლოგიაზე დამკვიდრებულ სასწავლო სისტემაში. თსუ სოხუმის ფილიალში უმაღლესი განათლების შესახებ აღნიშნული კანონის ამოქმედება მოითხოვს იქ მიმდინარე რთული პროცესების ღრმა და საფუძვლიან წვდომას. ჩვენ მიგვაჩნია, რომ რეტროგრადი და ყოველივე პროგრესულის მოწინააღმდეგე ო. ჟორდანია (დანიშნული 12 წლის წინ, 1993 წელს ე. შევარდნაძის მიერ) ვერანაირად ვერ შეძლებს ამ რეფორმის გატარებას.

შევეცდებით მოკლედ წარმოგიდგინოთ ნაწილი იმ ბრალდებებისა, რასაც დირექტორ ო. ჟორდანიას და მის უახლოეს გარემოცვას უყენებს ფილიალის კოლექტივი:

1. ო. ჟორდანიამ დირექტორად დანიშვნის დღიდან შემოიკრიბა თანამშრომელთა მცირე ჯგუფი, რომელიც აღჭურვა უზარმაზარი უფლებებით ყოველგვარი პასუხისმგებლობის გარეშე და ამით საფუძველი ჩაუყარა მლიქვნელობის, მაამებლობის, დასმენა-დაბეზღების სისტემას.

2. ო. ჟორდანიას სერიოზული დარღვევები აქვს კადრების შერჩევასა და საშტატო ერთეულების განაწილებაში:

ა) როგორც სახელფასო უწყისებიდან გაირკვა, ბატონი დირექტორი წლების მანძილზე ფარულად გასცემდა ხელფასს (200-200 ლარის ოდენობით) ე.წ. უფროს მრჩეველსა და თანაშემწეზე, რომელთაც არანაირი კავშირი არ ჰქონდათ ჩვენს სასწავლებელთან; ნიშანდობლივია, რომ აღნიშნულ პირებს დირექციის წევრებიც კი არ იცნობდნენ;

ბ) ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მთავარ ეკონომისტს (ჩადუნელს), რომელსაც არანაირი შეხება არა აქვს ჩვენს ფილიალთან, წლების მანძილზე ეძლეოდა ხელფასი 200 ლარის ოდენობით;

გ) თავისი ერთ-ერთი ნათლული, რომელიც მუშაობდა ქსეროასლების გადამღებად, ფარულად, სახელფასო უწყისებში აღმოჩნდა არარსებული გამომცემლობის დირექტორი (190 ლარი), და ეს მაშინ, როდესაც ფილიალის დეკანების საშუალო ხელფასი 100 ლარს არ აღემატებოდა;

დ) პარადოქსია (თუმცა ამისთანა უამრავი შემთხვევაა), რომ ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატს, დოცენტ ინჟინერ-პროგრამისტს 0,5 საშტატო ერთეულზე 31 ლარი ეძლევა, ხოლო ო. ჟორდანიას მეორე ნათლულს, ეკონომიკური ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების სტუდენტს იმავე 0,5 საშტატო ერთეულზე ეძლევა 134 ლარი. აღნიშნული პირი იმავდროულად ჟორდანიას პირადი მცველია და კომპიუტერული კლასის ხელმძღვანელიც;

ე) ერთ-ერთი ფაკულტეტის დეკანი არის მისი ნათესავი, რომლის ოჯახის ხუთივე წევრი მუშაობს იმავე ფაკულტეტზე (ქმარი, ცოლი, ორი ვაჟი და რძალი). უფრო მეტიც, ო. ჟორდანიამ ბრძანებით, რამდენიმე თვის უკან, დეკან მამას შვილი დაუნიშნა მოადგილედ (ხელფასი 200 ლარამდე);

ვ) თსუ სოხუმის ფილიალში ხელოვნების "მოტრფიალე" ო. ჟორდანიას მოწვეული ჰყავს თავისი ახლობლები, რომელთაც წლების განმავლობაში სტაბილურად ეძლეოდათ თითქმის ორჯერ მეტი ხელფასი, ვიდრე პროფესორებს;

ზ) ო. ჟორდანიამ და მისმა ერთ-ერთმა მოადგილემ თავიანთი ნათესავებისა და ახლობლების ხარჯზე სამჯერ გაზარდეს ადმინისტრაციისა და პროფესორ-მასწავლებელთა რაოდენობა და ეს მაშინ, როდესაც სტუდენტთა კონტიგენტი თითქმის უცვლელი რჩებოდა;

თ) ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ თსუ სოხუმის ფილიალში სამხედრო კათედრის ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად რამდენიმე ასეული სტუდენტისგან შეგროვებულ იქნა გარკვეული თანხა (100-150 ლარი თითოეული სტუდენტისგან). სტუდენტებმა სამხედრო კათედრის გაუქმების შემდეგ განცხადებით მიმართეს ო. ჟორდანიას, რომელმაც უარი განაცხადა თანხის დაბრუნებაზე. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით სტუდენტებმა სასამართლოში სარჩელი შეიტანეს.

3. დირექტორი ო. ჟორდანია წლების მანძილზე უარს ამბობს ლექციების ჩატარებაზე, უარს აცხადებს მაგისტრანტებთან მუშაობაზე; პრაქტიკულად, იგი მოწყვეტილია სასწავლო-სამეცნიერო პროცესს; ამასთან დაფიქსირებულია უამრავი ფაქტი სტუდენტთა უფლებების შელახვისა; არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ო. ჟორდანიას ავადმყოფურ და ეჭვიან დამოკიდებულებას განსხვავებული აზრისადმი; ო. ჟორდანიას ფსიქოლოგიური პორტრეტის წარმოსაჩენად ის ფაქტიც კმარა, რომ ავადმყოფურად თავის სავარძელს ჩაჭიდებული, გადადგომის შემთხვევაში, იგი თვითმკვლელობით იმუქრება (რაც პრესაშიც გაჟღერდა). ო. ჟორდანიას თავდაჯერება უფრო შორს მიდის; იგი ემუქრება კოლექტივს, რომ მას თითსაც ვერავინ აუქნევს, რადგან თავად პრეზიდენტის დედა მფარველობს (რაც ჩვენთვის ძნელად დასაჯერებელია).

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, დირექტორი ო. ჟორდანია ვერანაირად ვერ უხელმძღვანელებს განათლების რეფორმის განხორციელებას, მით უფრო, რომ იგი არის 65 წელს მიღწეული და მისი დირექტორობის სტაჟი 12 წელს ითვლის. ბუნებრივია, თანახმად ახალი კანონისა, იგი გადაყენებულ უნდა იქნეს. იმედი გვაქვს, ობიექტურად შეაფასებთ თსუ სოხუმის ფილიალში შექმნილ ვითარებას და მოახდენთ სათანადო რეაგირებას.

***ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის ერთიანი სტუდენტური თვითმმართველობის სახელით: თავმჯდომარე კობა ჭითანავა***

# "დამიჭირეს, მკლავი მომჭრეს, რატომ კარგი აგიგია"

უკანასკნელ დღეებში ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ სოხუმის ფილიალის გარშემო ატეხილმა ხმაურმა კიდევ ერთხელ მიიპყრო ფართო საზოგადოების ყურადღება. სოხუმის ფილიალის ახალგაზრდა მეცნიერები და სტუდენტობა მხარს ვუჭერთ კანონს უმაღლესი განათლების შესახებ. ამასთანავე, გამოვთქვამთ სურვილს, რომ მისი გატარება დაუყოვნებლივ განხორციელდეს არა მხოლოდ დამოუკიდებელ უმაღლეს სასწავლებლებში, არამედ ფილიალებშიც.

საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში სოხუმის ფილიალი იმ უმაღლეს სასწავლებელს წარმოადგენდა, სადაც საბჭოური ეპოქიდან დანერგილ მანკიერებებს ებრძოდნენ. ამ მიმართულებით არაერთი საგულისხმო ღონისძიება გატარდა. მათ შორის უნდა აღინიშნოს მისაღები გამოცდების გამჭვირვალობის პრინციპის დანერგვა, რაც ითვალისწინებდა აბიტურიენტების მშობლების მონიტორინგს როგორც წერით გამოცდებზე, ასევე ნაწერების დაშიფრვა-გასწორებაზე. ამ ღონისძიებამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მისაღები გამოცდების მეტ-ნაკლები ობიექტურობით ჩატარებას. აქვე უნდა აღინიშნოს ის ძალისხმევა, რომელიც განხორციელდა სახელმწიფო გამოცდებზე ე. წ. "ჩაწყობის" ინსტიტუტის წინააღმდეგ საბრძოლველად. ამ მიზნის მიღწევა შეუძლებელი იქნებოდა სახელმწიფო კომისიათა თავმჯდომარეების მხარდაჭერის გარეშე. ყოველივე ამან გამოიწვია უკმაყოფილება როგორც ფილიალის ცალკეულ თანამშრომლებში, ასევე იმ გარეშე პირებში, რომლებსაც სურდათ, სოხუმის ფილიალი თავიანთი შემოსავლის წყაროდ ექციათ. ამ ფონზე გახშირდა ძალადობის ფაქტები უნივერსიტეტის ხელმძღვანელზე, რაზეც ფართო საზოგადოებამ საყოველთაო პროტესტი გამოხატა. ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, საქართველოს ხელისუფლებასთან ერთად, წარმატებით დაასრულებს უმაღლეს სასწავლებლებში არსებული მანკიერი მხარეების წინააღმდეგ ბრძოლას.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან არსებულმა სააკრედიტაციო კომისიამ უკვე შეაფასა სოხუმის ფილიალში გაწეული მუშაობა, რომლის მიხედვითაც მან 110 უმაღლეს სასწავლებელს შორის მე-4 ადგილი დაიკავა. ეს წარმატება თავისთავად არ მოსულა. პროფ. ო. ჟორდანიამ თავის გარშემო შემოიკრიბა აფხაზეთიდან დევნილი პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტობა და თბილისში ფუნქციონირების განახლებიდან სულ რაღაც 50 დღეში აღდგა სასწავლო პროცესი. ეს იყო დევნილი ხალხის სულიერი გაუტეხლობის უპრეცედენტო მაგალითი. წლების მანძილზე სოხუმის ფილიალი განთავსებული იყო საშუალო სკოლებში. სამოქალაქო ომის, საყოველთაო სიდუხჭირის, სოციალურ-ეკონომიკური ნგრევის პირობებში შენდებოდა სოხუმის ფილიალი. მიუხედავად დევნილობაში გატარებული უმძიმესი წლებისა, მან მოახერხა, შეენარჩუნებინა თანამედროვე და პროგრესული უნივერსიტეტისათვის დამახასიათებელი ყველა ნიშან-თვისება, დაენერგა და განევითარებია ის ინსტიტუტები, რომლებიც აუცილებელია ახალგაზრდების სრულყოფილი განათლებისათვის: სასწავლებელს აქვს საკუთარი კორპუსი, კეთილმოწყობილი ლაბორატორიები, ლინგაფონისა და კრიმინალისტიკის კაბინეტები, ბიბლიოთეკა სამკითხველო დარბაზებით, 8 კომპიუტერული კლასი 110 თანამედროვე კომპიუტერით, ჩართულია ინტერნეტი. სტუდენტთა აღზრდას ემსახურება 40 კათედრა, სადაც წარმატებით ილვწის 77 მეცნიერებათა დოქტორი და 200-ზე მეტი მეცნიერებათა კანდიდატი. 36 სპეციალობას ეუფლება 7000-მდე სტუდენტი. წარმატებულია ფილიალის სამეცნიერო ცხოვრება. სასწავლებლის პროფესორ-მასწავლებლები აქტიურად მონაწილეობენ რესპუბლიკურ თუ საერთაშორისო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში, თავიანთი სამეცნიერო შრომებით ამდიდრებენ ქართულ მეცნიერებას. აქვე აღსანიშნავია პროფ. ო. ჟორდანიას მიერ უკანასკნელ წლებში გამოქვეყნებული არაერთი საყურადღებო გამოკვლევა. ამასთან, მან მეცნიერებაში გზა გაუკვალა 10 ახალგაზრდას, მათ შორის, 4 სოხუმის ფილიალის თანამშრომელია.

მრავალფეროვანია სტუდენტთა სამეცნიერო, კულტურული და სპორტული ცხოვრება. იმართება სამეცნიერო კონფერენციები, ოლიმპიადები, შემოქმედებითი საღამოები. სპორტული წარმატებები უკანასკნელ უნივერსიადაზე გუნდური IV ადგილით აღინიშნა.

დღეს ჩვენ შეგნებულად თავს ვიკავებთ იმ ადამიანების კრიტიკისაგან, რომლებიც ცდილობენ დევნილი უმაღლესი სასწავლებლის დისკრედიტაციას, იმ წარმატებების მიჩქმალვას, რომელსაც მიაღწია სოხუმის ფილიალის კოლექტივმა მის ხელმძღვანელთან ერთად. აფხაზეთის საზოგადოებამ კარგად იცის მათი სახელები. ამ ადამიანებს მეცნიერებასა და საზოგადოებრივ საქმიანობაში სხვაზე მეტი არაფერი შეუქმნიათ. ჯერ კიდევ 2004 წლის თებერვალში სოხუმის ფილიალში განვითარებული მოვლენების შედეგად, ფართო საზოგადოებამ გაიგო, რომ მათი გარკვეული ნაწილი მჭიდროდ თანამშრომლობდა "აღორძინებასთან". კონკრეტული ძალების მიერ გარედან ინსპირირებულმა "გადატრიალების მცდელობამ" მარცხი განიცადა; მაგრამ ისინი დღემდე მაინც არ წყვეტენ დესტრუქციულ საქმიანობას და სურთ, სასწავლებელი თავიანთ ინტერესებს მოარგონ, რათა ამ გზით ხელი შეუშალონ განათლების რეფორმების გატარებას. აქედან გამომდინარე, მკითხველისათვის ცხადი გახდება, თუ ვის ინტერესებში შედის საზოგადოებისათვის ყალბი ინფორმაციის მიწოდება.

ბოლო დროს სამხედრო კათედრის საკითხი უმაღლეს სასწავლებლებში ერთ-ერთი აქტუალური საკითხი გახდა. 2005 წლის 24 თებერვალს ფილიალის დირექტორთან, პროფ. ო. ჟორდანიასთან გამოცხადდა სტუდენტების ჯგუფი, რომელმაც დირექტორს მიმართა წერილობითი განცხადებით. ისინი ითხოვდნენ მათ მიერ გადახდილი თანხის დაბრუნებას სამხედრო კათედრის გაუქმების გამო. სტუდენტებს განემარტათ, რომ სამხედრო კათედრაზე ფასიანი სექტორის გახსნა მოხდა სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტლებით, ამიტომ სამეცნიერო საბჭო უახლოეს 10 დღეში განიხილავს მათ განცხადებას.

ახალგაზრდა მეცნიერები და სტუდენტობა გამოვთქვამთ ღრმა რწმენას, რომ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, რომლის სამოქმედო პროგრამას მთლიანად ვუჭერთ მხარს, დროულად განახორციელებს რეფორმებს, რაც ხელს შეუწყობს ფილიალის გათავისუფლებას ცალკეული კორუმპირებული ელემენტებისაგან. ჩვენ, აფხაზეთის ახალგაზრდა მეცნიერები და სტუდენტები ამ პროცესში აქტიურ მონაწილეობას მივიღებთ.

***აფხაზეთის ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი, თსუ სოხუმის ფილიალის სტუდენტი ახალგაზრდობის უფლებების დაცვის ლიგა, თსუ სოხუმის ფილიალის ახალგაზრდა გეოგრაფთა ასოციაცია***

სახელი
გვარი
ასაკი
სიმაღლე
მისამართი
საკონტაქტო ტელეფონის ნომერი

1 ოჯახური მდგომარეობა :
დაქორწინებული
დაუქორწინებელი
გაყრილი
ქვრივი

2 შვილები: (თუ გყავთ)

3 პროფესია :

4 სამუშაო ადგილი (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

5 ადრე სად მუშაობდით? (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

6 სხვა რომელ ტელეშოუებში გაქვთ მონაწილეობა მიღებული, სად და როდის?

7 სხვა რომელ არასატელევიზიო კონკურსებში და შეჯიბრებებში მიგიღიათ მონაწილეობა სად და როდის?

8 თქვენი ინტერესები

9 თქვენი ჰობი

10 თქვენი საყვარელი გადაცემა და ტელეშოუები ?

11 როგორ დახარჯავდით 8000 ლარს ერთ დღეში ? (პასუხი: ერთ დღეში ვერ დახარჯავ არ მიიღება)

12 როგორ გრძნობთ თავს ჯანსაღი კონკურენციის პირობებში ? (ახსენით პასუხი)

13 როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი თავი გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაშის დროს ? (ახსენით პასუხი)

ჩემი ხელმოწერით ვადასტურებ, რომ მოწოდებული ინფორმაცია არის ზუსტი და რომ არც მე და არც ჩემი ოჯახის წევრი არ მუშაობს სატელევიზიო კომპანია "რუსთავი 2"-ში.

ხელმოწერა ____________ თარიღი ____________



გადაცემა
სუსტი რგოლი

მოთამაშის ანკეტა

გეხერხებათ კროსვორდების ამოხსნა?

გიყვართ ინტელექტუალური თამაშები?

არ გეშინიათ, გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაში?

დაგვიკავშირდით, "რუსთავი 2" ეძებს ერუდირებულ, თამამ, მონებამახსნილ კონკურსანტებს.

გადაცემაში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა გქონდეთ მხოლოდ ზოგადი განათლება, იუმორის გრძნობა და მოგების სურვილი.

ანკეტა გამოგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

თქვენი ფოტოსურათი

# ელის თუ არა ქართულ პოლიციას "КГБ-ზაცია"?

პირველი გვერდიდან

შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილი გუშინ ბევრს საუბრობდა იმ წარმატებებზე, რასაც მისმა უწყებამ მიაღწია. თუმცა, ვანო მერაბიშვილს, როგორც თავად აცხადებს, ჯერ კიდევ ბევრი რამ აქვს გასაკეთებელი. **"რეფორმირების პროცესი უწყვეტია,"** - ამბობს მინისტრი და შინაგან საქმეთა და ყოფილ უშიშროების სამინისტროში ცალ-ცალკე გატარებულ რეფორმებზე საუბრობს. რაც შეეხება ამ ორი უწყების გაერთიანების შედეგად შექმნილ უზარმაზარ სამსახურს, როგორც გაირკვა, ამ პროცესის შესახებ საბოლოოდ ჩამოყალიბებული კონკრეტული კონცეფცია, ჯერჯერობით, კვლავ არ არსებობს.

შინაგან საქმეთა მინისტრმა ისაუბრა საპატრულო პოლიციის წარმატებებსა და საზოგადოების მხრიდან მის მიმართ ნდობის ფაქტორის ზრდაზე. უბნების ახალი ინსპექტორები, მომატებული ხელფასები, ძველ პოლიციურ მეთოდებთან დამშვიდობება და წამების ფაქტების აღმოფხვრა, მძიმე დანაშაულის მინიმუმამდე დაყვანა, ადამიანის გატაცებების ალაგმვა, კორუფციონერი, მექრთამე და კანონდამრღვევი თანამშრომლების დაპატიმრება და სამსახურიდან დათხოვნა, ძებნილების დაკავება და ასე შემდეგ - ეს ის თემებია, რომლებსაც ვანო მერაბიშვილი ვრცლად შეეხო და საკუთარ უწყებას წარმატებებსა და მიღწევებში ჩაუთვალა. რაც შეეხება იმას, თუ როგორი იქნება მომავალი შინაგან საქმეთა სამინისტრო, მასში შესული უშიშროების სამსახურით, მერაბიშვილმა ამაზე მსჯელობა თავის ხელქვეითებს გადაულოცა.

რეფორმების ჯგუფში მომუშავე მომხსენებლებმა - ლევან იზორიამ და ზურაბ პაპიაშვილმა - ისაუბრეს იმაზე, როგორ განხორციელდა და გაგრძელდება მთელი რიგი სტრუქტურული ერთეულების შერწყმა, რეორგანიზაცია და ოპტიმიზაცია. როგორც გაირკვა, რეფორმების მოქმედების მომავალი გეგმა სწორედ საპატრულო პოლიციას უკავშირდება. კონცეფციის მიხედვით, მოხდება კრიმინალური და საპატრულო პოლიციის გაერთიანება და ის თვითმმართველობის ორგანოებს გადაეცემა.

კონტრდაზვერვის დეპარტამენტისთვის რეფორმების ჯგუფის წევრები სრული ავტონომიის მინიჭებას გეგმავენ, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ კონტრდაზვერვის დეპარტამენტი ანგარიშვალდებული არ იქნება შინაგან საქმეთა მინისტრთან. შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებმა, რომლებიც გუშინ მომხსენებლების როლში იყვნენ და საკადრო-საფინანსო-სტრუქტურული ცვლილებების გეგმაც ჩამოაყალიბეს, ვანო მერაბიშვილის მსგავსად, შს სამინისტროში უშიშროების სამსახურის გადასვლას გლობალურ მნიშვნელობას ანიჭებენ.

გუშინდელ შეხვედრაში მონაწილე ექსპერტთა უმრავლესობა შს სამინისტროს მიერ შემუშავებული კონცეფციის ძირითად პრინციპებს არ ეთანხმება და დარწმუნებულია, რომ რეფორმის ამ პრინციპების მიხედვით გატარება ორი სამინისტროს "საშიშ" გაერთიანებას გამოიწვევს. მათივე აზრით, ორივე უწყების მიზნები და მათი განხორციელების გზები პრინციპულად განსხვავდება ერთმანეთისგან და, შესაბამისად, მათ გაერთიანებასაც ხელისუფლება სიფრთხილით



შეხვედრის თემა: "საქართველოს უსაფრთხოების სექტორის რეფორმირება: შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროების გაერთიანება".

უნდა მოეკიდოს.

პარლამენტარი დავით ბაზღაძე, რომელსაც უშიშროების სამსახურში მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს, გუშინ ირწმუნებოდა, რომ **"ცვლილებების შედეგად არავითარი შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროების გაერთიანება არ მომხდარა და ვერც მოხდება. რეფორმების შედეგად უშიშროების სამინისტროს ფუნქციები დროებით გადაეცა შინაგან საქმეთა სამინისტროს, მაგრამ როგორ მართავენ სამომავლოდ ამ სისტემას - ამ საკითხთან დაკავშირებით მსჯელობა საწყის ეტაპზეა და არც სათანადო საკანონმდებლო ბაზა მოგვეპოვება."**

არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები გუშინ წარმოდგენილ კონცეფციას ეჭვით უყურებდნენ და აცხადებდნენ, რომ ისეთი სფეროები, როგორიცაა დაზვერვა და კონტრდაზვერვა, დაუშვებელია, შს სამინისტროს უწყებაში შედიოდნენ. მათი შეფასებებით, წარმოუდგენელია უზარმაზარი ძალაუფლების ერთი პირის ხელში გადასვლა.

**"ისევე, როგორც სხვა საკითხებთან დაკავშირებით, ამ შემთხვევაშიც სტრატეგიული ხედვის ნაკლებობის წინაშე აღმოვჩნდით. უშიშროების სამსახურის ყველა დანაყოფი კვლავინდებურად მუშაობს, ეს იმას ნიშნავს, რომ უშიშროების სამინისტროს ლიკვიდაცია არ მომხდარა. უბრალოდ, ახლა ეს ყველაფერი, უცვლელი სახით, მოექცა ჩარჩოში იმ უზარმაზარი უწყებისა, რომლემაც ხელში დიდი უფლება აიღო. ის, რომ კონტრდაზვერვის დაახლოება პოლიციასთან სერიოზულ საშიშროებას ქმნის, ფაქტია. ისე, კარგი იქნებოდა, ეს კონცეფცია, პირველ რიგში, ხალხისთვის გამხდარიყო ცნობილი და მისი ხორცშესხმა შემდეგ დაწყებულიყო,"** - ასეთი გახლავთ არასამთავრობო სექტორის, ოპოზიციური პარტიებისა და ექსპერტების პოზიცია. გუშინდელ შეხვედრაზე ისინი ხშირ-ხშირად ახსენებდნენ კომუნისტურ რეჟიმს და ქართული პოლიციის "კაგებეზაციისა" და "სუკიზაციის" საშიშროებაზე აკეთებდნენ აქცენტს.

## ქუთაისის მერიის კეთილმოწყობის სამსახურში დარღვევები აღმოაჩინეს

ფინანსურმა პოლიციამ ქუთაისის მერიის კეთილმოწყობის სამსახურში დარღვევები აღმოაჩინა. საქმე ეხება სამსახურის მიერ რვა ფირმისთვის ხელშეკრულების ტენდერის ჩატარების გარეშე გაფორმებას. როგორც ფინანსური პოლიციის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში განაცხადეს, აღნიშნულ ფირმებს გზების დაგება, შუქნიშნების დამონტაჟება, ქალაქის განათება და იერსახის გაუმჯობესება ევალებოდათ. პოლიციის განმარტებით, გარდა იმისა, რომ ფირმებმა ხელშეკრულებები გამარტივებული გზით მოიპოვეს, მათ მერიისგან მიღებული თანხებიც არამიზნობრივად დახარჯეს. ფინანსური პოლიციის მონაცემებით, შპს "არმაზმა" ქალაქის იერსახის გასაუმჯობესებლად საჭირო სარემონტო სამუშაოებისთვის გამოყოფილი 118 ათასი ლარიდან ნახევარზე მეტი მიისაკუთრა. რაც შეეხება შპს "საქართველოს გზებს", ამ ფირმამ 87 000 ლარი გაფლანგა. დანარჩენი ექვსი ფირმის შემოწმების პროცესი ამჟამად მიმდინარეობს. წინასწარი ინფორმაციით, ამ ფირმებმაც სოლიდური თანხები მიითვისეს. ფინანსური პოლიციის იმერეთის სამხარეო სამმართველო აღნიშნული ფირმების მიმართ სისხლის სამართლის საქმეების აღძვრას გეგმავს. **ინტერ-პრესი**

## ბათუმის საპატრულო პოლიციის თანამშრომლებს ხელფასი შეუმცირეს

ბათუმში საპატრულო პოლიციის თანამშრომლები პროტესტის ნიშნად ხელფასს არ იღებენ. მათი პროტესტის მიზეზი შემცირებული ხელფასი გახდა. აჭარაში რიგითი პატრულის ხელფასი 300 ლარია, თუმცა ამ თვეში ისინი მხოლოდ 200 ლარს მიიღებენ. საპატრულო პოლიციელთაგან კუთვნილი ხელფასი მხოლოდ სამმა პირმა - ამ უწყების უფროსებმა აიღეს. ამ ფაქტთან დაკავშირებით საპატრულო პოლიციის აპარატის უფროსი გოგი გენჯაძე კომენტარს არ აკეთებს და აცხადებს, რომ ვალდებული არ არის, ჟურნალისტებს ინფორმაცია მიაწოდოს. კერძო საუბარში გენჯაძე პრობლემების არსებობას ადასტურებს, თუმცა აცხადებს, რომ პრობლემები მოგვარებადია და ხელფასის გაცემა უკვე დაიწყო. რაც შეეხება რიგით პოლიციელებს, ისინი ღია საუბრისგან თავს იმ მიზეზით იკავებენ, რომ შესაძლოა, ამის გამო სამსახური დაკარგონ. **ინტერ-პრესი**

## ბავშვებით ვაჭრობა გრძელდება

რკინიგზის პოლიციის ქვეგანყოფილებისა და თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის პროკურატურის თანამშრომლებმა ტრეფიკინგის ფაქტზე დააკავეს კასპის რაიონის სოფელ გუდალეთში მცხოვრები, ნასამართლევი ანა ზაქარიძე და ხაშურში მცხოვრები მზია კიკნაძე. შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, ა. ზაქარიძემ და მ. კიკნაძემ თებერვლის თვეში ბორჯომის ვაგზლის მიმდებარე ტერიტორიაზე, ბორჯომის რაიონის სოფელ ყვიბისში მცხოვრებ როზა გოგოლაძის შუამავლობით, სოფელ ყვიბისში მცხოვრებ მარიკა ხარატიშვილს 100 აშშ დოლარად მიყიდეს ანა ზაქარიძის მცირეწლოვანი შვილი, 2004 წლის 5 ივლისს დაბადებული თეონა ზაქარიძე. აღნიშნულ ფაქტზე რაიონულ პროკურატურაში აღიძრა სისხლის სამართლის საქმე ტრეფიკინგის კვალიფიკაციით. **მედია-ნიუსი**

# ჟურნალისტი საზარელი მეთოდებით მოკლეს

აცხადებს ვიქტორ იუშჩენკო

*უკრაინის პრეზიდენტმა ვიქტორ იუშენკომ "ღონღაძის საქმესთან" დაკავშირებით პირველად ახსენა თავისი წინამორბედი ლეონიდ კუჩმა. გაზეთ "ფაინეშენელ თაიმსისთვის" მიცემულ ინტერვიუში მან კუჩმა ჟურნალისტის მკვლელობის დაფარვაში დაადანაშაულა. ამერიკული გამოცემის დასკვნით, ამან შესაძლოა, უკრაინაში პოლიტიკური სკანდალი გამოიწვიოს.*

უკრაინის გენერალურმა პროკურორმა სვიატოსლავ პისკუნმა უარყო ინფორმაცია იმის თაობაზე, თითქოს გუშინწინ ნაპოვნი იქნა ჟურნალისტ გიორგი ღონღაძის თავი. მისივე თქმით, კიევის მხარის ქალაქ ბელაია ცერკოვში აღმოჩენილ იქნა მისი ჩანთა, რაც ადასტურებს იმას, რომ "ღონღაძის საქმეთან" დაკავშირებით ახლახან დაკავებულებმა გამოძიებას სწორი კვალი მიუთითეს. ამის თაობაზე წერს უკრაინული გაზეთი "სეგოდნია", რომელიც ასევე აქვეყნებს ვერსიას იმის შესახებ, თითქოს, "ღონღაძე შემთხვევით მოკლეს და მისი მკვლელობა წინასწარ არ ყოფილა დაგეგმილი".

გაზეთის ინფორმაციით, ორი დღის წინ გავრცელებული ინფორმაცია სამი ადამიანის დაკავების შესახებ, არაზუსტია. სინამდვილეში დააკავეს მხოლოდ მილიციის ორი თანამშრომელი. ასევე უკრაინის შინაგან საქმეთა სამინისტრო უარყოფს იმ ფაქტს, თითქოს ღონღაძის მკვლელობასთან უშუალო კავშირში მყოფ დაპატიმრებულთა შორის ერთ-ერთი ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის კიევის სამმართველოს უფროსი, გენერალ-მაიორი ნიკოლაი ასტიონია. არადა, სწორედ ასტიონს ახსენებდა სიკვდილის წინ დაწერილ განცხადებაში "ღონღაძის საქმესთან" დაკავშირებით დაპატიმრებული იგორ გონჩაროვი, რომელსაც გენერალური პროკურატურა დამნაშავე მილიციელების ხელმძღვანელად მიიჩნევს და რომელიც საპყრობილეში გარდაიცვალა. გონჩაროვი ამტკიცებდა, რომ სწორედ ასტიონმა, შინაგან საქმეთა მაშინდელი მინისტრის იური კრავჩენკოს დავალებით უბრძანა თავის თანამშრომლებს ღონღაძის მოტაცება.

მიუხედავად იმისა, რომ საქმეში ჯერ კიდევ ბევრი რამ არის ბუნდოვანი, სამშაბათს უკრაინის პრეზიდენტმა ღონღაძის მკვლელობა გახსნილად გამოაცხადა. მანვე ლეონიდ კუჩმა ამ მკვლელობის დაფარვაში დაადანაშაულა. პრეზიდენტის განმარტებით, მკვლელობის მიზეზი პოლიტიკური იყო და წინა ხელისუფლებას არათუ პოლიტიკური ნება არ გააჩნდა ამ მკვლელობის გასახსნელად, არამედ ხელსაც აფარებდა მკვლელებს. **"მათი მიზანი იყო, არასოდეს გაეხსნათ საქმე. დღევანდელი მიზანია ვიპოვოთ ის, ვინც შეუკვეთა და ორგანიზება გაუკეთა მკვლელობას"**.

იუშენკოს თქმით, **"ჟურნალისტი საზარელი მეთოდებით მოკლეს. ეს კონკრეტულმა მკვლელმა თავის ჩვენებაში დააფიქსირა. სისასტიკე, რომლითაც გია ღონღაძის სხეულს მოექცნენ, შუასაუკუნეებში ჩადენილ დანაშაულებზე უარესია"**, - ამბობს პრეზიდენტი და აცხადებს, რომ ქედს იხრის ჟურნალისტის დედის ლესია ღონღაძის წინაშე, რომელიც ბოლომდე არ კარგავდა იმედს, რომ შვილის სიკვდილის შესახებ სიმართლეს გაიგებდა.

ამ კომენტარების გამოქვეყნებასთან ერთად "ფაინეშენელ თაიმსი" აღნიშნავს, რომ თებერვლის შუა რიცხვებში ლეონიდ კუჩმამ დატოვა უკრაინა და ჩეხეთში გაემგზავრა. ოფიციალური ცნობის თანახმად, ის კარლოვი ვარში ისვენებს. გაზეთი წერს, რომ ღონღაძის მკვლელობაში ეჭვმიტანილთა დაკავებამ შესაძლოა, დაძაბოს პოლიტიკური ვითარება უკრაინაში, რადგანაც კუჩმასა და მის მომხრეებს ჯერ კიდევ შენარჩუნებული აქვთ საკმაო გავლენა პოლიტიკასა და ბიზნესში და ისინი ცდილობენ უარყონ ყველანაირი ბრალდება, რომელიც კი კუჩმას მმართველობის ათწლიან პერიოდს ეხება.

მიხეილ პოტებენკო, რომელიც ღონღაძის მკვლელობის დროს უკრაინის გენერალური პროკურორი იყო, აცხადებს, რომ მკვლელობაში კუჩმას დადანაშაულების არავითარი საფუძველი არ არსებობს და ეს მხოლოდ იმ მონაცემებზეა დაფუძნებული, რომლებიც კუჩმას ყოფილმა დაცვის წევრმა ნიკოლაი მელნიჩენკომ გამოაქვეყნა. საუბარია სატელეფონო საუბრების ჩანაწერებზე, სადაც კუჩმა შინაგან საქმეთა მინისტრს კრავჩენკოსა და უშიშროების სამმართველოს უფროსს დერკაჩს სთხოვს "მოიშორონ ღონღაძე". თავად კუჩმამ ამ ჩანაწერების შესახებ განაცხადა, რომ ისინი ფალსიფიცირებულია.

თავად მელნიჩენკო ამტკიცებს, რომ, მიუხედავად იმისა, რომ იუშენკო მართლაც დაინტერესებულია მკვლელობის გახსნით, ამჟამინდელი გენერალური პროკურორი პისკუნი მას ატყუებს, როდესაც ეუბნება, რომ საქმე გახსნილია. მელნიჩენკომ ჟურნალისტებს აცნობა, რომ ის მზად არის, ჩვენება მისცეს ღონღაძის საქმეზე, რისთვისაც სპეციალურად ჩამოვა ვენიდან, სადაც ამჟამად იგი იმყოფება.

**"დარწმუნებული ვარ, რომ ღონღაძის მკვლელობა უშუალოდ კუჩმამ, ლიტვინმა, დერკაჩმა და კრავჩენკომ შეუკვეთეს"**, - ამბობს მელნიჩენკო, რომელიც ამას 2000 წლის შემდეგ ამტკიცებს.

როგორც ცნობილია, მელნიჩენკო 2001 წლიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრობს, სადაც მას პოლიტიკური თავშესაფარი მიანიჭეს მას შემდეგ, რაც გამოაქვეყნა კუჩმას კაბინეტში გაკეთებული ჩანაწერები. ამ ჩანაწერებმა ოპოზიციას საშუალება მისცა ლეონიდ კუჩმა ღონღაძის მკვლელობასა და ერაყისთვის იარაღის მიყიდვაში დაედანაშაულებინა.

პისკუნის განცხადებებთან დაკავშირებით ეჭვი ღონღაძის დედის ადვოკატმა ანდრეი ფედურმაც გამოთქვა. მისი თქმით, ღონღაძის მკვლელობის გახსნა მისასალმებელია, მაგრამ "ტაშის დაკვრას" ამ ფაქტისთვის მხოლოდ მაშინ აპირებს, როცა ამ საქმეს სასამართლო დაუსვამს წერტილს. მისი თქმით, საქმის გახსნასა და ამის გამო კმაყოფილებაზე მხოლოდ მაშინ შეიძლება ლაპარაკი, როცა დააკავებენ და სასამართლოს წარუდგენენ ამ საქმის ყველა შემკვეთსა და ორგანიზატორს.

თავად გიორგი ღონღაძის დედა კი აცხადებს, რომ აპირებს სასამართლოში უჩივლოს უკრაინის გენერალურ პროკურატურას. ლესია ღონღაძის თქმით, მას ხელთ აქვს მისი შვილის ღია წერილი გენპროკურატურისადმი, რომელიც 2000 წლით თარიღდება და რომელშიც ჟურნალისტი სთხოვს სამართალდამცველებს, დაიცვან დევნისგან. **"მე არ დავიწყებ მკვლელების ძებნას, მე სასამართლოში დავუპირისპირდები გენერალურ პროკურატურას, რომელიც ოთხწელიწადნახევრის მანძილზე დამცინოდა მეც და მთელ უკრაინელ ხალხსაც,"** - აცხადებს ლესია ღონღაძე.

დაბოლოს, კიევში ორი დღის წინ მომხდარი აფეთქების შედეგად დაჭრილი ნესტოროვის შესახებ ამომწურავ ინფორმაციას იძლევა საპყრობილეში გარდაცვლილი იგორ გონჩაროვის განცხადება, დაწერილი სიკვდილის წინ. იური ნესტოროვი ღონღაძის საქმეზე ერთ-ერთი ბრალდებულია. ის ამჟამად პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ იმყოფება და მას სწორედ მაშინ ესროლეს ხელყუმბარა, როდესაც პოლიციელთა დაცვის ქვეშ მყოფი შინ ბრუნდებოდა. ცხადია, რომ ეს აფეთქება ღონღაძის მკვლელობის საქმის გამოძიების გააქტიურებას უკავშირდება. "მაქციებმა" (ასე უწოდებენ დანაშაულებრივი საქმიანობის მიმდევარ პოლიციელებს), რომლებსაც, გონჩაროვის განცხადების თანახმად, სათავეში ნესტოროვი ედგა, 1997-დან 2000 წლამდე კიევსა და მის მიმდებარე რაიონებში 11 ადამიანი მოკლეს. როგორც წესი, ისინი იტაცებდნენ დიდი შემოსავლების მქონე პირებს და იმ შემთხვევაშიც კი, თუ მათ გასათავისუფლებლად გამოსასყიდს მიიღებდნენ, გატაცებულებს კლავდნენ.

გონჩაროვის განცხადების თანახმად, გენერალ-მაიორ ასტიონის ბრძანებით, ღონღაძე სწორედ ნესტოროვმა გაიტაცა. სწორედ ის ხელმძღვანელობდა მის წამებასაც, რისი მიზანიც იყო ჟურნალისტისგან მიეღოთ ინფორმაცია, დეპუტატ ვოლკოვისა და უკრაინის პრეზიდენტის წინააღმდეგ დაწერილი სტატიების შემკვეთის შესახებ.

*24 საათი*


## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

ანკეტა

სახელი, გვარი..............................

ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი..............................

საკონტაქტო ტელეფონი..............................

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

ყუთები განთავსებულია ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთ ჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "დელისი");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფშენის" შენობის 1-ლი სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია

**1**

იურიდიული ოფისი „გაპი" და გაზეთი "24 საათი"

ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.

**2**

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში. (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება.) უფასო შეკითხვის ქვითრები გამოქვეყნდება ყოველდღიურად, გაზეთის A7 გვერდზე ხოლო ამომწურავ პასუხს მკითხველი მიიღებს ყოველ ხუთშაბათს გაზეთ "24 საათის" მეშვეობით.

მკითხველი, სურვილის მიხედვით, აქსებს უფასო შეკითხვის ქვითრის ქვემოთ გამოქვეყნებულ ანკეტას. ამავდროულად, სასურველია მკითხველმა მიუთითოს საკონტაქტო ტელეფონი, რათა საჭიროების შემთხვევაში, მოხდეს შეკითხვის დაზუსტება.

**3**

ყუთები განთავსებული არიან ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართზე:

1. მეტროს სადგური „ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური „მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური „თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური „წერეთელი";
5. მეტროს სადგური „სამგორი II";
6. მეტროს სადგური „ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური „გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური „დელისი");
8. მეტროს სადგური „ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური „დიდუბე";
10. ვაჟაფშაველას 45 "ხორეშმენის" I სართული.
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი „გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოგზავნოს ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ. 77 იურიდიული ოფისი "გაპი".

# უფასო იურიდიული კონსულტაცია

## "24 საათის" მკითხველისთვის

**მგელაძე ნაირა**

1995 წელს, მებაღეობის წევრმა, მასზედ გამოყოფილი საბაღე ნაკვეთი უკან ჩააბარა მებაღეობის ამხანაგობას განცხადებით და სადაც თხოვდა, რომ აღნიშნული ნაკვეთი ჩემთვის გადმოეცათ. მე მას ავუნაზღაურე მისი ღირებულება, გაწეული ხარჯები. რის შემდეგაც მებაღეობის ამხანაგობის სათანადო გადაწყვეტილებით ნაკვეთი მე გადმომეცა. 1997 წელს მოვახდინე მისი პრივატიზაცია, შემდგომში კი საკუთრების მოწმობა,მაშინდელი პრეზიდენტის ხელმოწერით. ნაკვეთის ყოფილი მესაკუთრე რუსეთში იყო წასული სამუშაოდ, სადაც გარდაიცვალა 2002 წელს. 2003 წელს კი მისმა მეუღლემ დაიწყო ჩივილი. ითხოვს პრივატიზაციის გაუქმებას და ნაკვეთის მასზე გადაცემას. ნაკვეთის ყოფილ მესაკუთრეს პრივატიზაცია არ გაუკეთებია. არც მიწის გადასახადი გადაუხდია. გთხოვთ განმარტებას.

**ქალბატონო ნაირა,**

სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლის თანახმად, რეესტრის მონაცემების მიმართ მოქმედებს უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია, ესე იგი რეესტრის ჩანაწერები ითვლება სწორად, ვიდრე არ დამტკიცდება მათი უზუსტობა. ამრიგად, თუ თქვენ საჯარო რეესტრში რეგისტრირებული ხართ როგორც აღნიშნული მიწის მესაკუთრე, ითვლებით მის მეპატრონედ. ხოლო თქვენმა მოწინააღმდეგემ უნდა დაამტკიცოს არსებული ფაქტის მცდარობა, ეს შეუძლია სასამართლო წესითაც. თუ აღნიშნული მიწის ნაკვეთი იყო ამხანაგობის საკუთრება, მაშინ მას უფლება ჰქონდა ამხანაგობის წევრთა ერთობლივი გადაწყეტილებით გადმოეცა იგი თქვენთვის საკუთრებაში. ხოლო თუ იგი იყო გარდაცვლილის საკუთრება, მაშინ საჭირო იყო მესაკუთრის თანხმობა ნაკვეთის შესაძენად.

სამოქალაქო კოდექსის 1513-ე მუხლის თანახმად, ფიზიკურ პირთა კანონიერ სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთები, როლებზედაც ინდივიდუალური სახლებია განლაგებული, სამოქალაქო კოდექსის ამოქმედებიდან ითვლება ამ პირთა საკუთრებად.

**ნათელა ზუბიაშვილი**

მოგახსენებთ,რომ ჩემი მეუღლე უშანგი ფორეს ძე ზუბიაშვილი იყო ჩერნობილის ლიკვიდაციის მონაწილე, ამის გამო დაიღუპა ფილტვების სიმსივნით 1994 წელს.

როგორც ჩერნობილის ლიკვიდაციის მონაწილეს შეღავათი მქონდა შუქზე და წყალზე, მაგრამ 2005 წელს მომიხსნეს ეს შეღავათი. ახლა გაზეთ "24" საათში გამოქვეყნებული იყო ბრძანებულება, რომლის თანახმადაც უნდა მივიღო კვლავ შეღავათი შუქზე 3.5 ლარის ოდენობით, რომელიც უნდა დამერიცხოს პენსიაზე ან ხელფასზე. ვინაიდან ვარ მე საპენსიო ასაკის, მაგრამ ვმუშაობ, გთხოვთ ეს დანამატი 3.5 ლარის ოდენობით დამემატოს ხელფასზე, როგორც შუქის შეღავათი. ჩემს მეუღლეს, როგორც ჩერნობილის მონაწილეს, ეკუთვნოდა პენსია, მაგრამ არ უსარგებლია, შეიძლება თუ არა მისი პენსია დამენიშნოს მე, მის მეუღლეს.

**ქალბატონო ნათელა,**

საქართველოს 2000 წლის "ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურზე და სხვა სამხედრო ან სამოქალაქო დანიშნულების ბირთვულ ობიექტებზე ავარიული სიტუაციების შედეგების ლიკვიდაციის მონაწილეებისა და მათი ოჯახის წევრების სოციალური დაცვის შესახებ კანონის " მე-7 მუხლის თანახმად, თქვენ გაქვთ შემდეგი უფლება:

**მუხლი 7. ბირთვულ ობიექტებზე ავარიული სიტუაციების შედეგების ლიკვიდაციის დროს ან მიღებული დაავადების გამო გარდაცვლილი მონაწილეებისა და ინვალიდების ოჯახის წევრთა სოციალური დაცვა**

1. ამ მუხლით გათვალისწინებული შეღავათებით სარგებლობის უფლება აქვთ ბირთვულ ობიექტებზე ავარიული სიტუაციების შედეგების ლიკვიდაციის დროს ან მიღებული დაავადების გამო გარდაცვლილი მონაწილეებისა და ინვალიდების შრომისუუნარო მშობლებს და მეუღლეებს, აგრეთვე ავარიული სიტუაციების ლიკვიდაციაში მონაწილეობის შემდგომ პერიოდში დაბადებულ არასრულწლოვან შვილებს.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პირებს უფლება აქვთ ისარგებლონ:

ა) საპენსიო უზრუნველყოფით საქართ-

3. ბირთვულ ობიექტებზე ავარიული სიტუაციების ლიკვიდაციაში მონაწილეობის შემდგომ პერიოდში დაბადებულ ინვალიდ შვილებს დამატებით აქვთ უფლება, საჭიროების შემთხვევაში ისარგებლონ საკურორტო მკურნალობით სამედიცინო-სოციალური პროგრამების ასიგნების ფარგლებში.

ამრიგად, თქვენ გაქვთ უფლება, მიიღოთ პენსია როგორც მონაწილის მეუღლემ, ოღონდ როგორც კანონი განმარტავს, საჭიროა იყოთ შრომისუუნარო, ესე იგი საპენსიო ასაკს მიღწეული. პენსიის დასანიშნად კი უნდა მიმართოთ ადგილობრივი მმართველობის სოციალური დაცვის სამსახურს.

**რობერტი დიკონიძე**

საზღვარგარეთ სახელმწიფოთაშორისი კონტრაქტით (1988-1991 წ.წ. ) გამომუშავებული ხელფასი დღემდე არ მიმიღია. რატომღაც ის სახელმწიფო ვალად იქნა აღიარებული. ხელფასის მიუღებლობის გამო არსებობისათვის დამიგროვდა უამრავი ვალი. მევალეებმა გამაყიდინეს ბინაც. ამჟამად ვცხოვრობ ქირით. ჩაწერილი ვარ ნაცნობთან. ბინის მეპატრონე გვთხოვს ამოვეწეროთ სასწრაფოდ. ოჯახის ოთხი წევრი (ოჯახი შედგება ექვსი სულისაგან) ვმუშაობთ თბილისში. გთხოვთ განგვიმარტოთ, როგორ უნდა მოხდეს ჩვენი რეგისტრაცია თბილისში.

**ბატონო რობერტ,**

საქართველოს 1996 წლის "საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციისა და პირადობის დადასტურების წესის შესახებ" კანონის მე-5 მუხლის თანახმად, რეგისტრაციისათვის საჭიროა პირმა წარადგინოს პირადობის(ბინადრობის) მოწმობა და საცხოვრისის საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი ან საცხოვრისის მესაკუთრის თანხმობა, რაც ნიშნავს საცხოვრისის მესაკუთრის ან სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი საცხოვრისის დამქირავებლის წერილობით თანხმობას შესაბამისად საკუთრების ან ქირავნობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის ან სანოტარო წესით დამოწმების გარეშე. ამრიგად, თბილისში რეგისტრაციის გასავლელად (ჩასაწერად) საჭიროა, გქონდეთ ბინა საკუთრებაში ან ვინმემ მოგცეთ თანხმობა, დარეგისტრირდეთ მის ბინაში. აგრეთვე, უნდა აღვნიშნოთ, რომ სხვის ბინაში რეგისტრაცია (ჩაწერა) არ წარმოშობს რაიმე უფლებას ამ ბინის მიმართ. ეს არის უბრალოდ რეგისტრაციის ფაქტის აღნიშვნა.

რეგისტრაციისათვის კი უნდა მიმართოთ იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო რეესტრის მწარმოებელ ტერიტორიულ ორგანოს. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად პირს უფლება აქვს, გაიაროს რეგისტრაცია იმ ადგილის ტერიტორიულ ორგანოში, სადაც იმყოფება ფაქტობრივად, ესე იგი, როცა არა აქვს საცხოვრებელი ადგილი. ამ დროს მოხდება მისი რეგისტრაცია მისამართის მითითების გარეშე. ამ შემთხვევაში პირი ვალდებულია, გამოცხადდეს ყოველ 6 თვეში ერთხელ რეგისტრაციის ადგილას.

**ნანა მამასახლისი**

დიდი ხნის განმავლობაში ვმუშაობ საბიუჯეტო ორგანიზაციაში. როგორც მოგეხსენებათ გარკვეული პერიოდის მანძილზე, საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 19 დეკემბრის ნომერ 829 ბრძანებულებით, ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებებში დასაქმებულ მუშაკთა ხელფასიდან სხვადასხვა ენერგომატარებლებზე, ცენტრალიზებულად ხდებოდა თანხების გადარიცხვა, რომლებიც უნდა ასახულიყო (გატარებულიყო) საბიუჯეტო მუშაკის ვალის გამოსაქვითად (დასაფარავად) საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. გთხოვთ განმარტებას (მხოლოდ მაინტერესებს ელექტროენერგიის გადასახადი, რომელიც შეადგენდა 2.5 ლარს) როდიდან როდემდის მოქმედებდა აღნიშნული ბრძანებულება და ნამდვილად შეადგენდა თუ არა აღნიშნულ თანხას.

**ქალბატონო ნანა,**

თქვენ მიერ მითითებული ბრძანებულება მოქმედებდა მითითებული რიცხვიდან 1999 წლის 18 ოქტომბრამდე. ამ ბრძანებულების მე-4 მუხლის თანახმად 1997 წლის 1-ლი იანვრიდან ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებებში დასაქმებულ მუშაკთა (გარდა სახელმწიფო და სასამართლო ხელისუფლების ორგანოებში დასაქმებული მაღალი რანგის თანამდებობის პირებისა, რომელთაც საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 20 აგვისტოს ნომერ 549 ბრძანებულებით გაეზარდათ თანამდასაქმებული მუშაკებისა) თანამდებობრივი სარგო უნდა გაზრდოდათ 15 პროცენტით, ხოლო თავდაცვისა და სამართალდამცავ ორგანოებში დასაქმებულ მუშაკთა შრომის ანაზღაურება უნდა გადიდებულიყო 10 პროცენტით. მაგრამ არანაკლებ 3 (სამი) ლარისა თვეში. აღნიშნულ ბრძანებულებაში სხვა რაიმე მითითება თქვენს მიერ მითითებულ თანხაზე არ ყოფილა. ალბათ აღნიშნული მომატებული ხელფასიდან ხდებოდა შემდგომში დაქვითვები .

**ლევან ერისთავი**

ვცხოვრობ ბოლო სართულზე, კრამიტის გადახურვით, წვიმის დროს ძალიან ჩამოდის წყალი ყველა ოთახში, სახურავი 45 წლისაა და საჭიროებს კაპიტალურ შეკეთებას. 2 წლის წინ ქალაქკეთილმოწყობის პროგრამით შეტანილი ვიყავი შესაკეთებელ სიაში, არ შეუკეთებიათ, მითხრეს მასალებს მოგცემთ და თქვენ თვითონ შეაკეთეთო, არც ის მოუციათ. მაინტერესებს, თუ როგორ შეიძლება გავარკვიო აღნიშნული სიტუაცია (ეჭვი მაქვს, რომ ჩემზე თანხები ჩამოწერეს), თუ გარკვევა შეუძლებელია, რა პროცედურები უნდა გავიარო, რომ მივიღო საკუთარი ხარჯებით გადახურვის ნებართვა, მეზობლების თანხმობა მაქვს(საჭიროების შემთხვევაში ნოტარიალურადაც გავაფორმებ), საჭირო ან უმჯობესი ხომ არ იქნება ჩემს თავზე არსებული სახურავის პრივატიზაცია.

**ბატონო ლევან,**

სამოქალაქო კოდექსის 220-ე მუხლის 2-ე ნაწილის თანახმად შენობაში მისი ბინის მდებარეობის მიუხედავად, ყოველი ბინის მესაკუთრე სხვა ბინის მესაკუთრეთა წინაშე ვალდებულია თავისი წილის შესაბამისად გასწიოს საერთო საკუთრების ხარჯები, კერძოდ, სახლის სათანადო მდგომარეობაში შენახვის, მიმდინარე რემონტის, მართვისა და საერთო საკუთრების ერთობლივი სარგებლობის ხარჯები. ამრიგად, ბინაში მცხოვრები პირების ვალდებულებაა მოუარონ შენობას. ამავე დროს 224-ე მუხლის 2-ე ნაწილის თანახმად, როცა ბინა აუცილებლად საჭიროებს ისეთი ზომების მიღებას, რომელიც ემუქრება მას დაზიანებით, რომელიმე მესაკუთრეს უფლება აქვს სხვა მესაკუთრეთა თანხმობის გარეშე აიცილოს ეს ზიანი. შემდეგ კი უფლებამოსილია, მოითხოვოს გაწეული ხარჯების ანაზღაურება, ესე იგი მისი ნებაა, მოითხოვს თუ არა მას. ამრიგად თქვენ შეგიძლიათ სახურავი გაარემონტოთ მარტომაც. რაც შეეხება იმას, რომ თქვენი სახლისათვის გამოყოფილი იყო დახმარება, აღნიშნული საკითხი უნდა გაარკვიოთ თქვენს მიერ მითითებულ სამსახურში. გაქვთ უფლება აღნიშნულის შესახებ მიიღოთ ინფორმაცია.

**ანატოლ ფარცვანია**

ვარ ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანი. ელექტროენერგიის შეღავათით დამიგროვდა 298 ლარის კრედიტი. ა/წ იანვარს ამ კრედიტიდან ჩამომაჭრეს 86 ლარი. გასარკვევად მივმართე "თელასის" სათაო ოფისს, სადაც ხან 2002 წლის შევარდნაძის ბრძანება, ხან ფინანსთა სამინისტროს ბრძანებები მოიმიზეზეს. გთხოვთ გამაგებინოთ, ჰქონდა თუ არა ჩემი დანაზოგი კრედიტის ჩამოჭრის კანონიერი უფლება "თელასის" მესვეურებს და თუ ჰქონდათ, მიმითითეთ გარკვევით, რომელი კანონით ან რომელი ბრძანებით.

**ბატონო ანატოლ,**

საქართველოს 1996 წლის კანონი "გრანტების შესახებ " მე-2 მუხლში განმარტავს

**მუხლი 2. გრანტი**

1. გრანტი არის გრანტის გაცემის (დონორის) მიერ გრანტის მიმღებისათვის უსასყიდლოდ გადაცემული მიზნობრივი სახსრები ფულადი ან ნატურალური ფორმით, რომლებიც გამოიყენება კონკრეტული ჰუმანური, საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევითი, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურული, სპორტული, ეკოლოგიური და სოციალური პროექტების, აგრეთვე სახელმწიფოებრივი ან საზოგადოებრივი მნიშვნელობის პროგრამების განხორციელებისათვის.

ამრიგად, აღნიშნული თანხა წარმოადგენს გრანტს. კანონის თანახმად კი თქვენ ხართ მისი მესაკუთრე. ამიტომ სხვას არ აქვს უფლება განკარგოს იგი თქვენი თანხმობის გარეშე. მაგრამ, რადგან იგი გაიცა კონკრეტული მიზნისათვის, ამიტომ ამ თანხის გამოყენება შეიძლება მხოლოდ ელექტროენერგიის საფასურის დასაფარავად. შესაბამისად ორგანიზაციას უფლება აქვს, თამე-2 ნაწილის თანახმად გრანტი გამოიყენება მხოლოდ ხელშეკრულებაში აღნიშნული მიზნებისათვის. ხოლო თუ რის საფუძველზე მოახდინეს აღნიშნული თანხის დაქვითვა, უნდა გაცნობოთ ორგანიზაციამ, უნდა მიუთითონ შესაბამისი კანონი ანდა ადმინისტრაციულ -სამართლებრივი აქტი, ან ორგანიზაციის გადაწყვეტილება. ორგანიზაციას ეს ვალდებულება აკისრია როგორც მხარეს, რომელიც არის იმ გარიგების მონაწილე, რომლის თანახმადაც მოგეწოდებათ ელექტროენერგია. აღნიშნული ვალდებულება გამომდინარეობს სამოქალაქო კოდექსის ნორმებიდან.

**ნინა ცატუროვა**

საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ პირის მიმართ აღძრული იქნა სისხლის სამართლის საქმე და დადგენილების ნაწილში აღნიშნულია, რომ "აღიძრას სისხლის სამართლის საქმე მოქალაქე ბადიაური რეზოს მიმართ" და ა.შ. აღძვრის მომენტიდან რამდენი დღის განმავლობაში უნდა ეცნობოს მოქალაქეს, რომ მის მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და ასეთი შეტყობინებიდან უნდა გადაეცეს თუ არა მას დადგენილების ასლი.

**ქალბატონო ნინა,**

საქართველოს ს.ს.ს. კოდექსის 72-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად ეჭვმიტანილს, რომელიც დაკავებული არ არის, უფლება აქვს მისი ეჭვმიტანილად ცნობისთანავე ხელზე მიიღოს სისხლის სამართლის საქმის აღძვრისა და მისი ეჭვმიტანილად ცნობის შესახებ დადგენილების ასლები. ხოლო 73-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად ეჭვმიტანილს უფლება აქვს: პოლიციის დაწესებულებაში ან მოკვლევის სხვა ორგანოში მისი მოყვანიდან არაუგვიანეს 12 საათისა ხელზე მიიღოს სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შესახებ დადგენილების ასლი, აგრეთვე მისი ეჭვმიტანილად ცნობისა და დაკავების შესახებ დადგენილების ასლი.

**გია მესხი**

მაქვს ლიცენზირებული ვალუტის გადამცვლელი პუნქტი ფართობით 6 მ/2, სადაც ვმუშაობ მე. როგორც ინდ მეწარმე რა გადასახადები მეკუთვნის საგადასახადოში. დაქირავებული არავინ არ მყავს.

**ბატონო გია,**

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლი ადგენს რა საშემოსავლო გასასახადისაგან განთავისუფლების პირობებს, არაა მითითება ვალუტის გადამცვლელ პუნქტზე. ამრიგად, თქვენ არ ხართ განთავისუფლებული აღნიშული გადასახადისაგან. 167-ე მუხლის თანახმად ფიზიკური პირის დასაბეგრი შემოსავალი იბეგრება 12 პროცენტით.

რაც შეეხება მოგების გადასახადს, 169-ე მუხლის თანახმად მისი გადამხდელი არის საქართველოს საწარმო. ხოლო 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად საწარმოს არ განეკუთვნება ინდივიდუალური საწარმო. ამრიგად, თქვენ არ ხართ აღნიშნული გადასახადის გადამხდელი.

რაც შეეხება დამატებითი ღირებულების გადასახადს, 221-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ა ქვეპუნქტის თანახმად მისი გადამხდელია პირი, რომელიც ეწვა ეკონომიკურ საქმიანობას და ნებისმიერი უწყვეტი 12 კალენდარული თვის განმავლო-ბაში მის მიერ განხორციელებული დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციების საერთო თანხა აღემატება 100 000 ლარს. 245-ე მუხლის თანახმად დღგ-ის განაკვეთი შეადგენს დასაბეგრი ბრუნვის თანხის 18 პროცენტს. 282-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად 2005 წლის 1-ელ ივლისამდე დღგ-ის განაკვეთი შეადგენს დასაბეგრი ბრუნვის თანხის 20 პროცენტს.

რაც შეეხება აქციზს , 253-ემუხლის თანახმად მისი გადამხდელია პირი, რომელიც აწარმოებს აქციზურ საქონელს საქართველოში, ახორციელებს აქციზუ-რი საქონლის იმპორტს საქართველოში, ახორციელებს შავი ან/და ფერადი ლითონების ექსპორტს. ხოლო აქციზის განაკვეთები დიფერენცირებულია საქონლის სახეობების მიხედვით.

რაც შეეხება სოციალურ გადასახადს, 266-ე მუხლის ა ქ/პუნქტის თანახმად, მას იხდის პირი, რომელიც უხდის ხელფასს საქართველოში დაქირავებით მომუშავე ფიზიკურ პირებს.

რაც შეეხება ქონების გადასახადს, 272-ე მუხლის 4-ე ნაწილის მიხედვით, ფიზიკური პირისათვის ქონების, გარდა მიწისა, გადაბა-ნაგებობები ან მათი ნაწილი), გარდა ეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებული ქონებისა; ბ) ეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებული ქონება. 273-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით აღნიშნული გადასახადის ოდენობა არის ბ ქ/პუნქტით გათვალისწინებული ქონების ღირებულების 1 პროცენტი.

**გია მესხი**

ბინაში, სადაც ვცხოვრობ, რეგიტრირებულია (ჩაწერილია) ოთხი კაცი. ფაქტიურად ვცხოვრობთ ორი კაცი. ორი წასულია საზღვარგარეთ. წლისა და ნაგვის ფული მოდის ოთხ კაცზე. გთხოვთ, მიპასუხოთ ცალსახად: ფული უნდა გადავიხადო რეგისტრაციის (ჩაწერის) ოთხ კაცზე, თუ ფაქტიური ორი კაცის მიხედვით. ბინა საკუთარია, სახლმმართველობასთან არავითარი კავშირი არ გვაქვს.

**ბატონო გია,**

აღნიშნული გადასახადი არ არის საგადასახადო კოდექსით დადგენილი გადასახადი, იგი წარმოადგენს იმ მომსახურების საზღაურს, რომელიც ვლინდება წყლის მოწოდებაში და ნაგვის გატანაში. რადგან ეს გადასახადები წარმოადგენს ფიქსირებულს სულადობის მიხედვით, გერიცხებათ იმდენი, რამდენი პირიცაა რეგისტრირებული თქვენს სახლში. მაგრამ, რადგან აღნიშნული მომსახურება სხვა არაფერია თუ არა სამოქალაქო გარიგება, თქვენ შეგიძლიათ, შეუთანხმდეთ მათ, რომ რადგან ორი პირი არ იმყოფება ფაქტობრივად საქართველოში, წარუდგინოთ შესაბამისი ცნობა, დაგერიცხოთ გადასახადი მხოლოდ დარჩენილ ორ პიროვნებას. ამასთან შეგიძლიათ მოითხოვოთ ინფორმაცია, თუ რომელი ნორმატიული აქტით საზღვრავენ აღნიშნულ გადასახადს, თუ ორგანიზაციის გადაწყვეტილებას.

**გივი მრელაშვილი**

მოსამართლემ განიხილა მოქალაქე "ა"-ს განცხადება ქონებრივ პრეტენზიაზე მოქალაქე "ბ"-ს მიმართ და გამოიტანა განჩინება სარჩელის აღძვრამდე მისი უზრუნველყოფის მიზნით. ("ა"-ს პრეტენზია "ბ"-ს მიმართ მოჩვენებითია და მიმართულია "მესამე პირის" საწინააღმდეგოდ). განჩინების სამოტივაციო ნაწილში ("გამოვარკვიე", მოსამართლე თავისი გადაწყვეტილების მიღების საფუძვლად ასახელებს ორ გარემოებას: 1) მოქალაქე "ა"-მ X დღეს შეისყიდა მოქალაქე "ბ"-სგან სამოთახიანი ბინა. 2) მოქალაქე "ა"-მ იმავე დღეს გადასცა მოქალაქე "ბ"-ს თანხა მიმდებარე ერთოთახიანი ბინის შესასყიდად. ორი შეკითხვა მაქვს: 1) გარემოებები, რომლებსაც მოსამართლე დაეყრდნო, უნდა ყოფილიყო რაიმე მტკიცებულებებით (დოკუმენტებით) გამაგრებული, თუ მოსამართლეს შეეძლო განჩინების გამოტანა მხოლოდ მოქალაქე "ა"-ს განცხადების საფუძველზე? 2) თუ აღმოჩნდა, რომ პირველი გარემოება არ არსებობდა, თავისთავად ბათილად უნდა ჩაითვალოს თუ არა მეორე გარემოებაც? თუ X დღე არ იყო, როგორ იქნებოდა-"იგივე დღე?"

**ბატონო გივი,**

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის თანახმად, მოსარჩელეს შეუძლია, მიმართოს სასამართლოს განცხადებით სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ. განცხადება უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, აგრეთვე მითითებას იმაზე, თუ უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გატარება მიაჩნია მოსარჩელეს საჭიროდ. 192-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ გადაუდებელ შემთხვევაში შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში საჩელის აღძვრამდეც.

ამრიგად, აღნიშნული განცხადება განმტკიცებული უნდა იყოს რაიმე მტკიცებულებით, ეს შეიძლება იყოს ერთი ან რამდენიმე სახის. ხოლო თუ მოპასუხე არ ეთანხმებოდა აღნიშნულ განჩინებას, მას შეძლო იგი გაესაჩივრებინა ხუთი დღის ვადაში მას შემდეგ, რაც გადასცემდნენ ამ განჩინებას. 194-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ამ განჩინებაზე იმავე სასამართლოში შეიძლება კერ-

**ყველაფრის მიზეზი ფულია**



B2

**მესამე ვნება**



B3

**საქართველოს ატლასი მოზარდთათვის**



B8

ქეთევან სადღობელაშვილი

# TV მეხუთე დრო



**EXPRESS ინფორმაცია**

დღეს მხოლოდ გასართობ ტელევიზიებზე ვაპირებდი საუბარს, მაგრამ ელიტოპოლიდან მოვიდა სიგნალი იმის შესახებ, რომ საზოგადოებრივი ტელევიზიის სამეურვეო საბჭოსათვის კანდიდატურების შერჩევის პროცესი უკვე დაიწყო. საქართველოს პრეზიდენტის შესაბამისი განკარგულება, რომელიც 22 თებერვლითაა დათარიღებული, მეორე დღესვე დაბეჭდილა უმკითხველო გაზეთ “საქართველოს რესპუბლიკაში”. თბილისი ის ქალაქია, სადაც ამბავი მალე ვრცელდება, მაგრამ ამ ინფორმაციამაც კი ხსენებული გაზეთის “პრესტიჟის” წყალობით ჩვენამდე ერთი კვირის დაგვიანებით მოაღწია. არ ვიცი, ხელისუფლების განზრახვა იყო, არავის წაეკითხა ხსენებული კონკურსის შესახებ და უსასრულოდ გაგრძელებულიყო დღევანდელი სახით არხის შენარჩუნების პროცესი, თუ სხვა რამ, მაგრამ ფაქტია, საზოგადოება, რომელსაც დიდი ხანია, გამჭვირვალობის ილუზიით კვებავენ, ინფორმაციის გარეშე დარჩა. მათ, ვისაც სურვილი აქვს, საზოგადოებრივი ტელევიზიის სამეურვეო საბჭოს ცხრა წევრის ვაკანტურ თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში მიიღოს მონაწილეობა, ვაცნობებთ, რომ ყველას აქვს მეურვეობის კანდიდატურის დასახელების უფლება კონკურსის გამოცხადებიდან (ა.წ. 23 თებერვლიდან) 30 დღეში. თუ ამ ვადაში არ დასახელდება ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე არანაკლებ სამი კანდიდატურა ანუ 27 კაცი (რაც ნაკლებად სავარაუდოა, რადგან მსურველთა რიცხვი ძალიან დიდია), ცხადდება ახალი კონკურსი. პირის რეგისტრაციისათვის ღია კონკურსის სამდივნოში (მისამართი: 0134, ქ. თბილისი, პ.ინგოროყვას ქ. 7, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია) უნდა წარადგინოთ:

ა) მსურველის წერილობითი განცხადება ან წარდგინება, რომელსაც ახლავს წარდგენილი პირის თანხმობა.

ბ) ავტობიოგრაფია.

გ) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი მოწმობის ასლი.

დ) პირადობის მოწმობის ასლი.

ე) სარეკომენდაციო ხასიათის წერილები, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ვ) მეურვეობის კანდიდატისთვის არანაკლებ 5 წლის მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტები.

კონკურსის გამოცხადებიდან 30 დღის შემდეგ, 10 დღეში უნდა გამოქვეყნდეს მეურვეობის კანდიდატთა სია, რომელთაგან ცხრა მეურვე წესით და კანონით პარლამენტმა უნდა დაამტკიცოს. პარლამენტის თანხმობის შემდეგ კანდიდატებს თანამდებობაზე ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი. მანამდე კი მიზანმიმართულად ვრცელდება ინფორმაცია იმის შესახებ, რომ საზოგადოებრივი ტელევიზიის სამეურვეო საბჭოს წევრებმა ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე უნდა იმუშაონ. მსგავსი ხმების გამავრცელებლებმა კარგად იციან, რომ დღევანდელ სოციალურ სიდუხჭირეში მცხოვრები ყველა ნორმალური ადამიანი, ვისაც გვერდითი შემოსავალი არ გააჩნია, ასეთ პირობაზე უარს იტყვის. არადა, მსგავსი არაფერი წერია კანონში “მაუწყებლობის შესახებ”, პირიქით. “მუხლი 24, პუნქტი 5. მეურვეს სამეურვეო საქმიანობის განხორციელებისათვის ეძლევა ჰონორარი და აუნაზღაურდება ამ კანონით განსაზღვრული ფუნქციების შესრულების ხარჯები”. რაც შეეხება გენერალურ დირექტორს, ამავე კანონის 30-ე მუხლის თანახმად, სამეურვეო საბჭო “განსაზღვრავს გენერალური დირექტორის შრომის ანაზღაურების პირობებსა და ოდენობას”. ასე რომ, ენთუზიაზმზე მუშაობის შიშს საფუძველი არ გააჩნია. საერთოდ, ძლივს შეიქმნა იმის პრეცედენტი, რომ ტელევიზიის საქმიანობა საქართველოში კანონმა დაარეგულიროს და არა ხელისუფლებამ. ჩემი მოკრძალებული რჩევაა, გაეცნოთ ხსენებულ კანონს და აკონტროლოთ, ვის, რაში და რატომ უხდით ფულს. თქვენს გარდა ამას სხვა არავინ გააკეთებს.

იმედია, საზოგადოებრივი ინიციატივებისა და საინტერესო პროცესების მოწმენი გავხდებით, იმის მიუხედავად, უნდა ეს ხელისუფლებას, თუ არა. ახლა კი ჩვენს დღევანდელ თემას დავუბრუნდეთ.

**ყვითელი ეკრანი**

“მასებს ახალისებთ გართობა, მასები გვიყურებენ ჩვენ!” - ტელეკომპანია “მზის” ეს სლოგანი თავისუფლად შეიძლება მოვარგოთ იმ ქართულ ტელეარხებს, რომელთა ვიწრო, კომერციული ინტერესი მასის რაოდენობრივი ზრდის პირდაპირპროპორციულია.

კომერციული ტელევიზია ერთგვარი ბიზნესია, ფულის კეთების საშუალება და როგორც ყველა ბიზნესი, საზოგადოებას აღიქვამს არა საზოგადოებად, არამედ მომხმარებლად, ვისაც საკუთარ პროდუქციას მიასაღებს. აქედან გამომდინარე, მათთვის მთავარია არა ის, თუ ვინ უყურებს, არამედ რამდენი უყურებს. ამიტომაც, ასეთი ტელეარხების პროდუქცია უფრო მეტად მაყურებლის მოსაზიდად შეფუთული რეკლამაა და სხვა არაფერი. კომერციული არხების ბიზნესსპეციფიკას ერთი პარადოქსიც ახლავს, ბაზარი ხდება უშუალო დამკვეთი, რაც კულტურის კომერციალიზაციას იწვევს. მაყურებელთა რეიტინგსა და რაოდენობაზე ანუ მასკულტურის მოთხოვნებზე ხდება დამოკიდებული ტელეარხის კონცეფცია (თუ ასეთი არსებობს) და სარეკლამო დროის ღირებულება. ამერიკულის მსგავსად, “რაც მეტია მაყურებელი, მით ძვირია რეკლამა”. ასეთი დამოკიდებულება, ბუნებრივია, ტელეარხების გაყვითლებას იწვევს.

ქართულ ტელესივრცეში ასეთი მკვეთრად გამოხატული კომერციული არხი “მაესტრო” გახლავთ, რომლის ძირითადი ფუნქცია თინეიჯერების “გავლით” ბიზნესის კეთებაა. ვილაც იტყვის, რომ თინეიჯერებს ბიზნესი არ გააჩნიათ, სამაგიეროდ, თინეიჯერებზე გათვლილი პროდუქციის მწარმოებლები არსებობენ. “მაესტროს” მეპატრონეებმა მონახეს კომერციის ისეთი წყაროებიც, როგორიცაა სპორტის სასახლის პუბლიკაზე გათვლილი კონცერტები “მაესტროსგანვე” შექმნილი “პაპსას” მონაწილეობით, ჟურნალები, გასართობი ცენტრები და ა.შ. ბიზნესის წარმოების უფლება ყველასა აქვს და ღმერთმა ხელი მოუმართოთ, მაგრამ როგორ იყენებენ ტელეეთერს საკუთარი ბიზნესის რეკლამირებისა და შესაბამისად, თინეიჯერთა ზომბირებისათვის, ესაა საინტერესო.

თბილისში მოსახლეობის უმეტესობას საკაბელო არხების არჩევანის საშუალება არა აქვს, ხალხი სავალდებულო კომუნალურ გადასახადსაც ვერ იხდის (აგერ ახლა, მოძოვილი ბალახის გადასახადიც დაგვემატა. სულ ტყუილად ვოცნებობდით, ოღონდ დამოუკიდებლები გავხდეთ და ბალახს მოვძოვთო. არ შეგვარგო ამ მთავრობამ, რაც ვძოვეთ.) რეგიონებზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი. ჩავთვალოთ, რომ ქვეყნის სატელევიზიო მთლიანობის მხრივ საქართველო, ფაქტობრივად, დაკარგული გვაქვს. ერთი მხრივ, შესაძლოა, ეს ჭირი მარგებელიც იყოს, როცა ჩვენი მოსახლეობის უმეტესობა გასართობ ქართულ არხებს ვერ უყურებს. თბილისში კი, სადაც ტელეეკრანთან იზრდება ბავშვი და ყალიბდება მოზარდის ცნობიერება, ე.წ. გასართობი არხები ახალ, SMS-ესთეტიკას ამკვიდრებენ. “მაესტროს” გადაცემათა ნუსხაც SMS-კონფერენციით, SMS-კარაოკეთი, SMS-ანეკდოტებით, SMS-ინტიმითა და საბოლოო ჯამში SMS-ონანიზმით შემოიფარგლება. ზარის ღირებულებაა 50 თეთრი. “მაესტროს” გენერალურ სპონსორს “მაგთი GSM”-ს (რომელიც “პირველი სტერეოს” გენ. სპონსორიცაა) რა წილი ერგება ამ ზარებიდან, ვერაფერს გეტყვით. “მაესტროში” სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების ისეთი ხარისხია, უდემოკრატიულეს ქვეყნებს რომ “შეშურდებათ”. 50 თეთრად შეგიძლიათ მოყვეთ ყველაფერი, რაც თქვენს გულს გაუხარდება, საკუთარი ბებიის ბიოგრაფიით დაწყებული და ყბაჩოსებრი უწმაწური ანეკდოტით დამთავრებული (ვერ ვაკადრებ მკითხველს თუნდაც ერთი მათგანის გამეორებას). არც დროში და არც გრძნობებში შეზღუდული არა ხართ. არც იმაზე იფიქროთ, ამ დროს ბავშვები გიყურებენ თუ არა. ამაზე არხი არ ფიქრობს და თქვენ რატომ უნდა იტეხოთ ტვინი. ერთ გადაცემას ასეც ჰქვია - “ტვინსატეხი.” ტვინი თუ ტყდებოდა, არ ვიცოდი. “მაესტრო” ასევე დიდი დოზით გვთავაზობს ინტერნეტ-თამაშებს, კროსვორდ-ჩაძირობანებს და ქართული შოუ-ბიზნესის “მეფე-დედოფალ, ნაზირვეზირთა” ცხოვრება-მოღვაწეობის ერთთვიან კურსებს მისაბაძი მაგალითების სერიით (აგერ, ორმა “მეფემ” ტიტულისთვის კინაღამ ერთმანეთი დახოცა). რჩება შთაბეჭდილება, რომ თუ გადაიხდი, უვადოდ გაგატელევიზორებენ. უბედურება ისაა, ჩვენს “პაპსავიკებს” მართლა ვარსკვლავები რომ ჰგონიათ თავი. მერე რა, თუ ოჯახის დასანაყრებლად “პერაშკებს” (ორს შენთვის და ერთს ცოლისთვის) ყიდულობ, მაინც მეფე ხარ. ანდა, “პაპარაცში” (რომლის არსი ინკოგნიტობაა) გიღებენ და შენ ვითომ არაფერი იცი ამის შესახებ. ერთადერთი გადაცემა, რომლის იდეა თავისთავად საინტერესოა, “პრეს-პრესია”, სადაც მოწვეულ “ვარსკვლავს” ის ჟურნალისტები აკრიტიკებენ, რომელთა პროფესიონალიზმი და სიყვითლე ხშირ შემთხვევაში ეჭვს იწვევს. თუმცა, ეს ერთადერთი მცდელობა - კრიტიკა გაჭაჭანდეს არხის ეთერში, თავისთავად, მისასალმებელია. რაც შეეხება წამყვანების მწირ ლექსიკას, “ტუსოვკურ” ბაასს, ფამილარულ დამოკიდებულებას აუდიტორიასთან თუ მყვირალა, პლაჟურ ჩაცმულობას - ეს ყველაფერი მხოლოდ მაყურებელზე ზემოქმედების იაფფასიანი ხერხია, რომლის გადაღებასაც “წარმატებით” ცდილობს ახალშექმნილი “პირველი სტერეო”, იგივე პრინციპებით: “ნიმფატკა” წამყვანებით, იგივე SMS-ურთიერთობით, იგივე ინტერესებითა და ასეთი ლექსიკით - ძაან მოდაში შემოვიდა ბარხატის ბილიო (ე.ი. ხავერდის თეთრეული). “მაესტროს” მიმბაძველთა რიგებს შეუერთდა “202”, თუ არ ვცდები, გადაცემით “პროპაგანდა” და ვიღაც ლინზა, რომლის საცოდაობითაც, თუ გული გაქვს, დაიწვები (საერთოდ, “202”-ის ყალბი შინაურულობა და ორლობული საუბრები ცალკე საუბრის თემაა). არ გამოვრიცხავ, მალე ამ არმიას სხვებიც, ქართული MTV-ის შექმნის სურვილით გულანთებული მამულიშვილებიც შეუერთდნენ. SMS-ები ზოგისთვის გართობის, ზოგისთვის კი ფულის შოვნის ამოუწურავი საბადო აღმოჩნდა, ისეთი, ხალხმრავალი შეკრების ადგილებში შულერები გულუბრყვილო ხალხს რომ ატყავებდნენ სასაპნეებში მოთავსებული კამათლებით. თინეიჯერებსაც მეტი რა გასართობი აქვთ თბილისში - ტელევიზორი და ტელეფონი. ტელეშულერებისაგან დაცვის მექანიზმი ჩვენთან კიდევ კარგა ხანს არ გამოჩნდება. “ტელევიზია, რომელიც რეიტინგზე და რეკლამაზეა ორიენტირებული, არ შეიძლება პასუხისმგებელი იყოს საზოგადოების წინაშე” - აცხადებენ ტელემკვლევარები. ეს ფრაზა ალბათ ჩვენზე ყველაზე ნაკლებად ვრცელდება, რადგან, საზოგადოება იმაზე მეტად ინერტული და ხელჩაქნეული გახდა, ვიდრე იყო. და კიდევ, ერთი თვალშისაცემი ნიუანსი - 1939 წელს, ნიუ-იორკის მსოფლიო გამოფენაზე, ამერიკის რადიოკორპორაციის პრეზიდენტმა განაცხადა: “დღეიდან ჩვენ ბგერას გამოსახულებასაც ვუმატებთ.” ამ სიტყვებით ამერიკული ტელევიზიის ისტორიის დაწყება ამცნეს მსოფლიოს. ამ ფაქტით რადიო და ტელევიზია საბოლოოდ გაემიჯნა ერთმანეთს. ეს ამერიკაში მოხდა გასული საუკუნის დასაწყისში. ახლა 2005 წელია, ჩვენ საქართველოში ვცხოვრობთ და გასართობი ტელეარხების ეთერში ყოველ დღე რადიოს ვუყურებთ, რაც, თავისთავად, რადიოს უკვდავებას ადასტურებს.

**სკეტჩი დიდ ქალაქში**

ვიწრო სპეციალიზაციის გასართობი არხებისაგან განსხვავებით, შედარებით სოლიდურ ქართულ ტელეარხებზეც მომრავლდა გადაცემები - ყველასათვის, რომელთა უმეტესობა სიტუაციური სკეტჩების ხასიათს ატარებს და დახვეწილი იუმორისაგან საკმაოდ შორს დგას. საერთოდ, გასართობი პროგრამების უმეტესობა ჟურნალისტიკის ფარგლებს სცილდება. მსოფლიოში ცნობილი გასართობი მაუწყებლობები სოციალური ქცევის, საზოგადოებრივი აზროვნებისა და ცხოვრების გარკვეული წესის პროპაგანდას ეწევიან საოჯახო ქრონიკებზე აგებული სერიალების სახით. ტელეპიესები, სადაც მსახიობები სინამდვილეში არსებულ სიტუაციებს თამაშობენ და ახლად მომხდარ მოვლენებზე რეაგირებენ, ზოგჯერ ისე აღიქმება, როგორც რეალური ოჯახის ცხოვრებისეული რეპორტაჟები. ყოველდღიური კომედიური სერიალების ფუფუნება ჯერჯერობით “იმედს” გააჩნია, რომელმაც მარტივად გადაჭრა პრობლემა და ოდესღაც “პირველი არხის” სერიალი “ძილის წინ” თავისი სტილისტიკით, სცენარისტებითა და ძირითადი მსახიობებით პირდაპირ გადმოიღო მხოლოდ “იმედის” არხზე. ოღონდ იდეის ავტორი (ისევე, როგორც ყველა იდეისა “იმედის” არხზე) ამჯერად სხვაა. რაც შეეხება “კექსს დიდ ქალაქში”, სერიალის აღქმა ინდივიდუალურია, მასშტაბის, გემოვნების, განწყობისა და სატელევიზიო შეხიცინების მიხედვით. ამ უკანასკნელის დოზის დარღვევას არასასურველი გვერდითი მოვლენები ახლავს თან. “იმედის” წმინდა გასართობ პროდუქციას წარმოადგენენ: უკვე მარაზმში გადასული “ვაკაჭი NEWS “ ნიკო გომელაურის თანხლებით, რომლის ანტიკური, ბერძნული ტრაგედიების სტილი და მეტყველება ყოვლად აუტანელია 21-ე საუკუნის ტელევიზიისათვის. 90-იანი წლების უცხოური ტელეჰიტის “ერთი ნახვით შეყვარების” ანალოგი “ათასიდან ერთი შანსი”, რომლის წამყვანის საეთერო ჩაცმულობა ზაბლონა მასწავლებლისას მოგვაგონებს. რა პრინციპით მოსავს არხის დიზაინერი წამყვანებს, გაუგებარია. პოდიუმისა და ტელევიზიის სპეციფიკა ცა და დედამიწასავით განსხვავდება ერთმანეთისაგან, ის, რაც ერთისთვის ეფექტურია, შეუფერებელი და მყვირალაა მეორისათვის. თუნდაც, ნიკა ქავთარაძის ჯინსის შარვალი და პრიალა შავი “ლავსანის” (ასე აღიქმება ეკრანზე) პიჯაკი ზესტაფონური სტილია თუ 2005 წლის ტენდენცია ქართულ სატელევიზიო მოდაში? ჰო, ქავთარაძეზე და “202”-ის მხიარულთა ყოფილ გუნდზე გამახსენდა, რომელიც “იმედის” შეცვლილ ინტერიერში “6-SHOW”-ს სახით მოგვევლინა - მეჩვენება, რომ რამდენიმე სხარტულას გარდა განსხვავებულს ვერაფერს სთავაზობენ მაყურებელს, იქნებ მე არ მესმის და თუ იმერული აქცენტით მოყვები სკეტჩებს, ან ზვიოს “ესთეტიკას” გამოიყენებ, ჩაბჟირება გარანტირებულია. სხვა თაშორის, ხსენებული შოუსა და “რუსთავი 2”-ის “ღამის შოუს” წამყვანთა მონოლოგები იმდენად დაემსგავსა ერთმანეთს (განსაკუთრებით, იუმორისტთა მუზების ნათელაშვილის და ბენდუქიძის მოხსენიებისას), რომ ერთი გაცვეთილი “შპარგალკიდან” გადაწერილი გეგონება. მოკლედ, სკეტჩები ანუ სახუმარო ნომრები და უკბილო ანეკდოტები წარმოადგენს ქართულ იუმორსა და გართობას სამამულო ეკრანებზე. დღეს აღარაფერს ვიტყვით უცხოეთში ცნობილი ტელეპროექტების ანალოგებზე, ამაზე სხვა დროს ვისაუბროთ. კატეგორიულობისათვის პატიებას ვთხოვ იმ მაყურებელს, რომელიც ზემოთ დასახელებული პროდუქციით კარგად ერთობა. ჩემნაირებს კი ასეთ “სარჩევს” ვთავაზობ. ჩაუწიეთ ხმა “საზოგადოებრივი არხის” საინფორმაციო თუ “TOP” გადაცემებს და გაერთეთ, ან გამოსახულება ჩააბნელეთ, ხმა დატოვეთ და ამ შემთხვევაშიც კარგად გაერთობით.

შევხვდებით P.S.-ის შემდეგ

**P.S.**

**ლაშა ბუღაძის ჩემდამი "მოძღვნილი" სკეტჩის პასუხად** (26 თებერვალი, გაზეთი “24 საათი”)

**1.** ოთარ ჭილაძისა და გურამ დოჩანაშვილის არსებობა ლაშა ბუღაძის მუდმივი ტანჯვის მიზეზად რომ იქცა, ეს მხოლოდ ბუღაძის პრობლემაა და სხვა არავისი.

**2.** ზაზა შენგელიასა და კოკა ყანდიაშვილის საადვოკატო მომსახურება ნამდვილად არ მეტყველებს ბუღაძის სამართლიანობაზე, გემოვნებასა და მასშტაბებზე, რაც უდავოდ საჭიროა მწერლისათვის. რაც შეეხება სიძულვილს, არ ვაპირებ ზემოხსენებული პერსონების და მეტიც, ტელევიზიისაგან შექმნილ შემოქმედთა სიძულვილით ფსიქიკის დანაგვიანებას.

**3**. ლაშა ბუღაძემ ძალიან კარგად იცის, რომ “პირველი არხიდან” საკუთარი სურვილით წამოვედი. პირად განცხადებაში შენგელიას დავუწერე, რომ მასთან მუშაობა უზნეობად მიმაჩნდა. ამ განცხადების ჩვენებაზე ხსენებული სკეტჩით დავალებული შენგელია ლაშას უარს ნამდვილად არ ეტყვის.

**4.** დროა, თუ უკვე დაგვიანებული არა, სკეტჩებიდან სერიოზულ მწერლობაში გადასვლის. ამას კი ნიჭის გარდა ის უნარ-ჩვევებიც სჭირდება, რომელსაც განათლების სამინისტრო ნამდვილად ვერ გასცემს. თუ ბუღაძე ოთარ ჭილაძისა და გურამ დოჩანაშვილის რომანების მაგვარს შექმნის, მამის ხათრის გარეშე ჩავწერ საყვარელი მწერლების სიაში.

**5.** მეგობრულად ვურჩევ, კუსა და მორიელის იგავი მანამ იკითხოს, სანამ მედიტაციურად მაინც ვერ იგრძნობს, რომ შუა წყალში მარტო რჩება.

**მომავალ შეხვედრამდე!**

e-mail:
ksadgobelashvili@24hours.ge

## ინფოთეკა

### კუფურით "იუვენტუსიც" დაინტერესდა

იტალიური კლუბი "იუვენტუსი" გერმანიის "ბავარიას" მცველის სამუელ კუფურის ყიდვის შესაძლებლობას განიხილავს. ამ მიზეზით იტალიელები ფეხბურთელის აგენტს დაუკავშირდნენ.

კუფურის შეძენით დაინტერესებული არიან ინგლისური კლუბები "ნიუქასლი" და "არსენალი".

"ჯერჯერობით კონკრეტულად არაფერი შემოუთავაზებიათ. თუმცა, ვიცით, რომ სამუელის შეძენა ბევრ კარგ კლუბს უნდა", - განაცხადა მისმა აგენტმა.

ცნობილია, რომ კუფურის კონტრაქტი სეზონის ბოლოს იწურება.

### მილან ბაროში "ლივერპულიდან" წასვლას გეგმავს

ინგლისური კლუბის "ლივერპულის" თავდამსხმელმა მილან ბაროშმა აღიარა, რომ ამჟამინდელ გუნდში დიდხანს გაჩერებას აღარ აპირებს. ამბობენ, რომ ფეხბურთელის უკმაყოფილება არასაკმარისმა სათამაშო დრომ გამოიწვია.

"ლივერპულის" საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. იგი ძალიან მომწონს. თუმცა, მიმაჩნია, რომ აქ ჩემი დრო იწურება. ერთადერთი რაც მინდა, ეს ძირითად შემადგენლობაში თამაშია. თუ ამას "ლივერპულში" ვერ მივაღწევ, იმედი მაქვს, სხვაგან მოვახერხებ. ზაფხულში აქედან წასვლა შემეძლება და წავალ კიდეც, თუ არაფერი შეიცვლება. მას შემდეგ, რაც მაიკლ ოუენი "რეალში" გადავიდა, სისემ კი ტრავმა მიიღო, ვიფიქრე, რომ თამაშის შანსი მომეცემოდა. თუმცა, როგორც ჩანს, მწვრთნელი ჩემს კანდიდატურას ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელის რანგში არ მოიაზრებს. მე თამაში მინდა და არა სათადარიგო სკამზე დროის ფლანგვა", - განაცხადა ბაროშმა.

### "Hyundai" რვა წლის მანძილზე ფიფას სპონსორი იქნება

გუშინ ფიფამ კონტრაქტი გააფორმა სამხრეთკორეულ ფირმა Hyundai Kia Automotive Group"-თან. შეთანხმებას, რომელიც 2007 წლიდან შევა ძალაში, ყოველწლიურად ჟენევაში გამართულ ავტომანქანების გამოფენაზე მოეწერა ხელი.

"ძალიან ვამაყობ, რომ კომპანია "Hyundai" ჩვენი ერთ-ერთი სპონსორი გახდა," - განაცხადა ფიფას პრეზიდენტმა ზეპ ბლატერმა.

შეთანხმების თანახმად, "Hyundai" ფიფას ეგიდით ჩატარებული ყველა ტურნირის, მათ შორის, 2010 და 2014 წლების მსოფლიო ჩემპიონატების ოფიციალური სპონსორი იქნება.

### არაგონეს სიტყვები სამი ათასი ევრო დაუჯდა

სასამართლო გადაწყვეტილების თანახმად, ესპანეთის ეროვნული ნაკრების მწვრთნელს ლუის არაგონეს ჯარიმის სახით სამი ათასი ევროს გადახდა მოუწევს. საქმე ეხება გასული წლის ოქტომბერში საფრანგეთის ეროვნული ნაკრებისა და ლონდონის "არსენალის" ფორვარდის მისამართით წარმოთქმულ რასისტულ გამონათქვამებს.

მწვრთნელის უცნაური საქციელი მომდევნო ხანებშიც გაგრძელდა: თავდაპირველად ამ გამონათქვამების გამო ბოდიში მოიხადა, მოგვიანებით კი, ინგლისის ნაკრებთან ამხანაგური მატჩის წინ, საკუთარი საქციელის გამართლებას შეეცადა.

სხვათა შორის, არც მადრიდის მატჩმა ჩაიარა ექსცესების გარეშე. ესპანელმა გულშემატკივრებმა რასისტული ფრაზებით შეამკეს ინგლისელთა შავკანიანი ფეხბურთელები.

### ინძაგის იმედი აქვს, რომ "მანჩესტერ იუანიტედის" წინააღმდეგ ითამაშებს

როიტერსის ცნობით,"მილანის" ფორვარდი ფილიპო ინძაგი ვარაუდობს, რომ ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალურ მატჩში "მანჩესტერ იუნაიტედთან" თამაშს შეძლებს. გუშინწინ ფეხბურთელმა ტრავმის შემდეგ სრულყოფილად პირველად ივარჯიშა.

"იმედი მაქვს, მოედანზე მალე გავალ, მაგრამ რეალისტიც უნდა ვიყო: ამდენი ხნის შემდეგ მხოლოდ დღეს მოვახერხე ვარჯიში. თუმცა, თუ დაბრუნების ნებას მომცემენ, აუცილებლად დავბრუნდები," - განაცხადა ინძაგიმ.

### "კორინთიანსი" ახალ მწვრთნელს ეძებს

ბრაზილიური კლუბის "კორინთიანსის" ხელმძღვანელობამ თანამდებობიდან გაათავისუფლა მთავარი მწვრთნელი ტიტე. ძვირად ღირებული ფეხბურთელების შეძენის მიუხედავად, გუნდი მაინც ვერ აღწევს ისეთ შედეგს, როგორიც ხელმძღვანელობასა და გულშემატკივრებს უნდათ.

მწვრთნელის პოსტზე რეალურ კანდიდატურად არგენტინის ეროვნული ნაკრების ყოფილ თავკაცს დანიელ პასარელას ასახელებენ.

# ვერისბალ... ობი



# ყველაფრის მიზეზი ფულია

რუბრიკას უძღვება
ნინო სვანიძე

*დღევანდელი სტუმრები - ჯუნა მიქატაძე და რუსლან სანაკოევი თანამედროვე ძალისმიერ ფეხბურთს ძველ, უფრო სანახაობრივ ფეხბურთს ადარებენ; სპორტში მომხდარი ცვლილებების მიზეზებზე მსჯელობენ; გამოთქვამენ საკუთარ მოსაზრებებს საკავშირო ლიგის აღდგენის იდეაზეც და, თითქმის, ყველა საკითხში განსხვავებული პოზიცია აქვთ. ამიტომ, მათ შორის ნამდვილი ვერისბაღული პოლემიკა შედგა...*

**ჯუნა მიქატაძე:** "არავითარი საბჭოთა კავშირის ლიგის აღდგენა - ქართველებმა ევროპულ ტურნირებზე უნდა ითამაშონ! სისულელეა იმის მტკიცება, რომ ლენინგრადის "ზენიტთან" და ტაშკენტის "პახტაკორთან" თამაშით ჩვენი ფეხბურთელები კლასს აიმაღლებენ"...

**რუსლან სანაკოევი:** "აბა, სამ თვეში ერთხელ რომ გვიწევს ევროპის გუნდთან თამაში, ის ჯობია"?!

**ჯუნა მიქატაძე:** "ისინი ხომ თამაშობენ ხშირად ერთმანეთში - საქართველოს პირველობა ისე უნდა გაკეთდეს, რომ ევროპული კლასის ფეხბურთელები გაიზარდონ. მართლა ქალაქების კლუბები უნდა არსებობდეს და არა - ზესტაფონის დონეზე"...

**რუსლან სანაკოევი:** "შენ ისე ამბობ, თითქოს ესპანეთივით ქვეყანაში ცხოვრობდე და აქ ათი ძლიერი ქალაქი მაინც არსებობდეს. ზესტაფონი რომ ახსენე; ჩვენთან დღეს ასეთი სტუაციაა - ნამდვილი შეჯიბრების მაგივრად, რაიკომის მდივნები ეჯიბრებიან ერთმანეთს"...

**ჯუნა მიქატაძე:** "ჰოდა, არ უნდა იყოს რაიკომის მდივნების შეჯიბრება - რვა ქალაქის მონახვა როგორ არ შეიძლება, სადაც ნამდვილ ფეხბურთს ითამაშებენ; ჩემი აზრით, საკავშირო პირველობის აღდგენა უკან დაბრუნებაა; ჯერ ის რესპუბლიკები თვითონ რაღას წარმოადგენენ და მერე - იმათი ფეხბურთი; თავის დროზე რა კლასიც ჰქონდათ, ისიც აღარ აქვთ"...

**რუსლან სანაკოევი:** "ეგრე მსოფლიოში სულ ოთხი ქვეყანაა, სადაც სტადიონები იჭედება - დანარჩენი ქვეყნები საფეხბურთო კრიზისს განიცდიან"...

**ჯუნა მიქატაძე:** "მე სხვა რამეს ვამბობ - იყოს ევროპის პირველობა ჩვეულებრივად და მივიღოთ ჩვენც მონაწილეობა"...

**რუსლან სანაკოევი:** "არ უნდიხარ ამ ევროპას და"...

**ჯუნა მიქატაძე:** "არ უნდიხარ, კარგია... არ უნდიხარ იმიტომ, რომ არ იცი თამაში - კეთილი ინებონ და ისწავლონ ქართველებმაც წესიერად თამაში. რამდენი ქვეყანა იყო მსოფლიოს ფინალურ ეტაპზე - მოკლედ, ითამაშონ, დაახლოებით, 24 შეხვედრა ევროპის გუნდებთან"...

**რუსლან სანაკოევი:** "პატარა ქვეყნებისთვის ეს ძალიან ძნელია. დრო იყო, ურუგვაიში და უნგრეთში ფეხბურთი ყვაოდა, დღეს კი სრულიად ჩამკვდარია იქაური ფეხბურთის დონე. ახლა ჯუნა პატრიოტული მოსაზრებით ამბობს ამ ყველაფერს, მაგრამ მართალი არ არის იმიტომ, რომ ახლა სულ სხვა დროა - ფეხბურთისადმი მიდგომაც კი სხვანაირი გახდა; ჯერ ძველი გულშემატკივარი და ახლანდელი რომ შევადაროთ ერთმანეთს, უკვე ნათელი გახდება, რომ, საერთოდ, ფასეულობები შეიცვალა - წინათ გულშემატკივრები სტადიონზე ბობროვის სანახავად უფრო დიდი სიამოვნებით მიდიოდნენ, ვიდრე ვინმე მეორეხარისხოვანი ქართველი ფეხბურთელის საყურებლად; თამაშის ნიუანსებს, სილამაზეს, ნიჭს ეთაყვანებოდნენ; ვინმე მაგარი ფეხბურთელის ჩამოსვლას რომ ველოდით, წინასწარ რამდენიმე ღამე არ გვეძინა იმ დღესასწაულის მოლოდინით; ახლა კი ტოტალიზატორში გაუმართლებთ თუ არა, ის უფრო აღელვებთ - თამაშს შეიძლება არც კი უყურონ"...

**ჯუნა მიქატაძე:** "ჯერ სტადიონზე იცით, რა სიწყნარე იყო? - თავი ოპერაში გეგონებოდა. მაყურებელი მხოლოდ გოლებზე, ლამაზ ფინტებზე და სანახაობაზე რეაგირებდა, დანარჩენ თამაშს დინჯად, დაკვირვებულად უყურებდა; ვერ ვიტან იმას, რაც ახლა ხდება - ყვირილი, წივილი, ქაღალდების და ქვების სროლა; ზოგმა ისიც არ იცის, რას უყურებს.

თვითონ ფეხბურთიც ძალიან გაფუჭდა - ძალისმიერი გახდა; ჭიდაობენ, ურტყამენ ერთმანეთს, იმის მაგივრად, რომ ოსტატობით მოერიონ. ასეთი უხეშობისთვის, წითელი და ყვითელი ბარათი კი არა, საერთოდ უნდა აუკრძალო თამაში. ასეთი ფეხბურთი საშინელი სანახავია"...

**რუსლან სანაკოევი:** "მაგას ველარაფერს უშველი - ათ მილიონს რომ უხდიან ფეხბურთელს, ის უკვე გლადიატორივით დაუნდობელი ხდება; ისე, ფულმა მართლაც ძალიან გააფუჭა ბევრი რამ, მაგრამ რას იზამ, ესეც დროის მოთხოვნაა, ალბათ, და, სამწუხაროდ, შეუქცევადი პროცესია"...

**ჯუნა მიქატაძე:** "ფეხბურთი კი გაირყვნა და... ახლანდელებს, ვითომ, ტექნიკაც აქვთ, მაგრამ ის ხიბლი აღარაა, წინათ რომ ვამბობდით ხოლმე, - "ნახე, როგორ დაკეტა ან როგორ გახვრიტა"... ამ ყველაფერს ახლა ძალადობის ელფერი უფრო აქვს, ვიდრე ნიჭის და ოსტატობის. აღარ არის ის ინდივიდუალურობა - თავდამსხმელის, მცველის"...

**რუსლან სანაკოევი:** "აბა, როგორ გინდა - ახლანდელი ფეხბურთი უფრო დინამიკური გახდა. მიდი, და ნუ დაუყენებ მარადონასნაირს სამ კაცს - გავა ათი გოლი"...

**ჯუნა მიქატაძე:** "დაკეტოს მერე, თუ შნო აქვს"...

**რუსლან სანაკოევი:** "ერთი კაცი ვერ კეტავს"...

**ჯუნა მიქატაძე:** "ძალიან კარგად დაკეტავს, თუ თამაშობს. ბორია პაიჭაძეს ხომ კეტავდნენ, ბობროვსაც. შენ თუ გგონია, ბობროვი მარადონაზე ნაკლები ფეხბურთელი იყო, ძალიან ცდები"...

**რუსლან სანაკოევი:** "მეც მაგას გეუბნები, მაგრამ მაგ მეთოდებით წინათაც კეტავდნენ და ახლაც ასეა"...

**ჯუნა მიქატაძე:** "არა, ახლანდელი მსაჯები ძალიან ბევრის უფლებას აძლევენ მოთამაშეებს - ძალიან ბევრი უხეშობა ხდება დაუსჯელად"...

**რუსლან სანაკოევი:** " შენ რომ გისმინოს კაცმა, ეგრე ყველაფერი უკან უნდა დაბრუნდეს - მუსიკაშიც იგივე არ ხდება? - დაწერონ, მაშინ, მოცარტივით; მოცარტი უკეთ არ წერდა?!

**ჯუნა მიქატაძე:** "დიახაც, უნდა დაწერონ - აბა, ეს ჯობია, რასაც ახლა გვასმენინებენ"?!..

**რუსლან სანაკოევი:** "არ ჯობია, რა თქმა უნდა, მაგრამ მოცარტივით ველარ დაწერენ - ეტყობა, ყველაფერს თავისი დრო აქვს მუსიკაშიც, ფეხბურთშიც, მხატვრობაშიც... შენ, მაგალითად, პიკასო რატომ მოგწონს; ხომ მოგწონს - არადა, რაფაელივით რბილად, ნაზი შტრიხებით რომ არ ხატავს"?!...

**ჯუნა მიქატაძე:** "პიკასოც და რაფაელიც ორივე მხატვარია; ესენი კიდევ, ფეხბურთელები კი არა, ვიღაც მაჩხუბრები არიან...

ჭიდაობა, ჩხუბი და ომი ფეხბურთი არ არის - სილამაზე დაკარგა ფეხბურთმა".

**რუსლან სანაკოევი:** "ეს ყველაფერი იმის ბრალია, რომ ძალიან დიდი ფული ტრიალებს ფეხბურთში. რა თქმა უნდა, ვარსკვლავები დღესაც არიან, მაგრამ ვიღაც საშუალო რანგის ფეხბურთელებს, რომლებსაც საკმაოდ დიდი შემოსავალი აქვთ, ძალისმიერი მეთოდებით უწევთ თავის დამკვიდრება და საკუთარი ანაზღაურების გამართლება.

თუმცა, სანახაობის თვალსაზრისით, მე ვერ ვიტყვი, რომ უინტერესო თამაშებია - პირიქით, ეს დინამიკურობა ძალიან მიზიდავს"...

**ჯუნა მიქატაძე:** "საქმე ისაა, რომ მთელ მსოფლიოში, ყველა სფეროში ფასეულობები შეიცვალა ცუდისკენ. აი, ჩემს შვილიშვილს, მაგალითად, სმენა არა აქვს, მაგრამ ამ თანამედროვე სიმღერებს კარგად მღერის - ესე იგი, უსმენოებისთვის მოგონილი მუსიკაა; კარგია, მერე, ეს"?

**რუსლან სანაკოევი:** "წინათ ჰოლივუდელი რეჟისორებიც ჯარიმას იხდიდნენ, ფილმში ერთი კოცნის სცენა მაინც რომ ყოფილიყო; ახლანდელი ფილმების გულახდილობაც კარგად მოგეხსენებათ, მაგრამ რას ვიზამთ, დროს მოაქვს"...

**ჯუნა მიქატაძე:** "არ ვიცი, მე არ მომწონს ეს დღევანდელი ფასეულობები და ვერასოდეს შევეგუები. საით მიექანება ეს ყველაფერი, კაცმა არ იცის - გონს მოეგებოდეს მთელი მსოფლიო, კარგი იქნება"...

**რუსლან სანაკოევი:** "ჰო, ახლახან წავიკითხე ასეთი ვერსია ტაილანდის ცუნამზე - იქაურ მოსახლეობას ცოდვებმა უწიაო. მოკლედ, ამ ყველაფერს შენ ვერ შეაჩერებ, ჯუნა, და ეგებ ღმერთს მივანდოთ"?!

# არმიელი თურქი

ლონდონის "ჩელსიმ" ახალი ტრანსფერი განახორციელა. მან კონტრაქტი გააფორმა თურქეთის ნაკრებისა და ესპანეთის "რეალსოსიედადის" ფორვარდ ნიჰათ კახვეჯისთან. სატრანსფერო თანხა 8 მილიონი გირვანქა სტერლინგია. "ჩელსის" მფლობელი რომან აბრამოვიჩი აპირებს თავისი ახალი შენაძენი ერთწლიანი იჯარით მოსკოვის ცსკას დაუთმოს. ოფიციალური განცხადება ფეხბურთელის გადასვლის შესახებ სეზონის ბოლოს გამოქვეყნდება.

საუბარი, რომ ნიჰათი მოსკოვურ კლუბში გადავიდოდა, ჯერ კიდევ საახალწლო დღესასწაულებზე დაიწყო. ტრადიციულად არმიელთა ხელმძღვანელობა უარყოფდა ფეხბურთელისადმი ინტერესს, რაც კიდევ უფრო ამყარებდა ვარაუდს, რომ ნიჰათი მოსკოვში გადაბარგდებოდა. ესეც რომ არა, კლუბს ხომ სჭირდებოდა ირჟი იაროშიკისა და სერგეი სემაკის შემცვლელი, რომლებიც დასავლეთ ევროპაში გადავიდნენ.

თუმცა, სიმართლე რომ ითქვას, ნიჰათს არ სურდა რუსეთში გადახვეწა. მისი ვარაუდით, ეს კარიერის დასასრული იქნებოდა და ამიტომ თავს იკავებდა, მიუხედავად იმისა, რომ სანაცვლოდ დიდ ანაზღაურებას სთავაზობდნენ. რა თქმა უნდა, ასეთ დროს გამონაკლისიც არსებობს, მაგრამ ეს უაღრესად იშვიათად ხდება, მით უფრო, მაშინ, როცა საქმე რისკს ეხება. სწორედ აქ მოსკოველებს



*ნიჰათი სეზონის ბოლომდე არ ითამაშებს.*

რომან აბრამოვიჩი მოევლინათ მხსნელად. "წითელი რომა" მოკლევადიანი ვიზიტით, ზემფირას ახალი ალბომის პრეზენტაციაზე ჩავიდა მოსკოვში. არ არის გამორიცხული, რომ სწორედ მაშინ შეხვდა ცსკას პრეზიდენტ ევგენი გინერს და ნიჰათის კლუბში გადასვლის დეტალებზე ესაუბრა.

ჩუკოტკის გუბერნატორმა, რომელსაც არ უყვარს ფულის თვლა და უყვარს მეგობრების დახმარება, საქმე ისე მოაწყო, რომ ნიჰათი არა მარტო მოსკოვში გაემგზავრება, არამედ დაიცავს კიდეც არმიელთა ღირსებას. მან ამ ფეხბურთელთან კონტრაქტი გააფორმა და მყისვე თანამემამულეებს დაუთმო. ახლა ყველაფერი თურქის ხელშია. თუ მოინდომებს, ლონდონური კლუბის ძირითად შემადგენლობაში თამაშის უფლებას მოიპოვებს. იქ კი სრულიად სხვა თანხები და მიზნებია. თუ არადა, დიდხანს იმოგზაურებს ტომსკის ან იაროსლავლის სტადიონებზე - ხარობენ რუსები. ამ ისტორიაში ყველაზე ცხადი ის არის, რომ "ჩელსის" ის საერთოდ არ სჭირდება. ნიჰათი იქ განაცხადშიც კი იშვიათად მოხვდება.

ამ პირობაზე ფეხბურთელი დათანხმდა. თუმცა, ნიჰათმა "სევილიასთან" ამასწინანდელ მატჩში მუხლი იტკინა და ფეხბურთს სეზონის ბოლომდე გამოეთიშა. მას ოპერაცია სჭირდება, რომლის შემდეგაც აღდგენითი პროცესი ექვს თვეს გასტანს. მოკლედ, თუ ნიჰათი დაეხმარება ვალერი გაზაევს, ეს მხოლოდ მეორე წრიდან მოხდება.

სხვათა შორის, ნიჰათით მარტო მოსკოვური კლუბის მფლობელები არ დაინტერესებულან. თავის დროზე თურქი ფეხბურთელი "მანჩესტერ იუნაიტედსაც" სურდა. ბოლოს კი "ბეშიქთაში" "რეალს-სოსიედადს" 12 მილიონ დოლარს სთავაზობდა მის დაბრუნებაში. ცნობილია, რომ ნიჰათმა სწორედ სტამბულური კლუბის შემადგენლობაში მოიხვეჭა სახელი. თუმცა, თურქეთში კარიერის გაგრძელება ისევე არ უნდოდა, როგორც რუსულ კლუბთან პირდაპირი კონტრაქტი.

ცსკა შეეცადა, თურქი ფეხბურთელი პირდაპირ შეეძინა. ვალერი გაზაევი მხოლოდ მოხიბლული იყო მისი შესყიდვის პერსპექტივით. ის აღიარებდა, რომ ნიჰათის მსგავსი სწრაფი და გოლის გამტანი ფეხბურთელი მას ძალიან სჭირდებოდა და მან იცის როგორ გამოიყენოს იგი.

როგორც ჩანს, არმიელთა კლუბი სატრანსფერო ინერტულობას სძლევს. შეგახსენებთ, რომ ნიჰათის გარდა მოსკოვში გადასვლასთან ახლოსაა ფრანგული "რენის" ბრაზილიელი ნახევარმცველი დუდუ. თუ შეთანხმება მოხერხდა, ის ცსკას შემადგენლობაში ოთხი წლით დარჩება.

დუდუ მსოფლიოს იუნიორთა ჩემპიონატის ერთ-ერთი გმირია. მან არაბთა გაერთიანებულ საემიროებში გამართულ ტურნირში 4 გოლი გაიტანა და არგენტინელ ფერნანდო კავენაგისთან ერთად "ვერცხლის ბუცის" მფლობელი გახდა. 2004 წლის ამერიკის თასის გათამაშებაში დუდუმ თავისი ქვეყნის ეროვნულ ნაკრებში სამი მატჩი ჩაატარა. დუდუს შეუძლია შეავსოს არმიელთა ბრაზილიური კოჰორტა. შეგახსენებთ, რომ მოსკოვურ კლუბში ამჟამად ირიცხებიან ვაგნერ ლავი და კარვალიო.

ამ დღეებში დუდუმ სამედიცინო შემოწმება გაიარა Eden Rehas კლინიკაში. ის გერმანიის ნაკრების ექიმებმა გასინჯეს. ამ შემოწმების შედეგების მოლოდინში, ფეხბურთელი საფრანგეთში დაბრუნდა, სადაც, სავარაუდოდ, გაფორმდება კიდეც რუსებთან კონტრაქტი.

## ინფოთეკა

### პენანტს ციხე ემუქრება

ლონდონის "არსენალის" ნახევარმცველს ჟერმეინ პენანტს ნასვამ მდგომარეობაში მანქანის მართვის გამო სამთვიანი პატიმრობა და სამი წლით მართვის მოწმობის ჩამორთმევა ემუქრება.

21 წლის ფეხბურთელი, რომელიც ამჟამად იჯარის წესით "ბირმინგემს" ეკუთვნის, 23 თებერვალს მას შემდეგ დააკავეს, რაც სიმთვრალის გამო გონდაკარგული საკუთარი ავტომანქანით ბოძს შეეჯახა. მას გასული წლის თებერვალში 16 თვით ჩამოერთვა მართვის უფლება. გარდა ამისა, მას არც დაზღვევის მოწმობა აღმოაჩნდა.

პენანტის ადვოკატებმა განაცხადეს, რომ გადაწყვეტილებას აუცილებლად გაასაჩივრებენ.

### მანჩენა "ვალენსიაში" 2011 წლამდე დარჩება

ესპანურმა კლუბმა "ვალენსიამ" თავის ფეხბურთელს კარლოს მანჩენას კონტრაქტის ვადა ექვსი წლით გაუგრძელა. წინა შეთანხმებას მომავალი წლის ბოლოს გასდის ვადა. თუმცა, კლუბის ხელმძღვანელობამაც და თავად ფეხბურთელმაც გადაწყვიტეს, რომ ურთიერთობა გაეხანგრძლივებინათ.

"ახალი კონტრაქტით ძალიან კმაყოფილი ვარ. კარგია, რომ შეთანხმებას მივაღწიეთ. დიდ მადლობას ვუხდი მთელ კლუბსა და მის პრეზიდენტს ჩემს მიმართ ასეთი გულთბილი დამოკიდებულების გამო. "ვალენსიაში" შესანიშნავი წლები გავატარე. იმედი მაქვს, მას კიდევ დიდხანს დავეხმარები. მე და ჩემი ოჯახი ძალიან შევეჩვიეთ აქ ცხოვრებას," - განაცხადა 25 წლის ფეხბურთელმა.

**მოამზადა ნინო ტიკარაძემ**

## TV-სპორტი

### ხუთშაბათი. 3 მარტი

**НТВ+ФУТБОЛ**

12:00 თავისუფალი დარტყმა
12:15 ესპანეთის ჩემპიონატი. "რეალი" - "ბეტისი"
14:00 ესპანეთის ჩემპიონატი. "რასინგი" - "ატლეტიკო"
15:45 თავისუფალი დარტყმა
16:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
17:00 ლიბერტადორესის თასი. მატჩების მიმოხილვა
17:30 იტალიის ჩემპიონატი. "ინტერი" - "მილანი"
19:15 "ფეხბურთი ანიდან ჰაემდე"
19:45 თავისუფალი დარტყმა
20:00 სახვალიო ტელეპროგრამა
20:05 საუიკენდო მატჩების ანონსი
20:10 ჩემპიონთა ლიგის ჰიტ-აღლუმი. 1/8 ფინალი. "ლივერპული" - "ბაიერი"
22:10 თავისუფალი დარტყმა
22:25 ესპანეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
23:25 "2:1". ტოქშოუ
00:25 ინგლისის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
01:20 გერმანიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა

**НТВ+ПЛЮС**

10:00, 13:00, 16:10, 18:25 პრესცენტრი
10:20, 18:40 "ქრონიკა"
10:25, 13:15 "ჰარმონიის ფორმულა"
10:45 ჭადრაკი. სუპერტურნირი ლინარესში
11:15 ფიგურული სრიალი. კატარინა ვიტის შოუ
12:15 "სპორტისიმო"
13:30 "ვატერპოლე"
14:00 ჰოკეი. სტენლის თასის რეტროსპექტივა. 2000 წელი. ფინალი. "NEW JERSEY DEVILS" - "DALLAS STARS". მეორე მატჩი
16:25 "ჩქაროსნული სამყარო" - ტელეჟურნალი
16:55 "2:1". ტოქშოუ
17:55 ATP საჩოგბურთო მიმოხილვა
18:45 სახვალიო ტელეპროგრამა
18:50 ჰოკეი. რუსეთის ჩემპიონატი. "ლოკომოტივი" - "ხიმიკი". პირდაპირი ტრანსლაცია
21:20 NBA-ს საკალათბურთო მიმოხილვა
21:50 "მოტოვებული კვირა"
22:35 ჩოგბურთი. "დევისის თასი ახალი სეზონის წინ". 2002 წლის ფინალი. საფრანგეთი - რუსეთი. პოლ-ანრი მატიე - მიხაილ იუჟნი. შესვენებებისას (00:15) - ახალი ამბები

**EUROSPORT**

10:30 "ოლიმპიური თამაშები" - ტელეჟურნალი
11:00 ციგები. მსოფლიო ჩემპიონატი აშშ-ში
12:00 ტრიალი. საერთაშორისო ასპარეზობა რუსეთში
13:00 ჩოგბურთი. WTA ტურნირი არაბეთის გაერთიანებულ სახალიფოში. მეოთხედფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
16:00 მულტისპორტი - აი, მესმის!
16:30 მძლეოსნობა. საფრანგეთის დიდი პრიზი
18:00 ჩოგბურთი. WTA ტურნირი არაბეთის გაერთიანებულ სახალიფოში. მეოთხედფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
21:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის კლასიკა. გერმანიისა და ინგლისის კლუბების საუკეთესო თამაშები
22:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის კლასიკა. გერმანიისა და საფრანგეთის კლუბების საუკეთესო თამაშები
23:00 კრივი. საერთაშორისო ასპარეზობა
01:00 ახალი ამბები
01:15 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის კლასიკა. ჰოლანდიისა და იტალიის კლუბების საუკეთესო თამაშები
02:15 ექსტრემალური სპორტი. ზამთრის თამაშები აშშ-ში
03:15 ახალი ამბები

მოკლედ

## ექსპერიმენტი სამარაში



შემოქმედებითი იმპულსია თუ მაყურებელთა მისაზიდად მოფიქრებული რადიკალური ხერხი, ამას ახლა ვერავინ დაამტკიცებს. ერთი კი ფაქტია, სამარის ოპერის თეატრის გადაწყვეტილება - დადგას ბალეტი "ბითლზის" მუსიკის მიხედვით, ზედმეტად ორიგინალურია. საბალეტო დასი უკვე გადის რეპეტიციებს. ექსპერიმენტისთვის მსახიობები კლასიკურ ფუეტეს როკ-ენ-როლზე ცვლიან, პუანტებს კი, გორგოლაჭებზე. მუსიკის არანჟირებას შეუდგება მოსკოველი კომპოზიტორი ვლადიმერ კორჩაგინი. ბალეტში დაკავებულია თეატრის სრული დასი. ექსპერიმენტის შეფასებას მაყურებელი სექტემბერში შეძლებს.

## "ოსკარი" გამბედაობისთვის



მას შემდეგ, რაც მსახიობმა ჯეიმი ფოქსმა რეი ჩარლზისადმი მიძღვნილ ფილმში შესრულებული მთავარი როლისთვის "ოსკარი" მიიღო, სერიოზულად დაფიქრდა მუსიკალური კარიერის მოწყობაზე. როგორც დასავლური მედიასაშუალებები იტყობინებიან, მსახიობმა დაიწყო მუშაობა თავის სადებიუტო ალბომზე, რომელსაც J Records გამოუშვებს. ჩანაწერის ერთ-ერთი პროდიუსერი რიჩი ჰარისონის ამბობს, რომ ეს იქნება რიტმ-ენ-ბლუზისა და ჰიპ-ჰოპის სინთეზი. ამასთან ერთად, პროდიუსერი აქებს ფოქსის ვოკალურ და საშემსრულებლო (ფორტეპიანოზე) ოსტატობას.

სხვათა შორის, ფოქსს 1994 წელსაც აქვს გამოცემული ალბომი, მაგრამ პუბლიკამ კომედიური მსახიობისგან რომანტიკული მუსიკა არ მიიღო.

## "ქოლდფლეი" ახალი ალბომით



"ქოლდფლეის" მესამე ალბომის გამოჩენა უკვე რეალური ამბავია. ჯგუფის წარმომადგენლების თქმით, დისკი ივნისში გამოვა. მალევე დაიწყება მუსიკალური ტურნეც, რომელიც ბრიტანული ჯგუფისთვის ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური იქნება. სტარტს "ქოლდფლეი" ლონდონში აიღებს, შემდეგ იქნება ბოლტონი და გლაზგო.

შეგახსენებთ, რომ კრის მარტინის ბიჭები ბრიტანეთის საზღვრებს გარეთაც ძალიან პოპულარულები არიან. მათ ორიოდე წლის წინ "გრემის" ცერემონიალზე ჯილდოც მიიღეს ალბომისთვის A Rush of Blood to the Head. სწორედ ამ ჩანაწერის შემდეგ მათი პოპულარობა შტატებშიც ერთი-ორად გაიზარდა.

# "ნიამორმა" სპორტსმენები დააჯილდოვა

ვერა ნეფარიძე

*თბილისის სამთო, სათავგადასავლო და ექსტრემალური სატელევიზიო ფილმების მეორე საერთაშორისო ფესტივალი "ნიამორი" ფაქტობრივად, დასრულდა. გუშინ ფესტივალის მეორე მხარდამჭერი სპორტული შეჯიბრი მეკლდეურობაში გაიმართა. "ნიამორმა" სნოუბორდისტების შემდეგ მეკლდეურები დააჯილდოვა. დღეს კი, ფესტივალის ჟიური საუკეთესო ფილმების ავტორებს საზეიმოდ გამოავლენს.*

რიგით მეორე "ნიამორის" ფარგლებში წელს პირველად გაიმართა ფესტივალის მხარდასაჭერი სპორტული ღონისძიებები. კვირას, 27 თებერვალს სნოუბორდისტთა შეჯიბრს გუდაურმა უმასპინძლა, გუშინ ხელოვნურ კლდეზე მეკლდეურები გაეჯიბრნენ ერთმანეთს. ორივე შეჯიბრის მოწყობა კი, "ნიამორის" ერთ-ერთი სპონსორის, "შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს" დახმარებით გახდა შესაძლებელი.

სპორტული შეჯიბრები "ნიამორის" ერთგვარ პროპაგანდად უნდა იქცეს, - ამგვარია არასამთავრობო ორგანიზაცია "კასტირიონის" მესვეურთა სურვილი და მიზანი, რისთვისაც ისინი ცდილობენ სპორტის სხვადასხვა სახეობის მოყვარულები თუ პროფესიონალებიც ჩართონ. წლევანდელი ფესტივალის სპორტული ფონი სნოუბორდისტებმა და მეკლდეურებმა შექმნეს. თუმცა, იგეგმება კიდევ ერთი ღონისძიება - მარტის შუა რიცხვებში ყაზბეგში "ნიამორის" დროშის ატანა, რაც ასევე ფესტივალის "სპორტული გასვლის" რანგში გავა.

კვირას, 27 თებერვალს ფესტივალის ორგანიზატორები ("ნიამორის" სპონსორების მიერ დაწესებული პრიზებით) და საინფორმაციო მხარდამჭერები გუდაურში შეიკრიბნენ. სნოუბორდისტები ადგილზე იყვნენ. მართალია, ზამთრის სპორტის ეს სახეობა არ არის ჩვენში იმდენად ფეხმოკიდებული, როგორც თხილამურებზე სრიალი, მაგრამ "ნიამორის" ორგანიზატორებმა იმდენი სნოუბორდისტი მაინც შეკრიბეს, რომ მათ შორის საუკეთესოთა გამოვლენა არ გაჭირვებოდათ. აღსანიშნავია, რომ ქართველი მოთხილამურეები და სნოუბორდისტები მომავალ წელს ტურინში დაგეგმილი ოლიმპიადის სამზადისში არიან. შეჯიბრში მონაწილეთა უმრავლესობა გუდაურთან ახლოს მდებარე სოფლებიდან იყვნენ. გუდაურის შეჯიბრში გამარჯვებამ რამდენიმე მათგანს ოლიმპიადაზე წარმატების იმედი კიდევ უფრო გაუძლიერა. ასე რომ, "ჯადოსნური დაფა" (ევროპაში ასე უწოდებენ სნოუბორდს) ჩვენი სპორტსმენების თვითგამოვლენის კიდევ ერთი საშუალება ხდება ნელ-ნელა. 27 თებერვლის შეჯიბრს ხუთი გამარჯვებული ჰყავდა (მალხაზ ნაზღაიძე, კობა ბურდული, გიორგი კაიშაური, ნინო ზაქაიძე, ნინო ბურდული). გამარჯვებულებმა ყავა "პელესა" და "ყაზბეგის" პრიზებთან ერთად, ფესტივალის ორგანიზატორების მიერ დაწესებული - "ნიამორის" ფოტოექსპოზიციიდან სხვადასხვა (სილვიო კალვისა და გოგა ჩანადირის) ფოტონამუშევრები მიიღეს საჩუქრად.



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

წლევანდელი "ნიამორის" სპორტული ღონისძიებები გუშინ მეკლდეურებმა დაასრულეს. როგორც "კასტირიონის" წარმომადგენლები ამბობენ, არ არის გამორიცხული მეკლდეურობა მალე ოლიმპიური სახეობა გახდეს. ამიტომ მივიწყებული, ქართული სახეობის მეკლდეურობის პოპულარიზაციის მიზნით ფესტივალის პროგრამაში მეკლდეურობაც ჩართეს. თუკი გუდაურში თოვლზე სრიალში სნოუბორდისტებთან ერთად ორგანიზატორები და ჟურნალისტებიც ერთობოდნენ, ხელოვნურ კლდეზე ცოცვა მხოლოდ პროფესიონალმა მეკლდეურებმა (გამონაკლისი სპორტული გაზეთ "სარბიელის" ერთადერთი ჟურნალისტი იყო) გაბედეს. გამარჯვებულებიც (ავთო ქურასბედიანი, გუგა დაბრუნდაშვილი, გურამ გაზდელიანი, ნინო ჩარკვიანი, ნუცა ხუციშვილი, ნონა ოქიტაშვილი და თაკო დიდებულიძე) სწორედ ისინი გახდნენ. შეჯიბრი ორ სახეობაში - სწრაფ და რთულ ცოცვაში გაიმართა, რითაც წლევანდელი "ნიამორის" სპორტული შეჯიბრები დასრულდა. თუკი შემდეგი ფესტივალი ზაფხულიდან დაიწყება, ორგანიზატორები მის ფარგლებში რაფტერებს ჩართავენ, მომავალი წლის ზამთარში კი "ნიამორის" პრიზებისთვის მოთხილამურეები ისრიალებენ.


ისარგებლეთ ლაი-ლაით & იკითხეთ 24 საათი

1 აქციაში მონაწილეობის მიღება შეუძლია „24 საათი“-ს ყველა მკითხველს

2 შეაგროვეთ სამი ქვემოთ მონიშნული კუპონი და მიიღეთ საჩუქრად ლაი-ლაის სიმ-ბარათი

3 კუპონები ამოჭერით მითითებულ ადგილას და შეაგროვეთ ისე, რომ დაკომპლექტდეს ნუმერაცია 1, 2, 3 (მნიშვნელობა არ აქვს რომელი თარიღის გაზეთიდანაა ამოჭრილი კუპონი).

4 კუპონები წარადგინეთ ჯეოსელის თბილისისა და რეგიონების სარეალიზაციო წერტილებში ან სადილერო ქსელში. თქვენ იხდით 10 ლარს ისევ თქვენი სასაუბრო დროისთვის და იღებთ ლაი-ლაის სრულ სასტარტო პაკეტს (ლაი-ლაის სიმ-ბარათი + 10 ლარის ღირებულების სასაუბრო დრო)

| ქალაქი | მისამართი |
|---|---|
| თბილისი | რუსთაველის გამზ. №38 |
| | კოსტავას №37 |
| | ბაქოს №2 |
| | შეშელიძის №3 |
| | ჯავახეთის №44 |
| | ქ. წამებულის გამზ. №75 |
| | კინოთეატრი "რუსთაველი" |
| | გამსახურდიას გამზ. №24 |
| | რუსთაველის გამზ. №31 |
| | მარჯანიშვილის №19 |
| | წერეთლის გამზ. №141ა |
| | ყაზბეგის გამზ. №41 |
| | მ.კოსტავას №22 |
| | მ.კოსტავას №7 |
| ზესტაფონი | ჭანტურიას № 2 |
| ქუთაისი | თამარ მეფის №25 |
| სამტრედია | რუსთაველის № 27 |
| სენაკი | რუსთაველის № 211 |
| ზუგდიდი | კოსტავას №5ა |
| ხობი | ლადიანის № 238 |
| ფოთი | 26 მაისის № 2 |
| ბათუმი | ერას №54/62 |
| ქობულეთი | აღმაშენებლის №135 |
| ოზურგეთი | ჭავჭავაძის № 6 |
| ჩოხატაური | ლუმბაძის №7 |
| ლანჩხუთი | თავისუფლების №2 |
| რუსთავი | ხალხთა მეგობრობის №10 |
| მარნეული | რუსთაველის №37 |
| ბოლნისი | ს.-ს. ორბელიანის № 44 |
| თელავი | კოსტავას № 3 |
| ყვარელი | ილია ჭავჭავაძის №64 |
| ლაგოდეხი | 26 მაისის №14 |
| წნორი | სტალინის №11 |
| დედოფლისწყარო | რუსთაველის № 4 |
| მცხეთა | სამხედროს №11 |
| კასპი | სტალინის №98 |
| გორი | სტალინის №15 |
| ცხინვალი | ცელნიკოვის №211/39 |
| ხაშური | რუსთაველის №16 |
| ბორჯომი | რუსთაველის № 121 |
| ახალციხე | ნათენაძის № 76 |
| ახალქალაქი | კლარა ცეტკინის №77 |

24 საათი 2 ლაი-ლაი

აქცია ძალაშია: 2005 წლის 1 თებერვლიდან 1 აპრილამდე.

კუპონების განაღდება შესაძლებელია: 2005 წლის 15 აპრილამდე.

სიმ-ბარათის აქტივაციის ბოლო ვადა: 2005 წლის 30 აპრილი.


პაულო კოელიოს სვეტი

# მესამე ვნება



ბოლო 15 წლის განმავლობაში მსგავსი ვნება სამჯერ თუ განვიცადე. ვგულისხობ მდგომარეობას, როცა რაღაც აკვიატებული თემა ან ნივთი მოსვენებას გიკარგავს, როცა მის შესახებ ისტერიულად კითხულობ ყველა წიგნს, რისი პოვნაც შეგიძლია; ლაპარაკობ გაუთავებლად, ვნებით; დაეძებ ადამიანებს, რომლებიც შენს ვნებას იზიარებენ; იძინებ და იღვიძებ ამ იდეით შეპყრობილი.

პირველად ასე თავი მაშინ ვიგრძენი, როცა კომპიუტერი ვიყიდე, საბეჭდ მანქანას სამუდამოდ დავანებე თავი და რაღაც განუსაზღვრელი თავისუფლება მოვიპოვე (ახლაც ამ სვეტს პატარა ფრანგულ ქალაქში ვწერ, რისთვისაც ვიყენებ ერთი ბეწო მანქანას, რომელიც სამიოდე ფუტს თუ იწონის, ჩემი შემოქმედებითი მოღვაწეობის ათიოდე წელს იტევს და ნებისმიერ კითხვასაც ხუთიოდე წამში მიკმაყოფილებს).

მეორედ ეს დაუცხრომელი ვნება მაშინ შემეყარა, როცა პირველად გამოვიყენე ინტერნეტი, რომელიც ჯერ კიდევ იმ დროში გაცილებით უფრო დიდი ბიბლიოთეკა იყო ჩემთვის, ვიდრე ნებისმიერი, ყველაზე მასშტაბურად შერაცხული ტრადიციული ბიბლიოთეკაა.

აი, ჩემს ბოლო ვნებას კი არაფერი აქვს საერთო ტექნოლოგიურ მიღწევებთან.

ჩემი მესამე ვნება... მშვილდი და ისარია. ახალგაზრდობაში იუჯინ ჰერიგელის ერთი არაჩვეულებრივი წიგნი წავიკითხე: "ძენი მშვილდოსნობის ხელოვნებაში". ავტორმა ეს სპორტი თავისი სულიერი მოგზაურობის ასაღწერად გამოიყენა. იდეა ჩემს ქვეცნობიერში ისე ძლიერად ჩაიბეჭდა, რომ ერთ დღეს, პირენეებში ერთი მეისრე გავიცანი. ბევრი ვილაპარაკეთ, მერე მშვილდი მათხოვა, ცოტა ისრებიც მოაყოლა და მას შემდეგ ერთი დღეც არ გავა, საკუთარი თავი ისრის ტყორცნაში რომ არ გამოვცადო.

შინ, ბრაზილიაში, ჩემი საკუთარი სამიზნე მაქვს მოწყობილი (ისეთი კუსტარული, რომ უცებ შემიძლია ხოლმე ჩამოხსნა, როცა სტუმრები მოვლენ). საფრანგეთის მთებში კი ყოველდღე გარეთ, ღია ცის ქვეშ ვვარჯიშობ. თუმცა, ისიც უნდა ვაღიარო, რომ ჩემი დაუძლეველი ვნების გამო ხშირად ჯანმრთელობასაც რისკქვეშ ვაყენებ. ერთხელ მინუს 6 გრადუს ცელსიუსის ტემპერატურაზე გარეთ ორ საათს მაინც ვივარჯიშე და ბოლოს ჰიპოთერმია შემეყარა. მხოლოდ ძლიერმოქმედი ტკივილგამაყუჩებლების მიღების შემდეგ შევძელი დავოსში მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე დასწრება. ამ შემთხვევამდე ორი დღით ადრე კი მკლავი არასწორად მოვიქნიე და კუნთი დავიჭიმე საშინლად...

მართლა გულწრფელად მაინტერესებს საიდან იღებს ასეთ ძლიერ სათავეს ეს ვნება; იდეა, რომელიც ყველანაირ ტკივილს მაძლებინებს. ამ გატაცებას ხომ (ეს იარაღი ჯერ კიდევ ჩვ.წ.აღ-მდე 30 ათასი წლის წინათ გამოიყენებოდა) ვერც ვერანაირ პრაქტიკულ გამართლებას ვუძებნი? მაგრამ იუჯინ ჰერიგელმა, რომელსაც ჩემი ვნების გაღვივებაში უდიდესი წვლილი მიუძღვის, მშვენივრად იცოდა, წიგნს რაზეც წერდა. ახლა გთავაზობთ მისი წიგნიდან "ძენი მშვილოდოსნობის ხელოვნებაში" რამდენიმე ნაწყვეტს. თავადაც დარწმუნდებით, რომ ჰერიგელის ნააზრევის მისადაგება ყოველდღიურ ცხოვრებასთან ძალიან იოლად შეიძლება:

"როცა სხეულს ძაბავ, მოახდინე მთელი ამ დაჭიმული ენერგიის კონცენტრირება იმ ადგილზე, რისთვისაც ძალა გჭირდება. წინააღმდეგ შემთხვევაში დაზოგე ენერგია. დაიმახსოვრე, რამეს რომ მიაღწიო (მშვილდის გამოყენებით), სულაც არ არის საჭირო უზარმაზარი ნაბიჯის გადადგმა, უბრალოდ, მიზანში მაქსიმალურად ამოიღე სასურველი საგანი. მაქსიმალურად კონცენტრირდი მასზე".

"მწვრთნელმა პირველივე გაკვეთილზე საშინლად უდრეკი და მაგარი მშვილდი მომცა. ცნობისმოყვარეობა ვერ დავმალე და ვკითხე, რატომ მაძლევდა უფლებას, იმავე მშვილდით მესროლა პირველივე ჯერზე, რომელსაც პროფესიონალები ხმარობენ. მან კი მიპასუხა: "თუ მზადებას იოლი სავარჯიშოებით დაიწყებ, უფრო სერიოზული სირთულეების გადასალახად ვერასოდეს მოემზადები. სწავლების საუკეთესო მეთოდია, მაშინვე, გრძელ გზაზე შედგომისთანავე, გაიაზრო, თუ რა სახის ბარიერებს გადაეყრები წინ".

"ძალიან დიდხანს მშვილდს წესიერად ვერ ვმართავდი, სანამ ერთ დღეს მწვრთნელმა სუნთქვის ვარჯიშები არ მასწავლა. მერე ყველაფერი უცებ გაადვილდა. ვკითხე, რატომ არ მითხრა ამ საიდუმლოს შესახებ მანამდე. მან კი მიპასუხა: "თავიდანვე რომ მეჩვენებინა შენთვის ეს ვარჯიშები, იფიქრებდი, რომ არაფერში დაგჭირდება და არც ისწავლიდი. ახლა კი ნამდვილად ირწმუნებ, რომ მათ გარეშე არაფერი გამოგივა. და ასეც არის. კარგი მასწავლებლები ყოველთვის ასე იქცევიან ხოლმე".

"ისრის გასროლა აბსოლუტურად ინსტინქტურად ხდება, მაგრამ ამავე დროს აუცილებლად ზეპირად უნდა იცნობდე მშვილდის ყოველ სანტიმეტრს, უნდა გრძნობდე თვით ისარსაც და მიზანსაც. ზუსტად ასეა ცხოვრებაშიც, ზუსტი ნაბიჯის გადადგმისას, რომელსაც წარმატება მოაქვს (ანუ, როცა, ბოლოს და ბოლოს, ნაბიჯს გადადგამ და მიზანში მოახვედრებ), მაინც ყოველთვის იყენებ ინტუიციას.

მაგრამ არის ერთი უმნიშვნელოვანესი დეტალიც - ტექნიკაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში აღარ ფიქრობ, როცა ის ძვალ-რბილში გვაქვს გამჯდარი, როცა მას ნამდვილი ოსტატივით ფლობ".

"მშვილდოსნობის შესწავლიდან ოთხიოდე წლის შემდეგ, მწვრთნელმა მომილოცა. მესიამოვნა და ვუთხარი, რომ ახლა კი ნამდვილად მქონდა გავლილი გზის ნახევარი მაინც. "არა, - მიპასუხა მან, - აქა-იქ დაგებულ გაუთვალისწინებელ მახეებს რომ დაუსხლტე, ერთი იდეალური ვარიანტი არსებობს: მხოლოდ გზის 90 პროცენტის გავლის შემდეგ მიეცი საკუთარ თავს ნუგეშის უფლება. მხოლოდ "ფირნიშის" შორიდან დანახვის შემდეგ დაასკვენი, რომ ნახევარი გზა გაქვს გავლილი".

**შენიშვნა**: მშვილდ-ისრის გამოყენება სახიფათოა. ზოგიერთ ქვეყანაში (მაგალითად, საფრანგეთში) მშვილდი იარაღის კატეგორიაში გადის და მისი გამოყენება მხოლოდ სპეციალური ლიცენზიის მოპოვების შემდეგ შეიძლება, ისიც საგანგებოდ დადგენილ ადგილებში.

***ქართულად გამოცემულია პაულო კოელიოს საერთაშორისო ბესტსელერები: "თერთმეტი წუთი", "ალქიმიკოსი", "რიოპედრას ნაპირას ჩამოვჯექი და ავტირდი" და "ვერონიკამ სიკვდილი გადაწყვიტა". იკითხეთ წიგნის მაღაზიებში.***

# განცხადება

## "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 31-ე მუხლის შესაბამისად საჯარო სამსახურის ბიურო აცხადებს კონკურსს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცენტრალური აპარატის შემდეგ ვაკანტურ თანამდებობებზე:

**1. სამინისტროს აპარატი**

**1.2.1. კანცელარიის უფროსი** 1 საშტატო ერთეული; თანამდებობრივი სარგო 500 ლარი.
ა) უმაღლესი განათლება, მუშაობის არა ნაკლებ 2 წლის სტაჟი;
ბ) უცხო ენის ცოდნა ;
გ) კომპიუტერის ცოდნა საშუალო დონეზე;

**1.2.2. კანცელარიის მთავარი სპეციალისტი** 1 საშტატო ერთეული; თანამდებობრივი სარგო 400 ლარი.
ა) უმაღლესი განათლება, მუშაობის არა ნაკლებ 1 წლის სტაჟი;
ბ) კომპიუტერის ცოდნა კარგ დონეზე;

**1.2.3. კანცელარიის უფროსი სპეციალისტი** 5 საშტატო ერთეული; თანამდებობრივი სარგო 340 ლარი.
ა) უმაღლესი განათლება, მუშაობის არა ნაკლებ 1 წლის სტაჟი;
ბ) კომპიუტერის ცოდნა კარგ დონეზე;

**1.2.4. კონტროლის განყოფილების მთავარი სპეციალისტი** 1 საშტატო ერთეული; თანამდებობრივი სარგო 400 ლარი.
ა) უმაღლესი განათლება, მუშაობის არა ნაკლებ 1 წლის სტაჟი;
ბ) კომპიუტერის ცოდნა საშუალო დონეზე

**1.2.5. კონტროლის განყოფილების უფროსი სპეციალისტი** 1 საშტატო ერთეული; თანამდებობრივი სარგო 340 ლარი.
ა) უმაღლესი განათლება, მუშაობის არა ნაკლებ 1 წლის სტაჟი;
ბ) კომპიუტერის ცოდნა საშუალო დონეზე,

**1.3.1. პრესასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსი** 1 საშტატო ერთეული; თანამდებობრივი სარგო 600 ლარი.
ა) უმაღლესი ჰუმანიტარული განათლება (სასურველია საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი, ჟურნალისტი, ფილოლოგი ან სოციოლოგი), სპეციალობით მუშაობის არა ნაკლებ 3 წლის სტაჟი;
ბ) უცხო ენის ცოდნა ;
გ) კომპიუტერის ცოდნა საშუალო დონეზე
დ) "სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ", "ჯანმრთელობის დაცვის შესახებ", "დასაქმების შესახებ" საქართველოს კანონების ცოდნა.

**1.3.2. პრესასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსის მოადგილე** 1 საშტატო ერთეული; თანამდებობრივი სარგო 500 ლარი.
ა) უმაღლესი ჰუმანიტარული განათლება (სასურველია საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი, ჟურნალისტი, ფილოლოგი ან სოციოლოგი), სპეციალობით მუშაობის არა ნაკლებ 3 წლის სტაჟი;
ბ) უცხო ენის ცოდნა ;
გ) კომპიუტერის ცოდნა საშუალო დონეზე
დ) "სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ", "ჯანმრთელობის დაცვის შესახებ", "დასაქმების შესახებ" საქართველოს კანონების ცოდნა.

**1.3.3. პრესასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი** 1 საშტატო ერთეული; თანამდებობრივი სარგო 400 ლარი.
ა) უმაღლესი ჰუმანიტარული განათლება (სასურველია საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი, ჟურნალისტი, ფილოლოგი ან სოციოლოგი), სპეციალობით მუშაობის არა ნაკლებ 2 წლის სტაჟი;
ბ) ინგლისური ენის ცოდნა კარგ დონეზე
გ) კომპიუტერის ცოდნა საშუალო დონეზე
დ) "სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ", "ჯანმრთელობის დაცვის შესახებ", "დასაქმების შესახებ" საქართველოს კანონების ცოდნა.

**1.3.4. პრესასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი** 2 საშტატო ერთეული; თანამდებობრივი სარგო 400 ლარი.
ა) უმაღლესი ჰუმანიტარული განათლება (სასურველია საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი, ჟურნალისტი, ფილოლოგი ან სოციოლოგი), სპეციალობით მუშაობის არა ნაკლებ 2 წლის სტაჟი;
ბ) კომპიუტერის ცოდნა საშუალო დონეზე
გ) "სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ", "ჯანმრთელობის დაცვის შესახებ", "დასაქმების შესახებ" საქართველოს კანონების ცოდნა.

**1.3.5. პრესასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსი სპეციალისტი** 3 საშტატო ერთეული; თანამდებობრივი სარგო 340 ლარი.
ა) უმაღლესი ჰუმანიტარული განათლება (სასურველია საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი, ჟურნალისტი, ფილოლოგი ან სოციოლოგი), სპეციალობით მუშაობის არა ნაკლებ 1 წლის სტაჟი;
ბ) კომპიუტერის ცოდნა საშუალო დონეზე
გ) "სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ", "ჯანმრთელობის დაცვის შესახებ", "დასაქმების შესახებ" საქართველოს კანონების ცოდნა.

**1.3.6. პრესასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს სპეციალისტი** 2 საშტატო ერთეული; თანამდებობრივი სარგო 300 ლარი.
ა) უმაღლესი ჰუმანიტარული განათლება (სასურველია საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი, ჟურნალისტი, ფილოლოგი ან სოციოლოგი);
ბ) უცხო ენის ცოდნა;
გ) კომპიუტერის ცოდნა საშუალო დონეზე;
დ) "სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ", "ჯანმრთელობის დაცვის შესახებ", "დასაქმების შესახებ" საქართველოს კანონების ცოდნა.

**1.4.1 კადრების სამმართველოს უფროსი** 1 საშტატო ერთეული; თანამდებობრივი სარგო 600 ლარი.
ა) უმაღლესი განათლება, მუშაობის არანაკლებ 2 წლის სტაჟი;
ბ) კომპიუტერის ცოდნა საშუალო დონეზე;
გ) უცხო ენის ცოდნა;

დ) "შრომის კანონთა კოდექსი", "ჯანმრთელობის დაცვის შესახებ" "პაციენტის უფლებების შესახებ" და "ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ" საქართველოს კანონების ცოდნა.

**1.4.2 კადრების სამმართველოს უფროსი სპეციალისტი** 1 საშტატო ერთეული; თანამდებობრივი სარგო 340 ლარი.
ა) უმაღლესი განათლება, მუშაობის არანაკლებ 1 წლის სტაჟი;
ბ) კომპიუტერის ცოდნა საშუალო დონეზე;
გ) "შრომის კანონთა კოდექსი", "ჯანმრთელობის დაცვის შესახებ" "პაციენტის უფლებების შესახებ" და "ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ" საქართველოს კანონების ცოდნა.

**1.5.1. მოქალაქეთა მისაღების სამმართველოს უფროსი** 1 საშტატო ერთეული; თანამდებობრივი სარგო 600 ლარი.
ა) უმაღლესი განათლება, მუშაობის არა ნაკლებ 3 წლის სტაჟი;
ბ) უცხო ენის ცოდნა.
გ) კომპიუტერის ცოდნა საშუალო დონეზე.

**1.5.2. მოქალაქეთა მისაღების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი** 1 საშტატო ერთეული; თანამდებობრივი სარგო 400 ლარი.
ა) უმაღლესი განათლება, მუშაობის არა ნაკლებ 1 წლის სტაჟი;
ბ) კომპიუტერის ცოდნა საშუალო დონეზე.

**1.5.3. მოქალაქეთა მისაღების სამმართველოს უფროსი სპეციალისტი** 1 საშტატო ერთეული; თანამდებობრივი სარგო 340 ლარი.
ა) უმაღლესი განათლება, მუშაობის არა ნაკლებ 1 წლის სტაჟი;
ბ) კომპიუტერის ცოდნა საშუალო დონეზე.

**1.6.1. რეგიონალური მართვის განყოფილების უფროსი** 1 საშტატო ერთეული; თანამდებობრივი სარგო 500 ლარი.
ა) უმაღლესი სამედიცინო განათლება, მუშაობის არა ნაკლებ 2 წლის სტაჟი;
ბ) კომპიუტერის ცოდნა საშუალო დონეზე;
გ) უცხო ენის ცოდნა;
დ) "შრომის კანონთა კოდექსის", "ჯანმრთელობის დაცვის შესახებ" "პაციენტის უფლებების შესახებ" და "ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ" საქართველოს კანონების ცოდნა.

**1.6.2. რეგიონალური მართვის განყოფილების მთავარი სპეციალისტრი** 2 საშტატო ერთეული; თანამდებობრივი სარგო 400 ლარი.
ა) უმაღლესი განათლება, მუშაობის სტაჟი არა ნაკლებ 1 წლისა;
ბ) კომპიუტერის ცოდნა საშუალო დონეზე;
გ) "შრომის კანონთა კოდექსის", "ჯანმრთელობის დაცვის შესახებ" "პაციენტის უფლებების შესახებ" და "ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ" საქართველოს კანონების ცოდნა.

**1.6.3. რეგიონალური მართვის განყოფილების უფროსი სპეციალისტი** 1 საშტატო ერთეული; თანამდებობრივი სარგო 340 ლარი.
ა) უმაღლესი განათლება, მუშაობის სტაჟი არა ნაკლებ 1 წლისა;
ბ) კომპიუტერის ცოდნა საშუალო დონეზე;
გ) "შრომის კანონთა კოდექსის", "ჯანმრთელობის დაცვის შესახებ", "პაციენტის უფლებების შესახებ" და "ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ" საქართველოს კანონების ცოდნა.

**1.7.1. ინფორმატიკის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი** 2 საშტატო ერთეული; თანამდებობრივი სარგო 400 ლარი.
ა) უმაღლესი განათლება კომპიუტერული ტექნიკისა და კომპიუტერული ტექნოლოგიების სპეციალობით, სპეციალობით მუშაობის არა ნაკლებ 1 წლის სტაჟი;
ბ) უცხო ენის ცოდნა საშუალო დონეზე;
გ) კომპიუტერის ცოდნა სრულყოფილად;
დ) უნდა ფლობდეს დაპროგრამების ენებს, მონაცემთა ბაზებს, ქსელურ ინფორმაციულ ტექნოლოგიებს.

**1.7.2. ინფორმატიკის სამმართველოს უფროსი სპეციალისტი (**ადმინისტრატორის თანაშემწე) 1 საშტატო ერთეული; თანამდებობრივი სარგო 340 ლარი.
ა) უმაღლესი განათლება კომპიუტერული ტექნიკისა და კომპიუტერული ტექნოლოგიების სპეციალობით, სპეციალობით მუშაობის არა ნაკლებ 1 წლის სტაჟი;
ბ) ინგლისური ენის ცოდნა;
გ) კომპიუტერის ცოდნა სრულყოფილად;
დ) უნდა ფლობდეს ქსელის მონტაჟის, ტიპოლოგიის განსაზღვრისა და გამართვის, მისი შემდგომი ადმინისტრირებისათვის საჭირო ცოდნასა და უნარ-ჩვევებს. უნდა შეეძლოს ინფორმაციული საქსელო ბაზების დაპროექტება, შექმნა და მართვა, უნდა ერკვეოდეს თანამედროვე საქსელო კომუნიკაციებში, ინფორმაციის მიღებისა და გადაცემისათვის საჭირო კავშირგაბმულობის თანამედროვე საშუალებებში.

**1.7.3. ინფორმატიკის სამმართველოს უფროსი სპეციალისტი (**სისტემის ინჟინერი) 1 საშტატო ერთეული; თანამდებობრივი სარგო 340 ლარი.
ა) უმაღლესი განათლება კომპიუტერული ტექნიკისა და კომპიუტერული ტექნოლოგიების სპეციალობით, სპეციალობით მუშაობის არა ნაკლებ 1 წლის სტაჟი;
ბ) უცხო ენის ცოდნა;
გ) კომპიუტერის ცოდნა სრულყოფილად;
დ) უნდა იცოდეს კომპიუტერული ტექნიკის არქიტექტურა და პროგრამული უზრუნველყოფა, უნდა შეეძლოს კომპიუტერული და საქსელო ტექნიკის ტექნიკური და სისტემური დიაგნოსტირება და გამართვა.

**1.7.4. ინფორმატიკის სამმართველოს სპეციალისტი** 2 საშტატო ერთეული; თანამდებობრივი სარგო 300 ლარი.
ა) უმაღლესი განათლება კომპიუტერული ტექნიკისა და კომპიუტერული ტექნოლოგიების სპეციალობით;
ბ) უცხო ენის ცოდნა;
გ) კომპიუტერის ცოდნა სრულყოფილად;
დ) უნდა ფლობდეს დოკუმენტებისა და თვალსაჩინო მასალების დამუშავების თანამედროვე კომპიუტერულ სისტემებს, ჰქონდეს გრაფიკულ ინფორმაციასთან მუშაობის უნარ-ჩვევები; უნდა შეეძლოს ცალკეული სამომხმარებლო პროგრამებისა და მონაცემთა ბაზების მომსახურება.

**1.8.1. სამეურნეო სამმართველოს უფროსი** 1 საშტატო ერთეული; თანამდებობრივი სარგო 600 ლარი.
ა) უმაღლესი განათლება, სამეურნეო სფეროში მუშაობის არა ნაკლებ 2 წლის სტაჟი;
ბ) უცხო ენის ცოდნა;
გ) კომპიუტერის ცოდნა საშუალო დონეზე;
დ) "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონი (სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების საშუალებები; ხელშეკრულება განზრახვათა შესახებ; ხელახალი ტენდერის ჩატარება; სატენდერო მოსაკრებელი; სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების შესახებ ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა.), "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონი (საწარმოთა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები, მათი დაფუძნება; პასუხისმგებლობა. ინფორმაციის მიღებისა და საკონტროლო უფლებები; ხელმძღვანელობა და წარმომადგენობა.), საქართველოს საგადასახადო კოდექსი **(**გადასახადის სახეები; კოდექსში გამოყენებულ ტერმინთა განსაზღვრებანი; გადასახადის გადამხდელები; გადასახადის განაკვეთები).

**1.8.2. სამეურნეო სამმართველოს უფროსის მოადგილე** 1 საშტატო ერთეული; თანამდებობრივი სარგო 500 ლარი.
ა) უმაღლესი ეკონომიკური, საფინანსო, საბანკო, ბიზნეს ან მენეჯერული განათლება, სამეურნეო სფეროში მუშაობის არა ნაკლებ 2 წლის სტაჟი;
ბ) უცხო ენის ცოდნა;
გ) კომპიუტერის ცოდნა სამომხმარებლო დონეზე;
დ) "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონი (სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების საშუალებები; ხელშეკრულება განზრახვათა შესახებ; ხელახალი ტენდერის ჩატარება; სატენდერო მოსაკრებელი; სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების შესახებ ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა.), "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონი (საწარმოთა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები, მათი დაფუძნება; პასუხისმგებლობა. ინფორმაციის მიღებისა და საკონტროლო უფლებები; ხელმძღვანელობა და წარმომადგენობა.), საქართველოს საგადასახადო კოდექსი **(**გადასახადის სახეები; კოდექსში გამოყენებულ ტერმინთა განსაზღვრებანი; გადასახადის გადამხდელები; გადასახადის განაკვეთები).

**1.8.3. სამეურნეო სამმართველოს უფროსი სპეციალისტი** 4 საშტატო ერთეული; თანამდებობრივი სარგო 340 ლარი.
ა) უმაღლესი განათლება;
ბ) "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონი (სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების საშუალებები; ხელშეკრულება განზრახვათა შესახებ; ხელახალი ტენდერის ჩატარება; სატენდერო მოსაკრებელი; სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების შესახებ ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა.), "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონი (საწარმოთა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები, მათი დაფუძნება; პასუხისმგებლობა. ინფორმაციის მიღებისა და საკონტროლო უფლებები; ხელმძღვანელობა და წარმომადგენობა.), საქართველოს საგადასახადო კოდექსი **(**გადასახადის სახეები; კოდექსში გამოყენებულ ტერმინთა განსაზღვრებანი; გადასახადის გადამხდელები; გადასახადის განაკვეთები).

**2. საფინანსო-საბიუჯეტო დეპარტამენტი**

**2.1.1. საფინანსო საბიუჯეტო დეპარტამენტის უფროსი** 1 საშტატო ერთეული; თანამდებობრივი სარგო 1000 ლარი.
ა) უმაღლესი ეკონომიკური, საფინანსო, საბანკო, ბიზნეს ან მენეჯერული განათლება, სპეციალობით მუშაობის არა ნაკლებ 4 წლის სტაჟი;
ბ) უცხო ენის ცოდნა;
გ) კომპიუტერის ცოდნა საშუალო დონეზე;
დ) "საბიუჯეტო სისტემის შესახებ", "შესყიდვების შესახებ", "საქართველოს 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონების ცოდნა; საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2004 წლის 31 აგვისტოს №571 და 2004 წლის 15 მარტის №153 ბრძანებების ცოდნა.

**2.2.1 საფინანსო-საბიუჯეტო დეპარტამენტის უფროსის მოადგილე** 1 საშტატო ერთეული; თანამდებობრივი სარგო 800 ლარი.
ა) უმაღლესი ეკონომიკური, საფინანსო, საბანკო, ბიზნეს ან მენეჯერული განათლება, სპეციალობით მუშაობის არა ნაკლებ 3 წლის სტაჟი;
ბ) უცხო ენის ცოდნა;
გ) კომპიუტერის ცოდნა საშუალო დონეზე;
დ) "საბიუჯეტო სისტემის შესახებ", "შესყიდვების შესახებ", "საქართველოს 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონების ცოდნა; საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2004 წლის 31 აგვისტოს №571, 2004 წლის 15 მარტის №153 და 2004 წლის 30 აგვისტოს №570 ბრძანებების ცოდნა.

**2.2.2 საფინანსო-საბიუჯეტო დეპარტამენტის უფროსის მოადგილე** 1 საშტატო ერთეული; თანამდებობრივი სარგო 800 ლარი.
ა) უმაღლესი ეკონომიკური, საფინანსო, საბანკო, ბიზნეს ან მენეჯერული განათლება, სპეციალობით მუშაობის არა ნაკლებ 3 წლის სტაჟი;
ბ) უცხო ენის ცოდნა;
გ) კომპიუტერის ცოდნა საშუალო დონეზე;
დ) "საბიუჯეტო სისტემის შესახებ", "ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგულირების შესახებ" საქართველოს კანონები; საგადასახადო კოდექსის ძირითადი პრინციპები; საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2003 წლის 17 ოქტომბრის №521, 2004 წლის 15 მარტის №153 და 2004 წლის 30 აგვისტოს №570 ბრძანებები.

**2.2.3 დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი** 1 საშტატო ერთეული; თანამდებობრივი სარგო 400 ლარი.
ა) **უმაღლესი განათლება**, მუშაობის არა ნაკლებ 1 წლის სტაჟი;
ბ) ინგლისური ენის ცოდნა;
ბ) კომპიუტერის ცოდნა საშუალო დონეზე;

**2.3.1. დაგეგმვის, აღსრულებისა და ანალიზის სამმართველოს უფროსი** 1 საშტატო ერთეული; თანამდებობრივი სარგო 600 ლარი.
ა) უმაღლესი ეკონომიკური, საფინანსო, საბანკო, ბიზნეს ან მენეჯერული განათლება, სპეციალობით მუშაობის არა ნაკლებ 2 წლის სტაჟი;
ბ) უცხო ენის ცოდნა;
გ) კომპიუტერის ცოდნა საშუალო დონეზე;
დ) "საბიუჯეტო სისტემის შესახებ", "საქართველოს 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონები; საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2004 წლის 31 აგვისტოს №571 და 2004 წლის 15 მარტის №153 (საქართველოს ბიუჯეტების გადასახდელების ეკონომიკური კლასიფიკაციის ნაწილში) ბრძანებების ცოდნა.

**2.3.2. დაგეგმვის, აღსრულებისა და ანალიზის სამმართველოს უფროსი სპეციალისტი** 1 საშტატო ერთეული; თანამდებობრივი სარგო 340 ლარი.
ა) უმაღლესი ეკონომიკური, სამედიცინო, საფინანსო, საბანკო, ბიზნეს ან მენეჯერული განათლება, სპეციალობით მუშაობის გამოცდილება;
ბ) კომპიუტერის ცოდნა საშუალო დონეზე;
გ) "საბიუჯეტო სისტემის შესახებ", "საქართველოს 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონები; საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2004 წლის 31 აგვისტოს №571 და 2004 წლის 15 მარტის №153 (საქართველოს ბიუჯეტების გადასახდელების ეკონომიკური კლასიფიკაციის ნაწილში) ბრძანებების ცოდნა.

**2.4.1. ბიუჯეტური სახსრების აღრიცხვა-ანგარიშგების, მეთოდური დახმარებისა და შიდა აუდიტის სამმართველოს უფროსი** 1 საშტატო ერთეული; თანამდებობრივი სარგო 600 ლარი.
ა) უმაღლესი ეკონომიკური, საფინანსო, საბანკო, ბიზნეს ან მენეჯერული განათლება, სპეციალობით მუშაობის არა ნაკლებ 2 წლის სტაჟი; სასურველია აუდიტორის ლიცენზია,საერთაშორისო საფინანსო სისტემის ცოდნა.
ბ) უცხო ენის ცოდნა;
გ) კომპიუტერის ცოდნა საშუალო დონეზე;
დ) "ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგულირების შესახებ" საქართველოს კანონი; საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2003 წლის 17 ოქტომბრის №521, 2004 წლის 31 აგვისტოს 2004 წლის 30 აგვისტოს №570 და 2004 წლის 15 მარტის №153 (საქართველოს ბიუჯეტების გადასახდელების ეკონომიკური კლასიფიკაციის ნაწილში) ბრძანებების ცოდნა.

**2.4.2. ბიუჯეტური სახსრების აღრიცხვა-ანგარიშგების, მეთოდური დახმარებისა და შიდა აუდიტის სამმართველოს უფროსის მოადგილე** 1 საშტატო ერთეული; თანამდებობრივი სარგო 500 ლარი.
ა) უმაღლესი ეკონომიკური, საფინანსო, საბანკო, ბიზნეს ან მენეჯერული განათლება, სპეციალობით მუშაობის არა ნაკლებ 2 წლის სტაჟი;
ბ) კომპიუტერის ცოდნა საშუალო დონეზე;
გ) "ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგულირების შესახებ" საქართველოს კანონი; საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2003 წლის 17 ოქტომბრის №521, 2004 წლის 31 აგვისტოს 2004 წლის 30 აგვისტოს №570 და 2004 წლის 15 მარტის №153 (საქართველოს ბიუჯეტების გადასახდელების ეკონომიკური კლასიფიკაციის ნაწილში) ბრძანებების ცოდნა.

**2.4.3. ბიუჯეტური სახსრების აღრიცხვა-ანგარიშგების, მეთოდური დახმარებისა და შიდა აუდიტის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი** 5 საშტატო ერთეული; თანამდებობრივი სარგო 400 ლარი.
ა) უმაღლესი ეკონომიკური, საფინანსო, საბანკო, ბიზნეს ან მენეჯერული განათლება, სპეციალობით მუშაობის გამოცდილება;
ბ) კომპიუტერის ცოდნა საშუალო დონეზე;
გ) "ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგულირების შესახებ" საქართველოს კანონი; საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2003 წლის 17 ოქტომბრის №521, 2004 წლის 31 აგვისტოს 2004 წლის 30 აგვისტოს №570 და 2004 წლის 15 მარტის №153 (საქართველოს ბიუჯეტების გადასახდელების ეკონომიკური კლასიფიკაციის ნაწილში) ბრძანებების ცოდნა.

**2.4.4. ბიუჯეტური სახსრების აღრიცხვა-ანგარიშგების, მეთოდური დახმარებისა და შიდა აუდიტის სამმართველოს უფროსი სპეციალისტი** 2 საშტატო ერთეული; თანამდებობრივი სარგო 340 ლარი.
ა) უმაღლესი ეკონომიკური, საფინანსო, საბანკო, ბიზნეს ან მენეჯერული განათლება, სპეციალობით მუშაობის გამოცდილება;
ბ) კომპიუტერის ცოდნა საშუალო დონეზე;
გ) "ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგულირების შესახებ" საქართველოს კანონი; საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2003 წლის 17 ოქტომბრის №521, 2004 წლის 31 აგვისტოს 2004 წლის 30 აგვისტოს №570 და 2004 წლის 15 მარტის №153 (საქართველოს ბიუჯეტების გადასახდელების ეკონომიკური კლასიფიკაციის ნაწილში) ბრძანებების ცოდნა.

**2.5.1. შესყიდვების სამმართველოს უფროსი** 1 საშტატო ერთეული; თანამდებობრივი სარგო 600 ლარი.
ა) უმაღლესი ეკონომიკური, საფინანსო, საბანკო, ბიზნეს ან მენეჯერული განათლება, სპეციალობით მუშაობის არა ნაკლებ 2 წლის სტაჟი;
ბ) უცხო ენის ცოდნა;

გ) კომპიუტერის ცოდნა საშუალო დონეზე;
დ) "სახელწიფო შესყიდვების შესახებ", "საბიუჯეტო სისტემის შესახებ" საქართველოს კანონების ცოდნა.

**2.5.2. შესყიდვების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი** 2 საშტატო ერთეული; თანამდებობრივი სარგო 400 ლარი.
ა) უმაღლესი ეკონომიკური, საფინანსო, საბანკო, ბიზნეს, მენეჯერული ან იურიდიული განათლება, სპეციალობით მუშაობის გამოცდილება;
ბ) კომპიუტერის ცოდნა საშუალო დონეზე;
გ) "სახელწიფო შესყიდვების შესახებ", "საბიუჯეტო სისტემის შესახებ" საქართველოს კანონების ცოდნა.

**3. სოციალურ საკითხთა პოლიტიკის დეპარტამენტი**

**3.1.1 დეპარტამენტის უფროსი** 1 საშტატო ერთეული; თანამდებობრივი სარგო 1000 ლარი.
უმაღლესი განათლება, მუშაობის არა ნაკლებ 3 წლის სტაჟი (სასურველია ხელმძღვანელობის, ორგანიზაციის ან პროექტის მართვის გამოცდილება);

**3.2.1 დეპარტამენტის უფროსის მოადგილე** 1 საშტატო ერთეული; თანამდებობრივი სარგო 800 ლარი.
ა) უმაღლესი ეკონომიკური ან იურიდიული განათლება, მუშაობის არა ნაკლებ 2 წლის სტაჟი (სასურველია ხელმძღვანელობის, ორგანიზაციის ან პროექტის მართვის გამოცდილება);

შენიშვნა: 3.1.1 და 3.2.1 კოდებში მითითებულ თანამდებობაზე დამატებით მოეთხოვებათ:
ა) უცხო ენის ცოდნა;
ბ) კომპიუტერის ცოდნა საშუალო დონეზე;
გ) "შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ"; "ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა შესახებ"; "ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურზე და სხვა სამხედრო ან სამოქალაქო დანიშნულების ბირთვულ ობიექტებზე ავარიული სიტუაციების შედეგების ლიკვიდაციების მონაწილეებისა და მათი ოჯახის წევრების სოცილური დაცვის შესახებ"; "საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ"; "ქ.თბილისში 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის დარბევის შედეგად დაზარალერბულთა აღიარებისა და მათი სოციალური დაცვის გარანტიების შესახებ"; "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ"; "არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევისა და უზრუნველყოფის შესახებ"; "სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ"; "საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულ, უგზო-უკვლოდ დაკარგულ, მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახების სოციალური დაცვის შესახებ"; "დასაქმების შესახებ"; "სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შესახებ"; "სავალდებულო სოციალური დაზღვევის შესახებ"; "სავალდებულო სადაზღვევო პენსიების შესახებ"; "სავალდებულო სოციალური დაზღვევის სფეროში ინდივიდუალური (პერსონიფიცირებული) აღრიცხვისა და ანგარიშების შემოღების შესახებ" საქართველოს კანონების და მიზნობრივი პროგრამების შედგენის ძირითადი წესების ცოდნა.

**3.2.2 მთავარი სპეციალისტი (საქმისმწარმოებელი)** 1 საშტატო ერთეული; თანამდებობრივი სარგო 400 ლარი.
ა) უმაღლესი განათლება;
ბ) კომპიუტერის ცოდნა საშუალო დონეზე;

**3.3.1 საპენსიო საკითხთა სამმართველოს უფროსი** 1 საშტატო ერთეული; თანამდებობრივი სარგო 600 ლარი.
ა) უმაღლესი იურიდიული ან ეკონომიკური განათლება, სპეციალობით მუშაობის არა ნაკლებ 2 წლის სტაჟი (სასურველია ხელმძღვანელ თანამდებობაზე);
ბ) უცხო ენის ცოდნა;

**3.3.2 საპენსიო საკითხთა სამმართველოს მთავარი სპეციალისტი (იურისტი**) 1 საშტატო ერთეული; თანამდებობრივი სარგო 400 ლარი.
ა) უმაღლესი იურიდიული განათლება;

**3.3.3 საპენსიო საკითხთა სამმართველოს მთავარი სპეციალისტი (ეკონომისტი)** 1 საშტატო ერთეული; თანამდებობრივი სარგო 400 ლარი.
ა) უმაღლესი ეკონომიკური განათლება;
ბ) უცხო ენის ცოდნა საშუალო დონეზე (სასურველია ინგლისური ენა);

**3.3.4 საპენსიო საკითხთა სამმართველოს უფროსი სპეციალისტი** 1 საშტატო ერთეული; თანამდებობრივი სარგო 340 ლარი.
ა) უმაღლესი განათლება (სასურველია ეკონომიკური ან იურიდიული განათლება);
ბ) ინგლისური ენის ცოდნა კარგ დონეზე;

შენიშვნა: 3.3.1, 3.3.2, 3.3.3 და 3.3.4 კოდებში მითითებულ თანამდებობაზე დამატებით მოეთხოვებათ:

**გაგრძელება B5 გვერდზე**

B4 გვერდიდან

ა) კომპიუტერის ცოდნა საშუალო დონეზე;

გ) "სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ", "სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის ლიცენზირების სესახებ", "ჯანმრთელობის დაცვის შესახებ", "სალიცენზიო მოსაკრებლების შესახებ" საქართველოს კანონები

**9. ადამიანური რესურსების განვითარების დეპარტამენტი**

**9.1.1 დეპარტამენტის უფროსი** 1 საშტატო ერთეული; თანამდებობრივი სარგო 1000 ლარი.

ა) უმაღლესი განათლება, ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის არა ნაკლებ 3 წლის სტაჟი;

ბ) უცხო ენის ცოდნა;

გ) კომპიუტერის ცოდნა საშუალო დონეზე;

დ) საქართველოს შრომის კანონთა კოდექსი, "ჯანმრთელობის დაცვის შესახებ", "საექიმო საქმიანობის შესახებ", "სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის ლიცენზირების შესახებ" "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონები.

**9.2.1 დეპარტამენტის უფროსის მოადგილე** 1 საშტატო ერთეული; თანამდებობრივი სარგო 800 ლარი.

ა) უმაღლესი სამედიცინო განათლება, ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის არა ნაკლებ 2 წლის სტაჟი;

ბ) უცხო ენის ცოდნა;

გ) კომპიუტერის ცოდნა საშუალო დონეზე;

დ) საქართველოს შრომის კანონთა კოდექსი, "ჯანმრთელობის დაცვის შესახებ", "საექიმო საქმიანობის შესახებ", "სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის ლიცენზირების შესახებ" "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონები.

**9.3.1 შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური სფეროს მმართველობაში დასაქმებული რესურსების განვითარების სამმართველოს უფროსი**

1 საშტატო ერთეული; თანამდებობრივი სარგო 600 ლარი.

ა) უმაღლესი განათლება, საორგანიზაციო ან მენეჯერული მუშაობის არა ნაკლებ 2 წლის სტაჟი;

ბ) უცხო ენის ცოდნა;

გ) კომპიუტერის ცოდნა საშუალო დონეზე;

დ) "დასაქმების შესახებ", "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონები, საქართველოს შრომის კანონთა კოდექსი

**9.3.2 შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური სფეროს მმართველობაში დასაქმებული რესურსების განვითარების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი**

1 საშტატო ერთეული; თანამდებობრივი სარგო 400 ლარი.

ა) უმაღლესი განათლება, სამუშაო გამოცდილება;

ბ) კომპიუტერის ცოდნა საშუალო დონეზე;

გ) "დასაქმების შესახებ", "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონები, საქართველოს შრომის კანონთა კოდექსი

**9.3.3 შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური სფეროს მმართველობაში დასაქმებული რესურსების განვითარების სამმართველოს უფროსი სპეციალისტი**

1 საშტატო ერთეული; თანამდებობრივი სარგო 340 ლარი.

ა) უმაღლესი განათლება, სამუშაო გამოცდილება;

ბ) კომპიუტერის ცოდნა საშუალო დონეზე;

გ) "დასაქმების შესახებ", "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონები, საქართველოს შრომის კანონთა კოდექსი

გაგრძელება B7 გვერდზე

**B6 გვერდიდან**

**9.4.1 ჯანდაცვის სისტემის რესურსების განვითარების სამმართველოს უფროსი** 1 საშტატო ერთეული; თანამდებობრივი სარგო 600 ლარი.

ა) უმაღლესი სამედიცინო განათლება, სპეციალობით მუშაობის არა ნაკლებ 2 წლის სტაჟი (სასურველია ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის გამოცდილება);
ბ) უცხო ენის ცოდნა;
გ) კომპიუტერის ცოდნა საშუალო დონეზე;
დ) საქართველოს შრომის კანონთა კოდექსი, "ჯანმრთელობის დაცვის შესახებ", "საექიმო საქმიანობის შესახებ", "სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის ლიცენზირების შესახებ" "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონები.

**9.4.2 ჯანდაცვის სისტემის რესურსების განვითარების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი** 2 საშტატო ერთეული; თანამდებობრივი სარგო 400 ლარი.

ა) უმაღლესი განათლება, მუშაობის არა ნაკლებ 1 წლის სტაჟი;
ბ) კომპიუტერის ცოდნა საშუალო დონეზე;
გ) საქართველოს შრომის კანონთა კოდექსი, "ჯანმრთელობის დაცვის შესახებ", "საექიმო საქმიანობის შესახებ", "სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის ლიცენზირების შესახებ" "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონები.

**9.4.3 ჯანდაცვის სისტემის რესურსების განვითარების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი** 1 საშტატო ერთეული; თანამდებობრივი სარგო 400 ლარი.

ა) უმაღლესი განათლება, მუშაობის არა ნაკლებ 1 წლის სტაჟი;
ბ) ინგლისური ენის ცოდნა
გ) კომპიუტერის ცოდნა საშუალო დონეზე;
დ) საქართველოს შრომის კანონთა კოდექსი, "ჯანმრთელობის დაცვის შესახებ", "საექიმო საქმიანობის შესახებ", "სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის ლიცენზირების შესახებ" "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონები.

**9.4.4 ჯანდაცვის სისტემის რესურსების განვითარების სამმართველოს უფროსი სპეციალისტი** 2 საშტატო ერთეული; თანამდებობრივი სარგო 340 ლარი.

ა) უმაღლესი განათლება, მუშაობის არა ნაკლებ 1 წლის სტაჟი;
ბ) კომპიუტერის ცოდნა საშუალო დონეზე;
გ) საქართველოს შრომის კანონთა კოდექსი, "ჯანმრთელობის დაცვის შესახებ", "საექიმო საქმიანობის შესახებ", "სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის ლიცენზირების შესახებ" "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონები.

**10. ტექნიკისა და ტექნოლოგიების დეპარტამენტის**

**10.1.1 დეპარტამენტის უფროსი** 1 საშტატო ერთეული; თანამდებობრივი სარგო 1000 ლარი.

ა) უმაღლესი სამედიცინო განათლება, ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის არა ნაკლებ 3 წლის სტაჟი;
ბ) უცხო ენის ცოდნა;
გ) კომპიუტერის ცოდნა საშუალო დონეზე;
დ) "ჯანმრთელობის დაცვის შესახებ", "მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ", "გაზომვათა ერთიანობის უზრუნველყოფის შესახებ", "არქიტექტურული საქმიანობის შესახებ", "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ", "საპროექტო სამშენებლო საქმიანობის ლიცენზირების შესახებ" საქართველოს კანონები.

**10.2.1 დეპარტამენტის უფროსის მოადგილე** 1 საშტატო ერთეული; თანამდებობრივი სარგო 800 ლარი.

ა) უმაღლესი განათლება სამედიცინო, ბიოსამედიცინო სისტემების ან ელექტრონულ-გამომთვლელი სისტემების დარგში, ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის სტაჟი არა ნაკლებ 2 წლისა;
ბ) უცხო ენის ცოდნა;
გ) კომპიუტერის ცოდნა საშუალო დონეზე;
დ) "ჯანმრთელობის დაცვის შესახებ", "მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ", "გაზომვათა ერთიანობის უზრუნველყოფის შესახებ", "არქიტექტურული საქმიანობის შესახებ", "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ", "საპროექტო სამშენებლო საქმიანობის ლიცენზირების შესახებ" საქართველოს კანონები.

**10.3.1. ტექნიკისა და თანამედროვე ტექნოლოგიების სამმართველოს უფროსი** 1 საშტატო ერთეული; თანამდებობრივი სარგო 600 ლარი.

ა) უმაღლესი განათლება ბიოსამედიცინო სისტემების ან ელექტრონულ-გამომთვლელი სისტემების დარგში, სპეციალობით მუშაობის არა ნაკლებ 2 წლის სტაჟი;
ბ) უცხო ენის ცოდნა;
გ) კომპიუტერის ცოდნა საშუალო დონეზე;
დ) "ჯანმრთელობის დაცვის შესახებ", "მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ", "გაზომვათა ერთიანობის უზრუნველყოფის შესახებ", "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ", საქართველოს კანონები.

**10.3.2. ტექნიკისა და თანამედროვე ტექნოლოგიების სამმართველოს უფროსი სპეციალისტი** 1 საშტატო ერთეული; თანამდებობრივი სარგო 340 ლარი.

ა) უმაღლესი სამედიცინო განათლება, მუშაობის არა ნაკლებ 1 წლის სტაჟი;
ბ) ინგლისური ენის ცოდნა;
გ) კომპიუტერის ცოდნა საშუალო დონეზე;
დ) "ჯანმრთელობის დაცვის შესახებ", "მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ", "გაზომვათა ერთიანობის უზრუნველყოფის შესახებ", "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ", საქართველოს კანონებ.

**10.3.3. ტექნიკისა და თანამედროვე ტექნოლოგიების სამმართველოს უფროსი სპეციალისტი** 1 საშტატო ერთეული; თანამდებობრივი სარგო 340 ლარი.

ა) უმაღლესი სამედიცინო განათლება, მუშაობის არა ნაკლებ 1 წლის სტაჟი;
ბ) კომპიუტერის ცოდნა საშუალო დონეზე;
გ) "ჯანმრთელობის დაცვის შესახებ", "მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ", "გაზომვათა ერთიანობის უზრუნველყოფის შესახებ", "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ", საქართველოს კანონებ.

**10.4.1. სამშენებლო სამმართველოს უფროსი** 1 საშტატო ერთეული; თანამდებობრივი სარგო 600 ლარი.

ა) უმაღლესი განათლება არქიტექტურის ან მშენებლობის დარგში, სპეციალობით მუშაობის არა ნაკლებ 2 წლის სტაჟი;
ბ) უცხო ენის ცოდნა;
გ) კომპიუტერის ცოდნა საშუალო დონეზე;
დ) "მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ", "გაზომვათა ერთიანობის უზრუნველყოფის შესახებ", "არქიტექტურული საქმიანობის შესახებ", "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ", "საპროექტო სამშენებლო საქმიანობის ლიცენზირების შესახებ" საქართველოს კანონის ცოდნა.

**10.4.2. სამშენებლო სამმართველოს უფროსი სპეციალისტი** 1 საშტატო ერთეული; თანამდებობრივი სარგო 340 ლარი.

ა) უმაღლესი განათლება არქიტექტურის ან მშენებლობის დარგში, სპეციალობით მუშაობის არა ნაკლებ 1 წლის სტაჟი;
ბ) ინგლისური ენის ცოდნა;
გ) კომპიუტერის ცოდნა საშუალო დონეზე;
დ) "ჯანმრთელობის დაცვის შესახებ", "მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ", "გაზომვათა ერთიანობის უზრუნველყოფის შესახებ", "არქიტექტურული საქმიანობის შესახებ", "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ", "საპროექტო სამშენებლო საქმიანობის ლიცენზირების შესახებ" საქართველოს კანონები.

**11. ტრადიციული სამედიცინო საქმიანობის პოლიტიკის დეპარტამენტი**

**11.1.1 დეპარტამენტის უფროსი** 1 საშტატო ერთეული; თანამდებობრივი სარგო 1000 ლარი.

ა) უმაღლესი განათლება, მუშაობის სტაჟი არა ნაკლებ 3 წლისა;
ბ) კომპიუტერის ცოდნა საშუალო დონეზე;
გ) "ჯანმრთელობის დაცვის შესახებ", "წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ", "სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის ლიცენზირების შესახებ", "სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ", "სარეგისტრაციო მოსაკრებლების შესახებ" საქართველოს კანონები.

**11.2.1. ტრადიციული და ალტერნატიული ფარმაცევტული საქმიანობის განყოფილების უფროსი** 1 საშტატო ერთეული; თანამდებობრივი სარგო 500 ლარი.

ა) უმაღლესი ფარმაცევტული განათლება, სპეციალობით მუშაობის არა ნაკლებ 2 წლის სტაჟი;
ბ) კომპიუტერის ცოდნა საშუალო დონეზე;
გ) "წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ", "სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის ლიცენზირების შესახებ", "სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ", "სარეგისტრაციო მოსაკრებლების შესახებ" საქართველოს კანონები.

**11.2.2. ტრადიციული და ალტერნატიული ფარმაცევტული საქმიანობის განყოფილების მთავარი სპეციალისტი** 1 საშტატო ერთეული; თანამდებობრივი სარგო 400 ლარი.

ა) უმაღლესი ბიოლოგიური განათლება, მუშაობის არა ნაკლებ 1 წლის სტაჟი;
ბ) კომპიუტერის ცოდნა საშუალო დონეზე;
გ) "წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ", "სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის ლიცენზირების შესახებ", "სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ", "სარეგისტრაციო მოსაკრებლების შესახებ" საქართველოს კანონები.

**11.3.1. ტრადიციული და ალტერნატიული სამედიცინო საქმიანობის განყოფილების უფროსი** 1 საშტატო ერთეული; თანამდებობრივი სარგო 500 ლარი.

ა) უმაღლესი სამედიცინო განათლება, სპეციალობით მუშაობის არა ნაკლებ 3 წლის სტაჟი;
ბ) კომპიუტერის ცოდნა საშუალო დონეზე;
გ) ჯანმრთელობის დაცვის შესახებ", "სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის ლიცენზირების შესახებ", "სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ", "სარეგისტრაციო მოსაკრებლების შესახებ" საქართველოს კანონები.

**11.3.2. ტრადიციული და ალტერნატიული სამედიცინო საქმიანობის განყოფილების მთავარი სპეციალისტი** 1 საშტატო ერთეული; თანამდებობრივი სარგო 400 ლარი.

ა) უმაღლესი სამედიცინო განათლება, მუშაობის არა ნაკლებ 1 წლის სტაჟი;
ბ) კომპიუტერის ცოდნა საშუალო დონეზე;
გ) ჯანმრთელობის დაცვის შესახებ", "სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის ლიცენზირების შესახებ", "სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ", "სარეგისტრაციო მოსაკრებლების შესახებ" საქართველოს კანონები.

**12. ნარკოტიკების ლეგალური ბრუნვის კონტროლის ბიურო (დეპარტამენტი)**

**12.1.1 ბიუროს უფროსი** 1 საშტატო ერთეული; თანამდებობრივი სარგო 1000 ლარი.

ა) უმაღლესი სამედიცინო ან ფარმაცეტული განათლება, ხელმძღვანელ თანამდებობაზე სპეციალობით მუშაობის არა ნაკლებ 3 წლის სტაჟი;
ბ) უცხო ენის ცოდნა;
გ) კომპიუტერის ცოდნა საშუალო დონეზე.
დ) "ჯანმრთელობის დაცვის შესახებ", "წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ", "ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ" საქართველოს კანონები, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი და სისხლის სამართლის კოდექსი (ნარკოტიკული დანაშაულის ნაწილში), გაეროს 1961 წლის ერთიანი კონვენცია "ნარკოტიკული საშუალებების შესახებ", გაეროს 1971 წლის კონვენცია "ფსიქოტროპული ნივთიერებების შესახებ", გაეროს 1988 წლის კონვევნცია "ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრუნვის შესახებ".

**12.2.1 ბიუროს უფროსის მოადგილე** 1 საშტატო ერთეული; თანამდებობრივი სარგო 800 ლარი.

ა) უმაღლესი სამედიცინო ან ფარმაცეტული განათლება, სპეციალობით მუშაობის არა ნაკლებ 2 წლის სტაჟი;
ბ) უცხო ენის ცოდნა;
გ) კომპიუტერის ცოდნა საშუალო დონეზე.
დ) "ჯანმრთელობის დაცვის შესახებ", "წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ", "ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ" საქართველოს კანონები, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი და სისხლის სამართლის კოდექსი (ნარკოტიკული დანაშაულის ნაწილში), გაეროს 1961 წლის ერთიანი კონვენცია "ნარკოტიკული საშუალებების შესახებ", გაეროს 1971 წლის კონვენცია "ფსიქოტროპული ნივთიერებების შესახებ", გაეროს 1988 წლის კონვევნცია "ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრუნვის შესახებ".

**12.3.1 ბიუროს მთავარი სპეციალისტი** 1 საშტატო ერთეული; თანამდებობრივი სარგო 400 ლარი.

ა) უმაღლესი სამედიცინო ან ფარმაცევტული განათლება, მუშაობის არა ნაკლებ 1 წლის სტაჟი;
ბ) კომპიუტერის ცოდნა საშუალო დონეზე;
გ) "წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ", "ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ" საქართველოს კანონები, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი (ნარკოტიკული დანაშაულის ნაწილში), გაეროს 1961 წლის ერთიანი კონვენცია "ნარკოტიკული საშუალებების შესახებ", გაეროს 1971 წლის კონვენცია "ფსიქოტროპული ნივთიერებების შესახებ".

**12.3.2 ბიუროს უფროსი სპეციალისტი** 1 საშტატო ერთეული; თანამდებობრივი სარგო 340 ლარი.

ა) უმაღლესი სამედიცინო ან ფარმაცევტული განათლება, სპეციალობით მუშაობის არა ნაკლებ 1 წლის სტაჟი;
ბ) კომპიუტერის ცოდნა საშუალო დონეზე;
გ) "წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ", "ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ" საქართველოს კანონები, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი (ნარკოტიკული დანაშაულის ნაწილში), გაეროს 1961 წლის ერთიანი კონვენცია "ნარკოტიკული საშუალებების შესახებ", გაეროს 1971 წლის კონვენცია "ფსიქოტროპული ნივთიერებების შესახებ".

**12.3.3 ბიუროს უფროსი სპეციალისტი** 1 საშტატო ერთეული; თანამდებობრივი სარგო 340 ლარი.

ა) უმაღლესი სამედიცინო ან ფარმაცევტული განათლება, სპეციალობით მუშაობის არა ნაკლებ 1 წლის სტაჟი;
ბ) ინგლისური ენის ცოდნა;
გ) კომპიუტერის ცოდნა საშუალო დონეზე;
დ) "წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ", "ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ" საქართველოს კანონები, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი (ნარკოტიკული დანაშაულის ნაწილში), გაეროს 1961 წლის ერთიანი კონვენცია "ნარკოტიკული საშუალებების შესახებ", გაეროს 1971 წლის კონვენცია "ფსიქოტროპული ნივთიერებების შესახებ".

**13. საერთაშორისო ურთიერთობის დეპარტამენტი**

**13.1.1 დეპარტამენტის უფროსი** 1 საშტატო ერთეული; თანამდებობრივი სარგო 1000 ლარი.

ა) უმაღლესი განათლება, ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის არა ნაკლებ 3 წლის სტაჟი (სასურველია საერთაშორისო ურთიერთობების განხრით);
ბ) ინგლისური ენის ცოდნა სრულყოფილ დონეზე;
გ) კომპიუტერის ცოდნა საშუალო დონეზე;
დ) "საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ" საქართველოს კანონის, შესაბამისი საერთაშორისო საკანონმდებლო აქტების ცოდნა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში, რომელსაც მიერთებულია საქართველო.

**13.2.1 მთავარი სპეციალისტი** 1 საშტატო ერთეული; თანამდებობრივი სარგო 400 ლარი.

ა) უმაღლესი იურიდიული განათლება (სასურველია საერთაშორისო ურთიერთობების განხრით);
ბ) ინგლისური ენის ცოდნა კარგ დონეზე;
გ) კომპიუტერის ცოდნა საშუალო დონეზე;
დ) "საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ", "საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" საქართველოს კანონები, შესაბამისი საერთაშორისო საკანონმდებლო აქტების ცოდნა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში, რომელსაც მიერთებულია საქართველო.

**13.2.2 მთავარი სპეციალისტი** 2 საშტატო ერთეული; თანამდებობრივი სარგო 400 ლარი.

ა) უმაღლესი განათლება, (სასურველია საერთაშორისო ურთიერთობების განხრით);
ბ) ინგლისური ენის ცოდნა კარგ დონეზე;
გ) კომპიუტერის ცოდნა საშუალო დონეზე;
დ) "საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ" საქრთველოს კანონის ცოდნა.

**13.2.3 უფროსი სპეციალისტი** 3 საშტატო ერთეული; თანამდებობრივი სარგო 340 ლარი.

ა) უმაღლესი განათლება (სასურველია წერილობითი ან სინქრონული თარგმანის გამოცდილება);
ბ) უცხო ენის ცოდნა (რუსული, ინგლისური, გერმანული ან ფრანგული);
გ) კომპიუტერის ცოდნა სამომხმარებლო დონეზე;
დ) "საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ" საქრთველოს კანონის ცოდნა.

**14. სოციალური, ჯანმრთელობის დაცვისა და დასაქმების პროგრამების კოორდინაციის დეპარტამენტი**

**14.1.1 დეპარტამენტის უფროსი** 1 საშტატო ერთეული; თანამდებობრივი სარგო 1000 ლარი.

ა) უმაღლესი განათლება, მუშაობის არა ნაკლებ 3 წლის სტაჟი (ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის არანაკლებ 2 წლის სტაჟი). პროგრამების მართვის პრაქტიკული გამოცდილებით;
ბ) უცხო ენის ცოდნა;
გ) კომპიუტერის ცოდნა საშუალო დონეზე;
დ) "საქართველოს 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის ზოგადი პრინციპები და 49-ე მუხლი, "საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ", "ჯანმრთელობის დაცვის შესახებ", "დასაქმების შესახებ" საქართველოს კანონები.

**14.2.1 დეპარტამენტის უფროსის მოადგილე** 1 საშტატო ერთეული; თანამდებობრივი სარგო 800 ლარი.

ა) უმაღლესი განათლება, მუშაობის არა ნაკლებ 2 წლის სტაჟი. პროგრამების მართვის პრაქტიკული გამოცდილებით;
ბ) უცხო ენის ცოდნა;
გ) კომპიუტერის ცოდნა საშუალო დონეზე;
დ) "საქართველოს 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის ზოგადი პრინციპები და 49-ე მუხლი, "საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ", "ჯანმრთელობის დაცვის შესახებ", "დასაქმების შესახებ" საქართველოს კანონები.

**14.3.1 მთავარი სპეციალისტი (საქმისმწარმოებელი)** 1 საშტატო ერთეული; თანამდებობრივი სარგო 400 ლარი.

ა) უმაღლესი განათლება, მუშაობის არა ნაკლებ 1 წლის სტაჟი.
ბ) კომპიუტერის ცოდნა საშუალო დონეზე;

**14.3.2 მთავარი სპეციალისტი** 9 საშტატო ერთეული; თანამდებობრივი სარგო 400 ლარი.

ა) უმაღლესი განათლება, მუშაობის არა ნაკლებ 1 წლის სტაჟი.
ბ) კომპიუტერის ცოდნა საშუალო დონეზე;
გ) "საქართველოს 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის ზოგადი პრინციპები და 49-ე მუხლი, "საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ", "ჯანმრთელობის დაცვის შესახებ" "დასაქმების შესახებ", "წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონები, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 1948 წლის 88-ე კონვენცია "დასაქმების სამსახურის ორგანიზების შესახებ", "სტიპენდიისა და უმუშევრის შემწეობის დანიშვნისა და გაცემის წესის შესახებ" და "უმუშევრობის პრევენციული ღონისძიებების განხორციელების წესის შესახებ" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2002 წლის 25 იანვრის #23/ნ #24/ნ ბრძანებები.

**14.3.3 მთავარი სპეციალისტი 1** საშტატო ერთეული; თანამდებობრივი სარგო 400 ლარი.

ა) უმაღლესი ეკონომიკური განათლება, მუშაობის არა ნაკლებ 1 წლის სტაჟი.
ბ) კომპიუტერის ცოდნა საშუალო დონეზე;
გ) "საქართველოს 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის ზოგადი პრინციპები და 49-ე მუხლი, "საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ", "ჯანმრთელობის დაცვის შესახებ" "დასაქმების შესახებ", "წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონები, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 1948 წლის 88-ე კონვენცია "დასაქმების სამსახურის ორგანიზების შესახებ", "სტიპენდიისა და უმუშევრის შემწეობის დანიშვნისა და გაცემის წესის შესახებ" და "უმუშევრობის პრევენციული ღონისძიებების განხორციელების წესის შესახებ" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2002 წლის 25 იანვრის #23/ნ #24/ნ ბრძანებები.

**14.3.4 მთავარი სპეციალისტი** 1 საშტატო ერთეული; თანამდებობრივი სარგო 400 ლარი.

ა) ინგლისური ენის ცოდნა
ბ) უმაღლესი განათლება, მუშაობის არა ნაკლებ 1 წლის სტაჟი;
გ) კომპიუტერის ცოდნა საშუალო დონეზე;
დ) "საქართველოს 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის ზოგადი პრინციპები და 49-ე მუხლი, "საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ", "ჯანმრთელობის დაცვის შესახებ" "დასაქმების შესახებ", "წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონები, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 1948 წლის 88-ე კონვენცია "დასაქმების სამსახურის ორგანიზების შესახებ", "სტიპენდიისა და უმუშევრის შემწეობის დანიშვნისა და გაცემის წესის შესახებ" და "უმუშევრობის პრევენციული ღონისძიებების განხორციელების წესის შესახებ" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2002 წლის 25 იანვრის #23/ნ #24/ნ ბრძანებები.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში ნებისმიერ თანამდებობაზე დასანიშნ პირს მოეთხოვება აგრეთვე:

**I. სახელმწიფო ენის ცოდნა**

II. შემდეგი საკანონმდებლო აქტების ცოდნა:

1. საქართველოს კონსტიტუცია;
2. "საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2004 წლის 7 ივნისის №47 დადგენილება;
3. "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონი;
4. "საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონი;
5. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 თავი.
6. "ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონი და "საქმისწარმოების ერთიანი წესების დამტკიცებისა და მოქმედების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 1 ივლისის №414 ბრძანებულება.

**კონკურსის პირობები:**

კონკურსი სახელმწიფო თანამდებობის დასაკავებლად უზრუნველყოფს სახელმწიფო სამსახურის თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველასათვის.

კონკურსი ეწყობა იმ პირებს შორის, რომლებიც შეიტანენ განცხადებას კონკურსში მონაწილეობის მისაღებად და დააკმაყოფილებენ საკონკურსო მოთხოვნებს.

კონკურსში მონაწილეობა შეიძლება მიიღოს საქართველოს მოქალაქეობის მქონე ყველა პირმა.

კანონის შესაბამისად კანდიდატების ასაკი განსაზღვრულია 21-დან 65 წლამდე.

კონკურსს ატარებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საკონკურსო-საატესტაციო კომისია.

საკონკურსო-საატესტაციო კომისია თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის მონაწილეთა შეფასებას ახდენს კონკურსში მონაწილის პროფესიული ცოდნის, განათლებისა და კვალიფიკაციის, შრომითი საქმიანობის შესახებ მონაცემებისა და კონკურსის შედეგების საფუძველზე.

**კონკურსით კანდიდატების შერჩევა შეიძლება მოხდეს:**

1. სხვადასხვა ტიპის ტესტების გამოყენებით.
2. ინგლისური ენის ცოდნის დონის შეფასებით (საკვალიფიკაციო მოთხოვნის შესაბამისად).
3. სახელმწიფო ენის ცოდნის შეფასებით.
4. გასაუბრებით.

იმ თანამდებობებზე, რომლებზეც მითითებულია უცხო ენის ცოდნა, უპირატესობა მიენიჭება ენებს შემდეგი თანმიმდევრობით:

I. ინგლისური;
II. სხვა დასავლეთ ევროპული ენები;
III. რუსული.

კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველმა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სამდივნოში უნდა წარადგინოს:

1. წერილობითი განცხადება საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარის სახელზე.

განცხადებაში კონკრეტულად და ზუსტად უნდა იქნეს მითითებული სასურველი თანამდებობა და კოდი (მაგალითად: 1.1.2, 8.2.3 და ა.შ, რომელიც მითითებულია საკონკურსო თანამდებობის წინ), აგრეთვე, სამდივნოში ჩასაბარებელი თანდართული საბუთების ნუსხა (თითოეული საბუთის ფურცელთა რაოდენობის მითითებით). სასურველია **წერილობითი** მოტივაცია კონკურსში მონაწილეობის შესახებ, რატომ გინდათ ამა თუ იმ თანამდებობის დაკავება, როგორია თქვენი მოლოდინი სამუშაოსთან დაკავშირებით, რის გაკეთებას გეგმავთ და რამდენად შეესაბამება თქვენი სამუშაო გამოცდილება დასაკავებელ ვაკანსიას;

2. ავტობიოგრაფია.

ავტობიოგრაფიაში უნდა მიეთითოს:

ა) სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, დაბადების ადგილი, საცხოვრებელი მისამართი, საკონტაქტო ტელეფონი, ელექტრონული ფოსტის მისამართი;
ბ) მიღებული უმაღლესი და სპეციალური განათლების ჩამონათვალი, რომელი უმაღლესი სასწავლებელი დაამთავრა, როდის, სპეციალობის და/ან კვალიფიკაციის მითითებით, მიღებული პრემია და ჯილდო;
გ) სამუშაო გამოცდილების ჩამონათვალი, რომელშიც ქრონოლოგიურად, დაწყებული ბოლო სამუშაო ადგილიდან, თანმიმდევრობით უნდა მიეთითოს: დაწესებულება/ორგანიზაცია, თანამდებობა, სამუშაოს დასახელება, როდის დაიწყო მუშაობა, როდემდე მუშაობდა, დაწესებულების მისამართი, რამდენიმე წინადადებით მიეთითოს უშუალოდ მის მიერ შესრულებელი სამუშაო, მოვალეობანი, საქმიანობა, მიღწეული წარმატებები, შესაძლებლობები, დატოვების მიზეზი.
დ) უცხო ენების ცონდა. საუბარი, წერა, კითხვა (შეაფასეთ 5 ბალიანი სისტემით);
ე) კომპიუტერზე მუშაობის უნარი (ჩამოთვალეთ რომელ პროგრამებს იცნობთ);
ვ) კანდიდატს ასევე შეუძლია მიუთითოს დამატებითი ინფორმაცია, რომელიც მისი აზრით დაეხმარება კომისიას გადაწყვეტილების მიღებაში;
ზ) ხელმოწერა და თარიღი.

3. განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების (სასურველია ყველა იმ მოწმობის ან სერტიფიკატის წარმოდგენა, რომელიც გააჩნია კანდიდატს) ასლები.
4. საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი.
5. შრომის წიგნაკის (ასეთის არსებობისას) ასლი დედანთან ერთად.

საბუთები მიიღება განცხადების გამოქვეყნების დღიდან ორი კვირის განმავლობაში (უქმე დღეების გარდა) 11-დან 16 საათამდე, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სამდივნოში, მისამართზე: ქ. თბილისი, კ. გამსახურდიას გამზირი 30, პირველი სართული, სამინისტროს მთავარი შესასვლელის მარცხენა მხარეს.

კონკურსი მოეწყობა განცხადების გამოქვეყნების დღიდან არა უადრეს სამი კვირისა.

განცხადების შეტანა შეიძლება მხოლოდ ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე

წარდგენილი საბუთების შემოწმების შემდეგ კონკურსში მონაწილეობის მსურველის კონკურსში დაშვების საკითხს წყვეტს საკონკურსო - საატესტაციო კომისია.

ინფორმაცია კონკურსის ჩატარების მიმდინარეობის შესახებ გამოქვეყნდება მიმდინარე წლის 4 აპრილს. ინფორმაციისთვის მიმართეთ საკონკურსო - საატესტაციო კომისიის სამდივნოს.

კონკურსის წარმატებით გავლის შემთხვევაში, გამარჯვებულმა უნდა წარმოადგინოს დამატებითი საბუთები ("საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე მუხლის შესაბამისად.

**დამატებითი ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ მიმართოთ შემდეგ საკონტაქტო ტელეფონის ნომრებზე: 37-78-05, 38-84-09.**

**ზემოთმოყვანილი ინფორმაცია შეგიძლიათ სრული სახით ასევე იხილოთ ინტერნეტის მეშვეობით საქართველოს შორმის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს ვებ-გვერდზე**

**www.healthministry.ge ან www.MoLHSA.ge**

**გისურვებთ წარმატებას! საჯარო სამსახურის ბიურო**

## TV პროგრამა

3 მარტი

### რუსთავი - 2

**07.30** დილა **08.00** ტელელიპუცები **10.00** სერიალი "შეყვარებული ქალები" **11.00** ფორტ-ბოიარდი **12.00, 15.00, 17.00, 18.00, 21.00, 02.20** კურიერი **12.20** სერიალი "შეყვარებული ქალები" **13.30** მხ. ფილმი "ვინ არის კლეიტი ტიუტიდან" **15.25** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **16.30** სერიალი "ეკლები და ვარდები" **17.25** ტელელიპუცები **18.30** პატრული **19.55** სერიალი "შეყვარებული ქალები" **22.00** ვის უნდა 50 ათასი **23.00** დოკ. ფილმი "ადამიანის სხეული" (ბი-ბი-სი) **00.00** მხ. ფილმი "ლეგენდა ბაგერ ვანსზე" (15) (უილ სმიტი) **02.40** პატრული

### TV5

**06.00, 08.00,** 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.15, 20.00, 24.00,** 02.15(შვეიცარია), 02.40(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **08.30** ტელედილა. **10.30** ტელეტურიზმი. **11.05** აგდაცემა საოჯახო ფოტოები. **12.20** მაშველები. ტელესერიალი. **15.30** ციფრები და ასოები. ტელეთამაში. **16.25** გადაცემა: ფრანს ევროპ ინფო. **18.30** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. 20.25'ოტპიერი". მხ ფილმი. რეჟისორი ჟან-ივ პიტუნი. **22.05** აკუსტიკა. **24.30** ჩემი საუკეთესო მეგობრები. მხ ფილმი. რეჟისორი ჟან-მარი პუარე. **04.20** გაურკვეველი გრძნობები. მხ ფილმი. რეჟისორი ეტიენ პერიე.1979.

**08.00** "ადრე" **10.00** დოკ. ფილმი "ელდორადოს საიდუმლო" **11.00** სერიალი "მემკვიდრე ლუნა" **12.00** "მთავარი" **12.20** ანიმაციური ფილმი "რედვოლი" **12.45** ანიმაციური ფილმი "ციცქნა მოჩვენებანი" **13.00** "სარჩევი" **14.00** სერიალი "მაქსიმო ჩემი სიყვარული" **15.00** "მთავარი" აზერბაიჯანულ ენაზე **15.20** "მთავარი" რუსულ ენაზე **15.30** "ბიოგრაფიული პორტრეტები" - მუჰამედ ალი. **16.30** დოკ. ფილმი "თუთიყუშები" **17.30** დოკ. ფილმი "მითხარი რატომ" -ჯანმრთელი სხეული **18.00** "მთავარი" -რეგიონებიდან **18.30** სერიალი "შირლი ჰოლმსი" **19.00** "ჰოლმარკი" წარმოგიდგენთ - "ვედმინი" **20.00** "მთავარი" **20.45** "ბაბილინა" **21.00** სერიალი "მემკვიდრე ლუნა" **22.00** დოკ. ფილმი "გზავნილი წარსულიდან" **23.00** მედიატორი **23.30** ქართ. ფილმი "ერთი ნახვით შეყვარება" (გ) **02.00** საინფ. გამოშვება

### კავკასია

**11.00** ტუწ-ემ **11.30** მხ. ფილმი "ითამაშე როგორც ზიზუ" (გ) **13.00** ტუწ-ემ **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.20** ტუწ-ემ **19.20** სპექტრი **21.15** მხ. ფილმი "პირველი ხარისხის მკვლელობა" (გ) **00.30** ტუწ-ემ

### 202

**10.00** დებატები (განმ.) **12.00** მუსიკალურ-გასართობი გადაცემა "პროპაგანდა" **13.00** სერიალი "დიდი სახლი" (გან.) **14.00** მუს. გადაცემა "პროპაგანდა" **18.00** მუსიკა **22.00** სერიალი "დიდი სახლი" **23.00** დებატები 202-ზე

### მზე

**08.30** მუსიკა მზეზე **09.00** "ფოკუსის ისტორია" **09.30** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **10.00** სერიალი "პოლიციელი ქალები" **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **12.05** შემეცნებითი პროგრამა "სამყაროს უთვალავი ფერი" **13.05** "დიელი და პასკო" **14.15** არჩევანის ზღვარზე **15.10** შემეცნებითი პროგრამა "სამყაროს უთვალავი ფერი" **16.05** "ველური მთვარე" **17.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** "დიელი და პასკო" **18.20** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **18.50** მუსიკა **19.00** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **20.45** სერიალი "პოლიციელი ქალები" **21.45** არჩევანის ზღვარზე **22.45** საფესტივალო ჩვენება **23.45** მხ. ფილმი "იტალიელი ხალხის სახელით" (გ) (უგო ტონიაცი)

### მეორე არხი

**19.00** სერიალი "ხუმრობა იქით იყოს" **19.50** "ბაბილინა" **20.05** მულტსერიალი "მარსუპილამი" **20.30** სერიალი "ცეკვის ენა" **20.55** დოკ. ფილმი "ყური უგდე ჰავას" **21.45** ექსცენტრიკოსები **22.10** კინოსეანსი "ხაფანგი" 1-ლი ს.

### იმედი

**06.55** "იმედის დილა" **07.00** სერიალი "რელიქვიების მაძიებელი" **07.30** დოკ. სერიალი "ისტორიის ერთი კვირა" **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **08.10** იმედის დილა **10.05** სერიალი "მოჯადოება" **11.15** სერიალი "კექსი დიდ ქალაქში" **11.35** სერიალი "ორი ბედი" **12.40, 16.25, 03.10** ტვ-მარკეტი **13.15** მხ. ფილმი "მეოთხე ანგელოზი" **14.30** დოკ. სერიალი "ისტორიის ერთი კვირა" **15.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 03.00** ქრონიკა **15.20** სერიალი "ოცნების სანაპირო" **16.40** დოკ. სერიალი "ბრძოლა გადარჩენისთვის" **17.10, 03.40** იმედის მელოდიები **17.30** "ერთხელ ჰოლივუდში" **18.05** სერიალი "მოჯადოება" **19.55** სერიალი "ოცნების სანაპირო" **20.55** სერიალი "ორი ბედი" **22.50** სერიალი "კექსი დიდ ქალაქში" **23.15** "ათასიდან ერთი შანსი" **23.45** მხ. ფილმი "უივერნის სასახლის საიდუმლო" (12) (ნ. უოტსი) **01.25** მხ. ფილმი "ცხოველური ბუნება" (15) (ტ. რობინსი)

### აჭარა

**08.00** დილის გადაცემა **09.00** სერიალი "სამი და" **10.00** მუსიკა **10.30** დოკუმენტური ფილმი "ალექსანდრე" 1-ლი ნ. **11.30, 14.30, 20.30** საინფ. გამოშვება **11.45** კომედია "არჩევანი თქვენზეა, მადამ" **13.20** მუსიკა **14.50** მხ. ფილმი "თეთრი ოლეანდრი" **16.40** მულტფილმი **17.30** საინფ. გამოშვება "ნოვოსტი" **17.55** მხ. ფილმი "უკანასკნელი დონი" მე-3ნ. **19.30** სერიალი "სამი და" **21.05** კომედია "ალქაჯები" **22.45** "გადარჩენილი სიტყვა" **23.15** "ექსკლუზივი" **00.00** საინფ. დაიჯესტი **00.25** დრამა "ხელოვნური წამწამები" **02.00** მუსიკა

### ОРТ

**06.00** "Доброе утро". **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости. **09.20, 21.30** Сериал **"ПОТЕРЯВШИЕ СОЛНЦЕ". 11.10, 18.50** Сериал **"КЛОН". 11.30** Дисней-клуб: "Утиные истории". **12.20** Алексей Гуськов в многосерийном детективе **"ПОДОЗРЕНИЕ". 13.30** Сериал **"ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ". 14.30** "Угадай мелодию" **15.20** Сериал **"ДЕНЬ РОЖДЕНИЯ БУРЖУЯ-2". 16.20** "Пять вечеров". Четверг. **17.30** Сериал **"ДВЕ СУДЬБЫ". 19.50** Сериал **"ЖЕНСКИЙ РОМАН". 21.00** Время. **22.40** "Человек и закон" **23.30** Ночное "Время". **23.50** Ударная сила. "Гнев богов". **00.20** "Гении и злодеи". Андрей Платонов. **00.50** Неизвестная планета. "Колыбель религий". **01.20** Рутгер Хауэр в триллере **"ПОСЛЕ ПОЛУНОЧИ"**. 15 лет назад Бен Джордан был осужден за убийство своей беременной жены, хотя прямых улик, доказывающих его вину, не было. Теперь, выйдя из тюрьмы, Бен пытается начать новую жизнь. Сотрудница социальной службы Лора Мэтьюз, занимающаяся его трудоустройством, проникается симпатией к своему подопечному. Уверенная, что Бен невиновен, Лора пытается предпринять собственное расследование этого давно закрытого дела... **03.05** Что? Где? Когда? Финал зимних игр. **04.20** Триллер Стивена Кинга **"КРАСНАЯ РОЗА". 3**-я серия.

### НТВ

**06.00** "Сегодня утром" **09.05** Сериал **"ОНА НАПИСАЛА УБИЙСТВО: ПЛОТНЕЕ ВОДЫ". 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00** "Сегодня" **10.15** "Женский взгляд" Оксаны Пушкиной. Римма Маркова. **10.50** Сериал **"АГЕНТ НАЦИОНАЛЬНОЙ БЕЗОПАСНОСТИ-5". 11.50** Сериал **"МЕНТОВСКИЕ ВОЙНЫ". 13.30** Николас Роу в приключенческом фильме **"МОЛОДОЙ ШЕРЛОК ХОЛМС"**. Англия 19 века. В Лондоне происходит серия ритуальных убийств. Совсем еще молодые Шерлок и Ватсон начинают опасное расследование. Именно тогда у Холмса начали зарождаться навыки дедуктивного метода. **15.35** Чрезвычайное происшествие. **16.20** Ток-шоу "Принцип домино". **17.30** Сериал **"АДВОКАТ: ЛОНГЛАЙФ"**. Часть 1-я. **18.35** Чрезвычайное происшествие. **19.40** Сериал **"МЕНТОВСКИЕ ВОЙНЫ". 20.45** Сериал **"АГЕНТ НАЦИОНАЛЬНОЙ БЕЗОПАСНОСТИ-5: ЗАБЫТЬ ВСЕ"**. Часть 2-я. **22.40** "К барьеру!" Ток-шоу Владимира Соловьева. **00.15** Сериал **"МЕНТОВСКИЕ ВОЙНЫ". 01.25** Сериал **"ДЕТЕКТИВ РАШ". 02.20** Бильярд. **03.15** Джон Мантенья в сериале **"ПЕРВЫЙ ПОНЕДЕЛЬНИК". 1**-я серия. **04.10** Сериал **"ЗА ГРАНЬЮ ВОЗМОЖНОГО". 04.55** Сериал **"БЕЗ СЛЕДА-II". 05.40** Чрезвычайное происшествие.

# საქართველოს ატლასი მოზარდთათვის

## "დიოგენეს" საამაყო პროექტი

ვერა ნეფარიძე

*გამომცემლობა "დიოგენეს" გუშინ განსაკუთრებული საღამო ჰქონდა, რის გამოც გამომცემლები აშკარად კმაყოფილები იყვნენ; არანაკლებ კმაყოფილნი დარჩნენ გუშინდელი პრეზენტაციის სტუმრები, მათ ვინც საკმაოდ კარგი ხარისხის, ილუსტრირებული ალბომი "საქართველოს ატლასი მოზარდთათვის: ბუნება და კულტურა" შეიძინეს ან არ შეიძინეს, მაგრამ დაიგულვეს.*

"ამაყები ვართ", - ატლასის სარედაქციო კოლეგიის ერთ-ერთი წევრის მიერ ნაცნობისთვის ნათქვამი ფრაზა ზუსტად გამოხატავდა გამომცემელთა გუშინდელ მდგომარეობას. ატლასი, რომელიც "დიოგენემ" 10-დან 15 წლამდე მოზარდთათვის შექმნა, არა მხოლოდ ვიზუალურად იქცევს მკითხველის ყურადღებას. ვიზუალურ-შინაარსობრივი ხარისხი ის შედეგია, რაც ავტორებსა და პროექტის მონაწილეებს აძლევდა საფუძველს, მოეწყოთ პროექტის ისეთი ხალხმრავალი და მყვირალა პრეზენტაცია, როგორსაც გუშინ მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის სარკეებიანმა დარბაზმა უმასპინძლა.

"მსგავსი პროექტი საქართველოში არ განხორციელებულა. ატლასზე მუშაობას წელიწადნახევარი მოვანდომეთ, თანაც ის საკმაოდ რთულად წარიმართა. ჩვენი მთავარი ამოცანა იყო ტექსტი მარტივი, ლაღად წასაკითხი გამოსულიყო. მრავალი ხარვეზის მიუხედავად, რაც წიგნში იქნება, ვფიქრობთ, ის შეგიყვარდებათ. იმედი გვაქვს, წიგნში უფროსებისთვისაც იქნება ახალი, საინტერესო და მნიშვნელოვანი", - უთხრა პრეზენტაციაზე შეკრებილ საზოგადოებას "დიოგენეს" დირექტორმა, თამარ ლებანიძემ.

რას ნიშნავს "ირის იბერიკა?", რა განსხვავებაა ჩურჩხელასა და ჯანჯუხას შორის? ვინ იყვნენ უსტაბაშები? -



იური ლობოდინის ფოტო

ეს იმ შეკითხვათა არასრული ჩამონათვალია, რომელზე პასუხებსაც "დიოგენეს" ატლასი გვპირდება. ამგვარად, თუ აღმოაჩენთ, რომ რომელიმე მათგანზე პასუხები არ გაქვთ, მაშინ უნდა იფიქროთ, რომ წიგნი თქვენთვისაცაა განკუთვნილი. მით უმეტეს, რომ ვიზუალურად ის საკმაოდ მიმზიდველია. ატლასს, ილუსტრირებული ალბომის სახე აქვს. შინაარსობრივად რამდენიმე ნაწილად არის დაყოფილი. შეიცავს ქვეყნის გეოლოგიურ წარსულს, ინფორმაციას ქანების, მინერალებისა და წიაღისეულის, ბუნების მრავალფეროვნების, კულტურული მემკვიდრეობის, საქართველოს კუთხეების შესახებ. ეს ყველაფერი მოცემულია ლაკონური, მარტივად გასაგები ტექსტებით. ატლასს დართული აქვს ლექსიკონი და საქართველოს ჰიმნის საბავშვო ვერსია; ასევე მოცემულია საქართველოს ფიზიკური და პოლიტიკურ-ადმინისტრაციული რუკები; გამოყენებულია ვიზუალური მასალები საქართველოს მუზეუმებიდან.

ატლასზე ავტორების საკმაოდ დიდმა ჯგუფმა (დავით თაქთაქიშვილი, ბესო ლორთქიფანიძე, დათო ჯაფარიძე, კოტე ჯანდიერი, ნინო აბაკელია, ნუგზარ ზაზანაშვილი, კარლო აქიმიძე, თამარ აღაპიშვილი) იმუშავა; როგორც გამომცემლობის ხელმძღვანელმა თქვა, პრეზენტაციაზე მყოფნი ამ ჯგუფის მხოლოდ მცირე ნაწილს წარმოადგენდნენ: "კიდევ უფრო ბევრია ჩვენი მხარდამჭერების რაოდენობა", - თქვა გამომცემელმა. პროექტის მთავარი მხარდამჭერი კი, მისი თანადამფინანსებელი კომპანია "ბი-პია". კომპანიის წარმომადგენელმა მოკლედ ახსნა მიზეზი, თუ რატომ დაინტერესდა "ბი-პი" საქართველოს ატლასის გამოცემით: "დარწმუნებულები ვართ, წიგნი სარგებლობას მოუტანს არა მარტო ნავთობმაგისტრალის ტერიტორიაზე მცხოვრებ, არამედ მთელი საქართველოს ბავშვებს", - აღნიშნა რუსუდან მეძმარიაშვილმა თავის გამოსვლაში. დაფინანსებასთან ერთად, "ბი-პიმ" საკუთარ თავზე აიღო, 127-ე სკოლის (ნავთობსადენის ტერიტორიაზე) მოსწავლეებს საჩუქრად გადასცეს ატლასი. ამას გარდა, წიგნი საჩუქრად გადაეცემათ ჯავახეთის, სამაჩაბლოს, აფხაზეთისა და საინგილოს სკოლების ბიბლიოთეკებს, - ჩამონათვალი გრძელდება. ისე, პრეზენტაციაზე იმდენი დასასაჩუქრებელი გამოაცხადეს, ბუნებრივად გამიჩნდა შეკითხვა: გასაყიდად თუ დარჩებათ საერთოდ?

# Yahoo-ს ათი წელი შეუსრულდა

მამუკა ქირია

ზუსტად ათი წლის წინ ჯერი იანგის და დევიდ ფეილოს წარმატებული შრომის შემდეგ, პირველად ამუშავდა ყველასათვის კარგად ცნობილი და საყვარელი საძიებო ინტერნეტ-სისტემა Yahoo. განვლილი ათი წლის მანძილზე Yahoo-მ დიდი ცვლილებები და წარმატებები განიცადა. ინტერნეტ-პორტალისთვის არნახული რაოდენობის მომხმარებელი თავიდანვე ნათელს ხდიდა, რომ Yahoo უთუოდ დიდი მომავლის პროექტი იყო.

მაინც როგორ დაიწყო ყველაფერი. ჯერი და დევიდი სტენფორდის უნივერსიტეტის გამოსაშვები კურსის სტუდენტები იყვნენ. ისინი ძირითადად დაკავებული იყვნენ სხვადასხვა ინტერნეტ-მისამართების კლასიფიკაციით, რათა მეგობრებისთვის საინტერესო მისამართები მოეძებნათ. ამისთვის შექმნეს პატარა მისამართების (ანუ ლინკების) საიტი, რომელსაც Jerry's Guide to the World Wide Web ერქვა. ეს საიტი ასეულობით საინტერესო ვებ-მისამართს მოიცავდა, რომლებზეც დაჭერისას შესაბამის საიტზე მოხვდებოდი. ერთი შეხედვით მარტივი რამ არის, მით უმეტეს დღეს, მაგრამ ინტერესმა იმატა და ახალგაზრდა სტუდენტებმა გადაწყვიტეს უფრო მეტზე ეფიქრათ. რა თქმა უნდა, გამომდინარე იქიდან, რომ მნახველები ამ პატარა ვებ-გვერდს არ აკლდა, მოგვიანებით არა მხოლოდ უნივერსიტეტის მეგობრები, არამედ, სხვებიც დაინტერესდნენ. იდეა, რომ შეექმნათ საძიებო მანქანა, დღის წესრიგში იანგმა და ფეილომ ლუდით ხელში სასწრაფოდ ჩამოაყალიბეს. იდეას სახელად Yahoo ამშვენებდა. მათი განმარტებით Yahoo ნიშნავდა: "კიდევ ერთი იერარქიული არაოფიციალური გზამკვლევი".



*Yahoo-ს დამაარსებლები: დევიდ ფეილო (მარცხნივ) და ჯერი იანგი (მარჯვნივ).*

სულ მალე Yahoo სახელგანთქმული კომპანია გახდა და გამოჩნდა პირველი ინვესტორიც სახელად Seqouia Capital, რამაც საშუალება მისცა ახალგაზრდა გუნდს უფრო ძლიერი სერვერი შეექმნათ. იმ მომენტისთვის საძიებო მანქანა-რობოტი 1000-მდე ახალ ვებ-გვერდს არეგისტრირებდა თავის ბაზაში. რა თქმა უნდა, ტექნიკურად განვითარება და გაძლიერება გარდაუვალი იყო. კომპანიის შემსრულებელ დირექტორად მოწვეული იყო ინდუსტრიული ტექნოლოგიების ვეტერანი, გამოცდილი ტიმ კუგლი. დამფუძნებლებმა არ დააყოვნეს და ერთი დიდი ნაბიჯი გადადგეს - აქცენტი რეკლამაზე გააკეთეს. იანგის და ფეილოს ეს ნაბიჯი ნამდვილად წარმატებული აღმოჩნდა და Yahoo რეკლამების ნამდვილ სათარეშო მოედნად იქცა, რაც დღემდე გრძელდება. გაჩდა ფინანსები, რამაც კიდევ უფრო მეტი ამბიცია გამოიწვია. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ მიუხედავად ფინანსური წარმატებისა, Yahoo-ს ავტორებს ფუფუნებით მოწყობილ ოფისებზე არც უფიქრიათ. იმდროინდელი Yahoo-ს ოფისი იაფფასიანი ყვითელი საღებავით იყო შეღებილი. პარტნიორები ასკვნიდნენ, რომ მთავარია განვითარება და მუდმივი სიახლეები. მათი ძირითადი ინვესტიცია გონებრივ და ინტელექტუალურ რესურსებზე იხარჯებოდა. 1996 წლის აპრილში 50 თანამშრომელი ირიცხებოდა მომავალი გიგანტის რიგებში. დღეისათვის კი - 7600.

სწორმა ბიზნეს-ხედვამ და მარკეტინგმა 36 წლის იანგი და 38 წლის ფეილო დაარსებიდან წელიწადში მილიარდერები გახადა.

Yahoo-ს პირველი აქციების ემისია სწორედ 1996 წლის აპრილში შედგა. ბრუნვა 1 მილიარდ ამერიკულ დოლარს შეადგენდა, ხოლო მთლიანად კომპანია 120 მილიარდად ფასდებოდა.

Yahoo-ს საბაზრო ფასი 2001 წლისთვის საკმაოდ შეირყა, განვითარებული წვრილ-წვრილი კონკურენტები წამოიზარდნენ და მფლობელებს უკვე თავსატეხს უჩენდნენ. საჭირო იყო ბრძოლა მდგომარეობის შესანარჩუნებლად. საბოლოოდ საქმე იქამდე მივიდა, რომ კომპანიის ღირებულება 4,5 მილიარდამდე შემცირდა. მოიწვიეს ახალი დირექტორი ტერი სემელი, რომელმაც შეძლო დიდი ცვლილებების ხარჯზე Yahoo-ს კრიზისიდან გამოყვანა. საბაზრო ფასმა 50 მილიარდით აიწია.

გაგიკვირდებათ, და დღეისათვის ფინანსურად Yahoo-ს უკან სუნთქავენ ისეთი მონსტრები, როგორებიცაა google, microsoft MSN.












## გაეროს განვითარების პროგრამის პროექტი აცხადებს ტენდერს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსთვის ბიზნეს გეგმის შემუშავებაზე

დაინტერესებულ პირებს გიწვევთ ტენდერში მონაწილეობის მისაღებად და გთხოვთ წარმოადგინოთ თქვენს მიერ შემოთავაზებული მომსახურების დროის განრიგი და ფასი (აშშ დოლარის კურსით დღგ-ს გარეშე) ცალ-ცალკე, დახურულ კონვერტებში. შესასრულებელ სამუშაოთა ტექნიკური სპეციფიკაცია იხილეთ გაეროს საიტზე: www.undp.org.ge

განაცხადები მიიღება 2005 წლის 10 მარტს 12:00-დან 13:00 საათამდე შემდგე მისამართზე:

**ერისთავის ქ. 9 0179 თბილისი**
**გაეროს განვითარების პროგრამის**
**ქვეყნის ოფისი საქართველოში**
**ქ-ნი ნათია ჩერქეზიშვილი**
**პროგრამ ოფიცერი**

თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში
20-24-04
20-00-24

## სს "საქართველოს სახალხო ბანკი" აცხადებს აუქციონს

აუქციონზე გასაყიდად გამოიტანება ავტომანქანა LEXUS LS 400 გამოშვების თარიღი 1998 წელი, ფერი ყვითელი მუქი 2/4.

ავტომანქანის საწყისი ფასი შეადგენს - 21670 (ოცდაერთი ათას ექვსას სამოცდაათ) ლარს.

აუქციონი გაიმართება 2005 წლის 21 მარტს 12:00 საათზე სს "საქართველოს სახალხო ბანკი"-ს სათაო ოფისში მდებარე ქ. თბილისი ი. ავჭავაძის გამზ N74, მეორე სართული საკონფერენციო დარბაზი.

**დამატებითი ინფორმაციისათვის**
**დარეკეთ 55-55-00 დამატებით 143-146.**

## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.